



ილორი

www.ilori.ge



№109 (170) 8-15 მარტი 2011

სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს“ ორგანო

30 თემი

კონსტანტინე გამსახურდია: ავსტრიაში ელჩობას არ ვაპირებდი, მაგრამ, სადაც საჭირო ვიქნები, იქ წავალ...

თავი მოიკლა თუ მოკლეს? – 17 წელი გავიდა საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას გარდაცვალებიდან და ქართული საზოგადოება კითხვაზე პასუხს დღემდე ელის ზვიად გამსახურდიას გარდაცვალების ბუნდოვან ისტორიაში გასარკვევად, საქართველოს პარლამენტში დროებითი კომისიის შექმნა, რომელსაც უნდა დაედგინა, რა მოხდა სინამდვილეში. კომისიამ ახლახან დაასრულა მუშაობა და 363-გვერდიანი დოკუმენტიც წარმოადგინა, რომელიც, მართალია, ზვიად გამსახურდიას თვითმკვლელობის ვერსიას გამოირიცხავს, მაგრამ არც კონკრეტულ ბრალდებულსა და ეჭვმიტანილებს ასახელებს. კომისიის მუშაობის, მისი პარტიისა თუ ოჯახის ირგვლივ არსებული სკანდალებისა და სამომავლო გეგმების შესახებ, გაზეთი საქართველოს პირველი პრეზიდენტის გარდაცვალებასთან დაკავშირებული საკითხების შემსწავლელი პარლამენტის დროებითი კომისიის თავმჯდომარეს, პირველი პრეზიდენტის ვაჟს – კონსტანტინე გამსახურდიას ესაუბრა.

– საქართველოს პირველი პრეზიდენტის – ზვიად გამსახურდიას გარდაცვალების მიზეზების შემსწავლელმა დროებითმა საპარლამენტო კომისიამ მუშაობა დაასრულა და 22 თებერვალს 363-გვერდიანი დასკვნაც წარმოადგინა, თუმცა საზოგადოების ნაწილი მაინც იმედგაცრუებული დარჩა. – საზოგადოების ის ნაწილი, ვინც იმედგაცრუებული დარჩა, ზოგადად, ხელისუფლების მიმართ სკეპტიკურადაა განწყობილი და მასში ხელისუფლების არც ერთი ნაბიჯი ნდობას არ იწვევს. მათ შორის, არც ისეთი პოზიტიური და დადებითი ნაბიჯი, როგორც აღნიშნული კომისიის შექმნა. ისინი მიიჩნევენ, რომ ხელისუფლება ამ საქმეს მაინც არ გამოიძიებს, ვინაიდან გარიგებულა ედუარდ შევარდნაძესთან და კომისიის შექმნაც ხელისუფლებას მხოლოდ პიარისთვის დასჭირდა, რაც, ვფიქრობ, სიმართლეს არ შეესაბამება.

– მიგაჩნიათ, რომ ხელისუფლება გულწრფელად დაინტერესებულია საქმის გამოძიებით?

– არ შეიძლება ამბავი სამუდამოდ იყოს დამალული, რასაც კარგად ხვდებიან დღევანდელი საქართველოს ხელისუფლება და რისი ნათელი დადასტურებაც იყო პარლამენტის სესიაზე, როგორც საპარლამენტო ოპოზიციის, ასევე ხელისუფლებისა და დამოუკიდებელი დეპუტატების მხრიდან, საბოლოო დასკვნითი დოკუმენტის უპირობო და აბსოლუტური მხარდაჭერა.

– ცოტა ხნის წინათ, საკუთარმა ძმამ ხელისუფლებასთან გარიგებაში დაგადანაშაულაო. როგორც ცოტა ხნის გამსახურდია ციხიდან გამოგზავნილი წერილში წერს, თქვენ მას ევროპაში პრესკონფერენციის გამართვას დაჰპირდით, მაგრამ მოატყუეთ.

– მე არავის არაფერს შევპირებოვარ და ამ თემაზე კომენტარს არ გავაკეთებ.

– თუმცა ძმის წერილს თქვენ ლექსით გაცემთ პასუხი...

– მე კონკრეტულად არავისთვის არ გამიცია პასუხი. მე ვთქვი ერთი ფრაზა ლექსიდან: „საქართველოში მე იმდენად გავხდები საჩუბი, სახელს იხვეჭენ ჩემი ლანძღვით ავაზაკები“. ჩემი მლანძღვლები ბევრი არიან და, ვინც საკუთარ თავზე მიიღებს, ეს მისი გადასაწყვეტია, არ შევედავები.

– მაგრამ თქვენ ხომ შეგეძლოთ, თუნდაც საპროტესტო აქციებით მაინც დახმარებოდით ძმას?

– ძალიან ბევრი საპროტესტო აქცია გამართულა ამ ქვეყანაში, მაგრამ დადებითი შედეგი არ მოუტანია, პირიქით.

– ერთი ძმა ციხეშია, მეორე ხელისუფლებაში, თქვენი ოჯახის ირგვლივ მუდმივად სკანდალებია. ეს არ გიქმნით უხერხულობას?

– რა ვქნა, მათ თავიანთი ცხოვრება აქვთ. ეს მათი თავისუფალი არჩევანია და ყველა ადამიანი საკუთარ ცხოვრებას თავად განაგებს.

– ბატონო კონსტანტინე, თქვენ პარლამენტარის მანდატზე უკვე უარი განაცხადეთ, მერე მაინც გადაწყვეტით პარლამენტში შესვლა. როგორ ფიქრობთ, ეს არამყარი და მერყევი პოლიტიკოსის იმიჯს არ გიქმნით, რაც პოლიტიკოსის რეიტინგზე არცთუ დადებითად აისახება?

– მე ეს შესაძლებლობა გამოვიყენე და სულაც არ ვფიქრობ, რომ ამით ცუდი იმიჯი შევიქმენი, პირიქით, ვფიქრობ, ეს ევოლუციური იმიჯია. მიმაჩნია, რომ ქუჩა-ქუჩა წაწალით და ლანძღვა-გინებით საქმე არ გამოვა. ჩვენი მიზანი უნდა იყოს ქვეყნის წინსვლა და ხალხის ცხოვრების გაუმჯობესება და არა მგონია, ქუჩა-ქუჩა წაწალით, გაზეთებიდან ლანძღვა-გინებითა და მეკრძმე მჯიღის ბრავუნით საქმე გამოვიდეს...

– თქვენ ერთ-ერთი ოპოზიციონერი ხართ, ვინც 2009 წლის აპრილის მოვლენების დროს, სააკაშვილის წინააღმდეგ შეურიგებლად იბრძოდა და ბოლომდე საპროტესტო აქციის დამსლის წინააღმდეგი იყავით. საპროტესტო აქციების დაწყების შემთხვევაში, თუ მიიღებთ ქუჩის აქციებში მონაწილეობას?

– სიტუაცია, მოვლენები იცვლება და პოლიტიკოსებიც სხვადასხვა მოვლენას განსხვავებულად ხედავენ. ქუჩის

საპროტესტო აქციებში მონაწილეობას აღარ მივიღებ, წარსულში არასდროს ვბრუნდებო.

– თქვენი პარტიის ყოფილი წევრები პარტიის შეგნებულ დამლაშვანად განაშაულებენ, რათა თქვენი პარტიისთვის გამოყოფილი თანხა მთლიანდ მიეთვისებინათ. ასევე განაშაულებენ 125 ათასი ლარის მითვისებაში.

– ამ საკითხზე არანაირ კომენტარს არ ვაკეთებ, ვინაიდან მიმაჩნია, რომ ამ ადამიანებთან პოლიტიკაში შესვლა არ ღირს. ეს საკითხიც ამოწურულია ჩემთვის.

– ბევრს საუბრობენ თქვენს ცოლის ძმზე, კარლო ბარდაველიძეზე, რომელიც კონტროლის პალატაში თანამდებობაზე დაინიშნა.

– კარლო ბარდაველიძე, მის ამჟამინდელ უფროსთან, ლევან ბეჟაშვილთან ერთად, „ვარდების რევოლუციის“ ერთ-ერთი კატალიზატორი იყო. ასე რომ, ჩემი წვლილი აქ არ არის, ისინი ერთმანეთს უჩემოდაც იცნობდნენ.

– კულუარული ინფორმაციით, თქვენ ავსტრიაში ელჩად გაშვებას სთხოვდით ხელისუფლებას...

– ავსტრიაში ელჩობას არ ვაპირებდი, მაგრამ, სადაც საჭირო ვიქნები, იქ წავალ. ქართული სახელმწიფოს პრიმატი მაშინაც კი არ უარმიყვია, როდესაც რადიკალური ოპოზიციონერი ვიყავი და არც ახლა უარმიყვია.

– როდესაც რადიკალური ოპოზიციონერი იყავით? ბოლო დროს თქვენ აღარ ხართ რადიკალური და აქტიური ოპოზიციონერი პოლიტიკოსი?! უფრო მეტიც, დღეს სააკაშვილთან გარიგებაში განაშაულებენ.

– ადამიანი იცვლება. ჩემთვის ეს ევოლუციური პროცესია. ის რადიკალიზმი, რაც წინათ მახსიათებდა, უკან დავტოვე და ასეთ რადიკალიზმში აღარ დავბრუნდები, რადგან ამან შედეგი ვერ დამანახა.

– თუმცა ოპოზიციისთვის შედეგის მომტანი არც ხელისუფლებასთან დიალოგი აღმოჩნდა.

– მიმდინარეობს დიალოგი საარჩევნო გარემოს შექმნაზე და, მგონი, რაღაც გამოვა. ვფიქრობ, ქვეყანა არ უნდა იყოს ორ შეურიგებელ ბანაკად გაყოფილი, ამან რა შედეგებიც მოიტანა, ყველამ კარგად დაინახა.

– საზოგადოების ნაწილი არჩევნების მიმართ უნდობლობითა განწყობილი...

– არჩევნებს არ ენდობიან?! აბა, რა უნდათ, რევოლუცია სურთ? რევოლუცია ქვეყანას მხოლოდ ძალადობასა და უკუსვლას მოუტანს.

ესაუბრა შორენა ციხრაძე



საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის დელეგაცია მოსკოვში მოლაპარაკებებზე გაემგზავრა

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის დელეგაცია, რომლის შემადგენლობაშიც არიან საქართველოს საპატრიარქოს საგარეო საეკლესიო კავშირების განყოფილების ხელმძღვანელი, ზუგდიდისა და ცაიშის მიტროპოლიტი გერასიმე შარაშენიძე, დეკანოზი გიორგი ხარაზიშვილი, არქიმანდრიტი დავით ჯინჭარაული და საპატრიარქოს მრჩეველი ზურაბ აბაშიძე, 2011 წლის 28 თებერვალს, მოსკოვში, რუსეთის მართლმადიდებელ ეკლესიასთან მოლაპარაკებების გასამართავად გაფრინდა.

სარგანი კრემლიოვი ბერი – XX საუკუნის საუკეთესო მენეჯერი
 4 თარგმანი როლანდ ჯალალნიასი

კურორტ სოქსი
 დღედაღამ ახანაბან 8

შალვა ხაჭავაძე: „სააკაშვილი მოლაშტა და ის ოპოზიციური პარტიებიც, რომლებიც მასთან მოსალაპარაკებლად სხდებიან 3

“მეგრული ენის ლექსიკა და სიზუსტისაგან მომავალს” 11

ლაზარეს პარღების რეპოლუცია
 ბივი სომხიშვილი, 2

ლაზარეს პარლამენტის რეკონსტრუქცია

(გთავაზობთ ჩვენი მეგობრისა და ერთგული თანამშრომლის, მწერალ გივი სომხიშვილის ნოველას)

ლაზარე ხელისუფლების დაქვემდებარებაში მყოფი დაგროვების ოსტატია. ეს ის ცნობილი ლაზარეა, რომელიც შევარდნის კომუნისტური ლიდერობის დროს მარქსიზმის თვალსაზრისით ერთგულსა და იბრალეს; ამგვარად ახერხებდა ხალხის ძარცვას და ცხოვრების უზღავლოდ პრივილეგიზაციას ქონსმენად ტიპიური. შეიცვალა ცხოვრება და, რომ არ ჩაძირულიყო, ერთგული მოძრაობის ქებით ენა გადაიტყავა და მათთან ძროშიალობით პარკეტზე მტკვრი დააყენა, მაგრამ ჩანაფიქრის შესრულება ვერ მოახერხა, ის ხელისუფლება მალე დაამხობა და მოვიდა, ახლა უკვე მკვრივად, ქართულთა უბედურება – ელვარდ შევარდნაძე.

ლაზარე მხარში ამოუდგა თავის ძველ კერძს და მისი ქებით მწვანე ფორთხები გააყენოდა. დამაქცევარს ხომ სჭირდება ხროვა დამაქცევართა და შექმნა პარტია **“მოქალაქეთა კავშირად”** წოდებული მოქალაქეთა და ერის უბედურება, რომელშიც შექმნა ყველა წერილ-მხსენილი მკებნარი. ლაზარე ვისზე ნაკლებად მკებნარი იყო ამ აღზევებას რომ მოკლებოდა. **“მოქალაქეთა კავშირის”** წევრი გუბერნატორად გამოცხვდა და გაახმოო თუ სადმე სიკეთე და კაცთმოყვარეობა ხარობდა.

დიდხანს გაგრძელდა ლაზარეს კერძის თარეში საქართველოს დაქვემდებარება-გაპარტახების გზაზე. ბორკავდა ხალხი, გადაივსო მოთმინების ფიალა. ელვარდს თავისი გონების დამკოჭლებელი სატანის რჩევა დასჭირდა, რომლის გარეშე მისგანვე მომრავლებულ მკებნარე-ბიანად მოუსხველეთში გადაბარებდა მოუწყვედა.

მოხდა სასწაული: ელვარდის მიერ **“მოქალაქეთა კავშირში”** გამოზრდილი მღრღნელებმა უცებ კანი გამოიცვალეს, უწყინარ მტრედებად აფრინდნენ და ელვარდს დამაქცევარის ლანძღვა-გინებით მოედგნენ ქვეყანას. მოთმინების ფიალგადავსებული ხალხიც დიდი მონღოლებით აჰყვა; როგორ შეიძლება იყოს გამყიდველის დამხობის მქადაგებელს გვერდით არ დაუდგა.

ელვარდის ტახტმა აშკარად ყანყალი დაიწყო. შეშფოთდა ლაზარე, რა იღონოს? აჩქარება არ ივარგებს. ვინ იცის, რამ ახე აქვს დაგებული ამ აკრიახებულ მის ბარტყებად ნამყოფებისათვის; არადა ყველა ყოფილი მისი თანამოქალაქეა. სიცრუე, დემოგოგია, თვალის ახვევა, არასაიმედოებზე ანგარიშსწორება, მოკლე, ელვარდის მუხთლობის არსენალიდან აღჭურვილი ელვარდისტები მასვე ავირნებენ. რა ხდება? ამგვარ სიტუაციაში პირველად დაიბნა ლაზარე. თავისი კერპიდანაც ინსტრუქცია

რომ არ მიუღია, როგორ მოქცევს? თბილისში კი ხალხი ზღვასავით დედავდა. ელვარდი მისმა გამოზრდილებმა პარლამენტრიან გამოაბანდურეს **„გადადექი, გადადექი“** დრიალით. თბილისში ხალხი შეიმობდა. ელვარდ შევარდნის სკამი გარეთ გამოაგდეს, დაწვეს და გააცამტვერეს.

ლაზარე ყოველივე ამას ტელევიზორით უყურებდა. ნახა **“რეგულაციონერტა”** სამეული როგორი მოწიწებით შესცივებდა ელვარდ მარჩენალს, რომელიც ამ ტრიუმფირატს მოწიწებდასავით მიუგლო პრეზიდენტობიდან გადადგომა, ამით კი ისეთი პრივილეგიები შესთავაზეს, თავისი ნებით რომ წასულიყო, უკეთესს ვერ ინატრებდა.

ქალაქის ქუჩებში კი ხალხი შეიმობდა საკუთარ სატანურ გაბითურებას, რომელსაც რეგულაცია უწოდეს, თანაც – ვარდების.

ახლა კი აულო აღლო ლაზარემ ელვარდ დამაქცევარის ჩაფიქრებულ სიმუხთლეს.

– ამას რომელი ნორმალური ტინი მოიგონებდა, კაცო, როგორი ზარ-ზეიმით გადაბარა ცოდვით და დაღატოთ გააბოხილი სივალბე მასზე უარესებს; სხვანაირად ხომ გაწეწვა არ ასცდებოდა, – ბუტბუტებდა ლაზარე და ახლა უკვე იცოდა, ელვარდის მუხთლობისათვის როგორ აეწყო ფეხი. ადრე ხომ ელვარდით ყველა თავისი გამოზრდილი პარაზიტი **“ნაციონალურ”** მოძრაობაში შეყარა, ხალხის გასაბოთლებლად გადადებდა ამ **“მოქალაქეთა კავშირში”**. ისინიც ხომ დარბოდნენ დედაქალაქში **„გადადექი, გადადექი“** დრიალით.

გასაგებია, ახლა ლაზარემაც ელვარდით უნდა მოუწიოს თავის თავს **“ვარდების რეგულაცია”**.

საღამოთი მის კაბინეტში საიდუმლოდ შეიკრიბნენ გუბერნიის ნაციონალთა ბელადი – შახტი-კოლა, კანცელარიის უფროსი – ფუფადა და არჩევნების გაყარების ოსტატი – ლესტამბერა; ყველა ლაზარის მიერ გამოზრდილი მოქალაქეთა კავშირელი ნაციონალებად გადადებილები.

– ჩემი გამოწვითობილება ხართ, – დაიწყო ლაზარემ, – მოგაპარინეთ, მოგახვეჭინეთ, ქვეყანა გაძარცვინეთ, ხელისუფლებაში ფეხი მოგაკიდებინეთ. ასეთები ჰყავდა ელვარდ პრეზიდენტს, ვარდების რეგულაციის სახელით რომ გადაბარა ქვეყნის საღავეები; ესაა ვენი მოაოხრებენ იმას, რაც ელვარდს ხალხმა არ გააკეთებინა. თქვენც ხომ ჩემები ხართ. ხვალის დან **“ვარდების რეგულაცია”** უნდა მომიწიოთ. მე ვითომ გამაქციეთ. ხალხს ვუღვარ და იოლად აგვევბათ. მე შეშინებული გადავდგები. შახტი-კოლა ჩემს ადგილზე გუბერნატორად გავა, ლესტამბერა – მთავრობის ხელმძღვანელად; ფუ-

ფადას – კანცელარია. ყველანი ნაციონალები ხართ და ზევიდანაც მხარს დაგიჭერენ. მერე მიადექით და დაეყანალოთ თუ ვინმეს რამე უშოვნია. რუსეთს აგინეთ, ამერიკელებს და თურქებს სველი ადგილები ულოკეთ; გამათხოვრებულნი ხალხი აბოთურეთ: ვეროპელები ვართო. დამშეულ უკბილო პენსიონერებს აქა-იქ უფასო სასაღილოები მოუწვევთ და შახტი-კოლა მაგარიო ანიფინეთ, შენობების ფასადები შეთხუპნეთ, ობიექტების თვალს ახარებს. სამაგიეროდ, თუ რამე დარჩა ხალხისთვის საჭირო და სასიკეთო, ყველაფერი გაყიდეთ, ცოტა გამოაქვეყნეთ, ბევრი ჯიბეში ჩაიდეთ; ბიზნესმენები დაეყანალოთ ხალხის სახელთ, ხელად გამიღარივრებით, რაც უნდა მოხდეს, აღარაფერი გაგიჭირდებათ. ყველა ოპოზიცია ფულიანთა მუსიკაზე უკრავს. თქვენც შეარქვით ოპოზიცია იმათ, ვინც ხალხში თქვენი ლანძღვით, ზურგს უკან თქვენს წისქვილზე გადმოუდგას წყალს. ხმადავლა ქვეყნის სიყვარულით დადნით, ხმადავლა კი ისე გამოხარით, რომ როცა მოისურვებთ, მაშინ დაიშალოს. ეს დამოძღვრა დასაწყისისათვის იკმარეთ, დანარჩენს გზადაგზა შეგაშეგლებთ. ხვალ ხალხი დაიბარეთ და ლაზარს გადადგომა აყვირეთ. მე გაგიქცევთ, თქვენ ჩემს კაბინეტში შევარდებით, მაგიდაზე ჩაი დამრჩება, შახტი-კოლა, შენ იმ ჩიხის მოსვამ, ოღონდ სახელთო ცვივრის მოწმენდას უნდა გადაეწვიო, ახლა უკვე გუბერნატორი იქნები; საღამოთი კი ჩემთან მოხვალთ და გადადგომაზე განცხადებას გამოგატანთ.

ჩემი ლანძღვა-გინებით დაიწყო ყველა ფულიანის ძარცვა, ცემი-ტყევა და ჩატუსალება, ოღონდ, ზედმეტი არ მოგივიდეთ, არ დაგავიწყდეთ, რომ ჩვენ ერთნი ვართ...

ლაზარს დამოძღვრა ზუსტად შეასრულეს მისმა გამოზრდილებმა. თანამდებობებიც გაინაწილეს; სიცრუის, სიყალბის, ტრაბახის, თვალმამაკობის და ჩრდილოეთ მუხობელზე ლანძღვის კორიანტელი დააყენეს. ხალხი გვიან მოვიდა გონს, ცხოვრება უფრო დრმად რომ ჩაეფლო გაჭირვებისა და გაუსაძლისობის ჭაობში.

– ესენი ვინა ყოფილან, კაცო?! – გმინავდა ხალხი. – როგორ გავგაცურა იმ იულა შევარდნაძემ, ან აძენი ბნელეთის მოციქული სად შეაგროვა?! – მოსთქვამდა ხალხი და მოთმინების ფიალა უფრო სწრაფად ვესებოდა, ვიდრე ქვეყნის დამაქცევართა ამ ხროვას ჰქონდა გათვლილი.

თუ ხალხს ხელისუფლება სძულს და ის ხელისუფლება საკუთარ ხალხს ებრძვის, ამას როგორი დაცხადი ექნება, უბრალო კაცს მიხვდება და სატანის კულზე გამობმულ ლაზარს რა გამოეპარებოდა. საღამოს თავის-

თან დაიბარა ცნობილი სამეული დამოძღვრის ჩასატარებლად.

– აბა, ჩამოკაკლეთ, როგორ მიდის საქმეები? – მისალმების შემდეგ იკითხა ლაზარემ.

– ძალიან მაგრად, – შახტი-კოლა ყველას დაასწრო, რამეთუ ერთპიროვნულ მმართველად წარმოედგინა თავი და ამ ტრიუმფირატის ორივე წევრის მოშორება ჰქონდა ჩაფიქრებული. არადა ისტორიას ტრიუმფირატობა ერთპიროვნული დიქტატურის წინამორბედად ახსოვს, ერთი მიერ სხვა ორის მოცილების შემდეგ. პოდა, შახტი-კოლა ვისზე ნაკლები იყო კარიერის ამ ჭიის გარეშე რომ დარჩენილიყო. – ვარდების რეგულაციის უკრაინაშიც გავამარჯვებინეთ, სხვაგანაც ცვადეთ, მაგრამ სოროსმა ჩაისვარა, ამერიკელებმაც დროზე ვერ მოიქცეს გვერდები, ვითომ ჩვენ არაფერ შუაში ვართო. ამ კუკუმალობაში საქმე გაფუჭდა. ბელორუსიდან სულ კინწიკით გამოგვყარეს. რაღა დასამალია, ჩვენთან **“ვარდების რეგულაციის”** გამარჯვება შევარდნის დამსახურება იყო, ხალხი ისეთ დღეში ჩააგდო, იძახოდნენ: ოღონდ ეგ მოგვშორდეს, უარესი ხომ არაფერ მოვალ; სოროსის ფულმაც იმარჯვა. ახლა კი ხალხი ისეთ დღეშია შევარდნაძე სანატრული გაფუხადეთ. ბელორუსიაში კი სხვა სიტუაცია იყო: იქ ხალხი კარგად ცხოვრობს, არც არაფერი გაუყვიდათ, არც არაფერი დაუტაციათ; ფაბრიკა-ქარხნები ჩვეულებრივ უშაბობენ; ხალხი შრომობს და ბუნდოვანად ცხოვრობენ. იმათ რაში სჭირდებათ სოროსის ანკუსე გამობმული დოლარები, რომ შემდეგ ამათხავით გაამათხოვრონ. პოდა, დროშის ტარზე ნულარაფერს მკითხავ, ხუთჯვრიანი დროშები სულ თავზე გადაგავხრიწვეს. აქამდე ისეთი გულხეთქებით ჩამოვედით, უკან არ მიგვიხვდით. სამაგიეროდ, აქამდობად გამოგვაცხადეს და სოროსის ფულით დაგვაჯილდოვეს.

– ბელორუსიაში ვინ წაიყვანეთ?

– ხომ იცი, ამგვარ საქმეში სულ ისეთ ბიჭებს ვირჩევთ-ხოლმე, არაფრის მორიდება რომ არა აქვთ და არც არაფრისა სცხვენიათ: ჯამილოკიანთ ეგრეხას ხომ იცნობ, ლაპარაკის დროს თვალები წადმა-უკულმა რომ გაუბრის, თავს რომ გადააქნევს რეტიანი ბოტივით, თვალები ისე ეფანტება, მოგროვება უჭირს, აქ ხალხის დასაბნედად სულ მაგას ვიყენებთ ხოლმე; ზედადგარაანთ ბიუსტა – სარგადადლაპულივით რომაა და კისერს ძლივს აბრუნებს, პირსაც ვერ აღებს, სუპს ჩაის კოვზით ხერვს, მაგრამ ამ მოკუშულის პირით რუსეთის ისეთ გინებას ამოუშვებს ხოლმე, მთელი დღე დოლბანდი უნდა გქონდეს ცხვირზე მიფარებული; პოლიციელი რომაა – რაკარუკა, მთელი დღე რომ ილაპარაკოს, ერთ სიტყ-

ვას ვერ გაარჩევ. პოდა, ქაშიჭამიანთ ქსენიას გოგო – ბიბილაც გამოვაყოლეთ. მხოლოდ ის შიფრავს რაკარუკას ნათქვამს.

– სულ ეგენი იყავით?

– სხვაც ბევრი გვეყავდა, რომ ყვეერთი და დროშები ეფრიალებინათ. თუ საჩვენოდ წავიდოდა საქმე, აქ გამზადებული გვეყავდა ქინძიგულჯიანთ, ნამჯალექიანთ, ცალკალთაიანთ, თაქარქაშიანთ, ცალტვიანიანთ, სამჭკუაშილიანთ, ჯამილოკიანთ და სხვა გოგობიჭები. გადავერედით ბელორუსებს.

– აქ თუ დავრჩათ ვინმე ნორმალური ჭკუით?

– ვისაც თავში მწერები ჰყავს, ყველა ჩვენთანაა. დანარჩენები კიდევ ჩვენს დანახავზე და რაც ქვეყანაში ხდება, როგორ შეიძლება არ გადაირონ. სადაც კი რამიმე სამსახურია ყველგან ნაციონალები გვეყავს დანიშნული; სხვებს ამ უშუშელობის გაგანია გაჭირვებაში სამსახურს არ ვადირსებთ. დამლაგებლებიდან მოყოლებული მინისტრებამდე ყველა ნაციონალების მხეს უნდა ფიცულობდეს, არადა მოგჭამა ჭირი სამსახურმა; ეგრე კომუნისტებიც ვერ ახერხებდნენ ყველგან თავისიანების დანიშვნას. დამშეული ხალხისა კიდევ სულაც არ გვექმნია, გამოვიდნენ და იდრი-ალონ. ოპოზიციად მონათლულ ჩვენს გაპონებს შევაპარებთ ხოლმე და ხალხს სულ თავგზას აუბნევინ; მოკლედ, როგორც გვინდა, ისე ვკრივლებთ.

– ძალიან ჭკვიანად და ენერგიულად ირჯებით, – შეაქო ლაზარემ, – თუ გინდა სულ კარგად ყოფნა, ყველაფერში უნდა მიბაძოთ უფროსებს, არაფერი არ უნდა შეგეშალოთ, თორემ თავიანთ კაცად აღიარებენ და ისე გაგისწორებინან, რომ კანონისა და სამართლის იმედი ნუ გექნებათ. იმათ სამეულის ერთი წევრი გახით გაგუდეს თუ გაიგუდა, ხალხი ქვეყანას აქცევს, მოკლეს და მერე მოაწვევს გახით გაგუდვის ინსტრუქტორება. ის, თავდაცვის მინისტრად რომ ჰყავდათ და ჩახუტებული იყვნენ, როგორც მოხსნეს, ხომ შეყარა ქვეყანა, ამით მოკლეს, გახმა კი არა, თანაც იმ დიდფულიანი ბიზნესმენის მოკვლას მაგალებდნენ, რა გამოუვიდა, ფეხებიც ვერავის მოსჭამა. რატომ ხდება, რომ ამათ ვერაფერს აკლებენ, იცით? ისეთი ქვეყნის აგენტები არიან, რომ ასე იქნებიან, სანამ ის ძლიერი ქვეყანა თვითონ არ გამოაფრთხილებთ დაღვევლ რეჟიმისათვის, ისე, როგორც უკნეს შევარდნაძეს. მოკლედ, თქვენც ფეხი უნდა აუწყოთ ხალხის გაბითურების ამ თვალმამაკობას. კარგი იქნებოდა, ვინმე თქვენს შორის რომ გაგუდულიყო.

ბიზი სომხიშვილი,
მწერალი
(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

ლევან ვეფხვაძე: მიზან პირტუალური სამყარო იმსხვრევა

“ქრისტიან-დემოკრატი” ლევან ვეფხვაძე ხელისუფლების ახალ წამოწყებას – **“ვაფრინიზაციას”**, სააკაშვილის ვირტუალური სამყაროს მსხვრევის დადასტურებად აფასებს.

როგორც ლევან ვეფხვაძემ პარლამენტის პლენარულ სხდომაზე განაცხადა, **„ეს გადაწყვეტილება აქტუალური არ უნდა იყოს, მაშინ, როდესაც მთავრობა ამტკიცებს, რომ საზოგადოება დაღვინილია“**.

მისი თქმით, **“ქრისტიან-დემოკრატები”** სოფლებში ჩაივინდნენ, სადაც ნათელია, რომ სოფლის მოსახლეობისთვის ეს 20 და 30-ლარიანი ვაჭურები გადარჩენის ერთადერთი საშუალებაა.

“როცა გიორგი თარგამაძემ პარლამენტში გამართული დებატებისას მთავრობას ბრძენის მთავრობა უწოდა, ახლოებულმა დამირეკა და დანტერესდა, ხომ არ ეწყინებოდათ ეს განცხადება უსინათლოებს. მე განვუცხადებ, რომ ეგულისხმობათ იმ მთავრობას, რომელსაც თვალის ჩინი აქვს, მაგრამ ვერაფერს ხედავს. ჩემი ახლოებული დამეთანხმა და თქვა, რომ, მართალია, მთავრობა გვიმტკიცებს დაღვინილი ვცხოვრობთო, მაგრამ 20-30 ლარის მათხვერები გავგზადაო,” – განაცხადა ლევან ვეფხვაძემ.

New York Times: როდესაც კონსერვატიულ საქართველოში სექსუალურ მორალს არად აგდებ

„როდესაც კონსერვატიულ საქართველოში სექსუალურ მორალს არად აგდებ“ – ასეთი სათაურით აქვეყნებს სტატიას New York Times-ი.

„ტელევიზია, რომელზეც გავლენას ახდენს მთავრობა, კულტურულ ნორმებს ფრთხილად უბიძგებს ლიბერალიზაციის მიმართულებით. მსახიობი შორენა ბუგაშვილი ერთ-ერთია იმ მცირერიცხოვან საჯარო ფიგურებს შორის, რომელმაც სცადა ქალწულობაზე სრულმასშტაბიანი შეტევა მიეტანა, თუმცა ამბობს, რომ სცენარებს სხვები უშაბდებდნენ,” – წერს ჟურნალისტი.

ელენ ბარი აღნიშნავს, რომ სააკაშვილი და მისი თანამოაზრენი, რომლებიც ხელისუფლებაში 2004 წელს მოვიდნენ, ცდილობენ, არა მხოლოდ საქართველოს გეოპოლიტიკა, არამედ საზოგადოებაც შეცვალონ.

„მაგრამ ეს გარდაქმნა სარისკო ხდება, როდესაც პირადი ცხოვრება იცვლება. საქართველო მართლმადიდებელი ქრისტიანობის ქვეყანაა და ეკლესია, სოციალური გამოკითხვების თანახმად, ბევრად უსრებს მთავრობას, როგორც ყველაზე პოპულარული ინსტიტუტი. პატრიარქი ილია მეორე ხანდახან აკრიტიკებს ვესტერნიზატორებს, ასე მოხდა ამ ბოლოდროინდელი დღითმსახურებისას, როდესაც მან ქართველებს გააფრთხილა, რომ უცხოეთში სასწავლებლად წასულ ახალგაზრდებს მორალური ზიანი ადგებათ. გაღიზიანება განსაკუთრებით მაშინ ვლინდება, როცა საკითხი სექსს ეხება – სულ ბოლოს ეს გეი აღლუმის შესახებ გაგრძელებული ჭორების გამო მოხდა, რასაც საპატრიარქო „სოლომისტების სახალხო მარში უწოდა,” – აღნიშნავს ბარი.

შალვა ხაჭაპურიძე: „სააკაშვილი მოლაპაჯა და ის ოპოზიციური პარტიების, რომლებიც მასთან მოსალაპარაკებლად სვლიან



ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის კურსზე, ოპოზიციისა და ხელისუფლების ქმედებებზე საქინფორმს ადვოკატი და პარტიის - „გამარჯვებისთვის“ - ლიდერი შალვა ხაჭაპურიძე ესაუბრება.

– რას ფიქრობთ, ბატონო შალვა, პრეზიდენტის უკანასკნელ ინიციატივაზე, 30-დღიანი სასურსათო ვაუჩერებზე, მის საპარლამენტო გამოსვლაზე, როგორ ფიქრობთ, რამდენად გულწრფელია ჩვენი პრეზიდენტი საჯარო გამოსვლების დროს?

– არა მარტო სააკაშვილის იმდენად დიდი გამოსვლა, არამედ დაწვეული „ვარდების რევოლუციის“ დღიდან დღემდე მისი ყველა გამოსვლა იყო ფარისებური. არსებობს ასეთი პოლიტიკური ტერმინი „სკამის პოლიტიკოსები“ და ეს ადამიანი გახლავთ წმინდა წყლის სკამის პოლიტიკოსი, რომლისთვისაც საქართველოს მოსახლეობის ბედ-იბაღი არის მეთავეს ხარისხი. მიხეილ სააკაშვილი ატარებს ქვეყანაში

ისეთ სოციალურ და ეკონომიკურ პოლიტიკას, რომლის წყალობითაც საქართველოს მოსახლეობის უზარმაზარი ნაწილი ტოვებს საკუთარ სახლ-კარს და მიდის საზღვარგარეთ მოსამსახურედ და მომვლელად.

საშინელი მდგომარეობაა ქვეყანაში. დღეს თბილისის მერიაში მუშაობს დაახლოებით 300 ადამიანი და ეს 300 ადამიანი იღებს იმდენივე ხელფასს, რასაც – 29 000 პენსიონერი. გუბერნატორის ხელფასი დახლოებით 7 000 დოლარია და ამ დროს მინიმალური ხელფასი ქვეყანაში არის 150 ლარი. ასეთი ბაღანის კატასტროფა და უნამუსობაა. ხელისუფლებაში მოვიდა ავანტიურისტების ჯგუფი, რომელმაც ისარგებლა წინა ხელისუფლების სისუსტით, დაეპატრონა ქვეყანას და ატარებს ქვეყნის დამღუპველ პოლიტიკას, ანიაკებს ქვეყნის ეკონომიკას. იცით, ალბათ, რამხელა სახლს უშენებს სააკაშვილი მეუღლეს.

საკაშვილის პოლიტიკა არის, რაც შეიძლება მეტი ხალხი გააქციოს ქვეყნიდან და დარჩეს მხოლოდ ნაციონალების მომხრე ერთი მუჭა ბრბო.

– უკანასკნელ პერიოდში მსოფლიო სერიოზული პოლიტიკური ცვლილებების წინაშეა. როგორ ფიქრობთ, შესაძლებელია თუ არა იგივე მოვლენები განვითარდეს საქართველოში, რაც მოხდა ეგვიპტეში, ტუნისში, იემენში და სხვ.?

– ძალიან დიდი საპროტესტო ტალღა დაიწყო მსოფლიოში და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ეს ტალღა უკვე შემოვიდა კავკასიაშიც, კერძოდ – სომხეთში. სომხეთის ოპოზიციას, უკვე 6 თვეა, შეტანილი აქვს პააგის სასამართლოში სარჩელი, სადაც სომხეთის პრეზიდენტს ბრალად სდებს სახელმწიფო დანაშაულის ჩადენას. უახლოეს დღეებში დაეგეგმილია სომხეთში

აქციები და დარწმუნებული ვარ სომხეთის ოპოზიცია პრეზიდენტის გადაყენებას შეძლებს. საქართველოს რევოლუცია უკვე კარს მოადგა. არსებობს ხელისუფლების შეცვლის ორი გზა – ან სამართლიანი არჩევნების გზა, რომელიც ამ ხელისუფლების ხელში წარმოუდგენელია, და მეორე – თუ სახელმწიფო არ გაძღვეს არჩევნების გზით ხელისუფლების შეცვლის შესაძლებლობას, მაშინ ხალხმა თავად უნდა აიღოს ძალაუფლება ხელში.

მე არ მესმის იმ ოპოზიციური პარტიებისა, რომლებიც რაღაც მოლაპარაკებებს ასორცილებენ ხელისუფლებასთან. ვთვლი, რომ სააკაშვილი არის მოლაპატე და ის პარტიებიც, რომლებიც მიდიან და სხვებთან მასთან მოსალაპარაკებლად. სააკაშვილი ამ ქვეყნისთვის არ ზრუნავს და, როდესაც პრეზიდენტი ქვეყანაზე არ ზრუნავს, საზოგადოებამ უნდა გამოაცხადოს ეროვნული დაუპირიქილობა. მინდა გითხროთ, რომ ხალხი ამისთვის უკვე მზადაა. მათ სჭირდებათ ლიდერი, რომელიც არ შეეკრება ხელისუფლებას, არ შეუშინდება, არ გაიყიდება და დამერწმუნეთ, ხალხი სააკაშვილს და მის დაჯგუფებას ნამოაშორებს ხელისუფლებას. ეს არის აუცილებელი და გარდაუვალი პროცესი. დააკვირდით ამერიკის პრეზიდენტის – ბარაკ ობამას ბოლოდროინდელ განცხადებებს. სახლში ხომ ვერ შემოვივარდება და გვერცხის – გინდა თუ არა, გამოდით. ამბობს, რომ ძალაუფლება უნდა აიღოს ხალხმა, რომ დემოკრატია არის უმთავრესი საკითხი, რომელიც სახელმწიფოს აღმშენებლობაში უნდა არსებობდეს.

ნაციონალებს უნდათ, სააკაშვილი ჩაანაცვლონ ბოკერიებით, მსგავსი პიროვნებებით, რათა გააგრძელონ ის დამღუპველი პოლიტიკა, რასაც დღეს ატარებს სააკაშვილი. ეს არ უნდა დაგუშვათ! უნდა მოვახდინოთ

რევოლუცია, რომლის მეშვეობითაც ხელისუფლების სათავეში მოვლენ პარტიოტი და პარტიოსანი ადამიანები.

– ოპოზიციურ პარტიებზე რას იტყვით, როგორ შეაფასებთ მათ, არის საქართველოში ის ძალა რომელიც მიხეილ სააკაშვილს დაუპირისპირდება?

– საერთოდ, ტირანის პირობებში ოპოზიციური პარტიები, როგორც წესი, არა თუ სუსტები არიან, არამედ ზოგან საერთოდ არ არსებობენ. სააკაშვილსაც შეეძლო და ადვილად მოახერხებდა, საქართველოში ოპოზიციურ პარტიებს რომ არ ეარსება, მაგრამ ბევრი ოპოზიციური პარტია სპეციალურადაა იმისათვის შექმნილი, რომ სააკაშვილმა თქვას, აი, მე ქვეყანაში დემოკრატია მაქვსო. პარტია, რომელიც დღეს ხალხს არ მოუწოდებს ეროვნული დაუპირიქილობისკენ, იმისათვის, რომ გაუშვან სააკაშვილის რეჟიმი, ვთვლი, რომ ის არის სახელისუფლო პარტია. პარტია, რომელიც, ასევე, მოუწოდებდა დაუპირიქებს ხალხს ქუჩაში გამოეყვანას, ვთვლი, რომ ხელისუფლების თამაშს თამაშობს, ასეთი პარტიები კი ჩვენს ქვეყანაში ბევრია.

– საგარეო პოლიტიკას რაც შეეხება, როგორ შეაფასებთ სააკაშვილის „ერთიანი კავკასიური სახლის“ შექმნის იდეას?

– ჩვენ გვინდა თუ არა, რუსეთი არის ჩვენი მეზობელი. თუ მეზობელთან ჩხუბი მოგვა, ნორმალური, დალაგებული ადამიანი ყველანაირად ეცდება, ეს ჩხუბი მეტად არ გააღვივოს და პირიქით, მეზობლებს შორის მომხდარი დავა რაღაცნაირად მოაწესრიგოს. მაგრამ სააკაშვილი ასე არ იქცევა.

ჩრდილოკავკასიელები დღეს რუსეთის ფედერაციის ნაწილია. მაშინ გამოვიდეს სააკაშვილი და აღიაროს ჩვენთვის დამოუკიდებლობა. ცოტა გაუგებარია, რუსეთის სახელმწიფოს ასევე და რუსეთის

სახელმწიფოს მოქალაქეებს აძლევთ თავისუფლად საქართველოში შემოსვლის უფლებას? რუსეთის გაწვევებზე „ერთიანი კავკასიური სახლი“ უარს ამბობს და მის ფედერაციაში შემაჯავლ ქვეყნებს ეპატივები?! ანუ ციმბირელ რუსს არ აქვს საზღვრის გადაკვეთის უფლება, მაგრამ რუსეთის ფედერაციის წევრ ჩვენს კი? ეს ჩემთვის არის აბსურდი.

ის მდგომარეობა, რაშიც ჩვენ ახლა ვართ, სწორედ სააკაშვილის სიგიჟეების ბრალია. ამის გაგრძელება ყოველად დაუშვებელია, კატასტროფის წინაშე აღმოვჩნდებით. აღარაფერს ვამბობ იმაზე, რომ ჩვენს ჯერჯერობით არ მოუხდია საქართველოსთვის ბოდიში, აფხაზეთში ქართველების მოკრიბი თავებით ფეხბურთი რომ თამაშეს. ვერ გავიგე, სააკაშვილს რა მიზანი ამოძრავებს. რუსეთს რამეს დააკლებს თუ რა? რუსეთთან საქართველომ უნდა დაამკაროს ნორმალური, კეთილმეზობლური ურთიერთობა, როგორც ურთიერთობასაც ამყარებენ პარტნიორები. მაგრამ ამისთვის ჯერ საქართველო უნდა ჩამოყალიბდეს ნორმალური, განვითარებული სახელმწიფოდ და წარსდგეს მსოფლიოს წინაშე, როგორც სრულფასოვანი ქვეყანა. როდესაც სახელმწიფო არ ხარ, არც არაფერს გექცევა ღირსეულად. სააკაშვილმა რაც დაიმსახურა, ის მიიღო 2008 წლის აგვისტოში. ყველას გახსოვთ, ალბათ, მისი განცხადებები „ერთ საათში ცხინვალში ვიქნებით“, ასე ვიხამოთ, ისე ვიხამოთ. ეს ომი არის სააკაშვილის სინდისზე. ჩვენი ბრალი კი ის არის, რომ სააკაშვილს ქართველ ხალხს, დაიწყო მზადება იმ უზარმაზარი მოძრაობისთვის, რომელიც უნდა დამთავრდეს ჩვენი გამარჯვებით. ან უნდა გადავყენოთ ეს ხელისუფლება, ან უნდა გადავბრუნდეთ და მოვკვდეთ. სხვა გზა არ არსებობს.

რედაქციაში წერილი მოვიდა

ამას წინათ გაზეთის მთავარი რედაქტორის მოადგილემ ბატონმა დავით ქობალიამ წერილი მიიღო ჩვენი აქტიური მკითხველისაგან, ზუგდიდის მკვიდრ ბიბა ძამთარაძისაგან. „გამარჯობა ბატონო დავით,

როგორ გიკითხობთ ბ-ნო დავით, როგორ მიდის გაზეთის საქმეები? ერთი თხოვნა თუ კითხვა მექნება თქვენთან თქვენის ნებართვით. მე ყურადღებით ვკითხულობ ხოლმე თქვენს გაზეთს "ილორი"-ს და მოუთმენლად ველოდები მის შემდეგ ნომრებსაც. ძალიან მაინტერესებს განსაკუთრებით გაზეთში გამოქვეყნებული მასალები სამეგრელოსთან, ზოგადად ძველ კოლხეთთან და მეგრულ ენასთან დაკავშირებით. ძალიან მომწონს ბ-ონ კუკური ფიფიას სტატიები და მათ ყოველთვის დიდი ინტერესით ვაკიდებ, ასევე არის სხვა ავტორები რომელთა სტატიებიც განსაკუთრებით მაინტერესებს. თქვენს სტატიებსაც დიდ ყურადღებით ვკითხულობ და არ მახსოვს ზუსტად რომელ ნომერში იყო, ძალიან დამწუხვებელი იქნა იმ სიბრძნის სიმწვავემ რაზედაც თქვენ თქვენს გერმანელ მეგობართან ერთად საუბრობთ საქართველოსა და გერმანიის მომავალზე, იმაზე, თუ რა გველის და რა ელოდება ჩვენს ქვეყანას უახლოეს მომავალში. მაგრამ იმედს ვიტოვებ, დემერტმა გვაშოროს მსგავსი რამ.

გამომდინარე იქიდან რომ მე გაზეთ "ილორი"-ის ნომრები 70 ნომრიდან მოყოლებული მაქვს მხოლოდ, არ მქონდა იმის საშუალება მის წინა ნომრებში გამოქვეყნებულ სტატიებს გავცნობოდი, ამიტომ მაინტერესებს თუ არის ბატონ კუკური ფიფიას ნაშრომი წიგნად გამოცემული, თუ არ ვცდები არის და "ძველკოლხური საიდუმლოებანი" ქვია და სად შეიძლება ამ წიგნის მონახვა, ან თუ არის შესაძლებელი თქვენს გაზეთის ადრინდელ ნომრებსაც გავცნო. ეხლა მე მაქვს 70 და 106 ნომრამდე. მადლობელი ვიქნები თუ გაზეთის არცერთი ნომერი არ გამომეპარება, თუ რა თქმა უნდა ეს შესაძლებელი იქნება.

და ბოლოს კიდევ ერთი თხოვნა, თუ შეიძლება ზოგი სტატიები გაზეთი "ილორი"-დან, რა თქმა უნდა, წყაროს მითითებით მეგრული ენის ფეისბუქის გვერდზეც დავდო ხოლმე?

პატივისცემით, გიგა ქავთარაძე, ზუგდიდი”

მივესალმებით რა ჩვენი მკითხველის ინიციატივას, ჩვენ სიამოვნებით ვრთავთ ნებას ბატონ გიორგი ქავთარაძეს საკუთარი შეხედულებისამებრ გამოიყენოს გაზეთში გამოქვეყნებული ნებისმიერი ინფორმაცია და განათავსოს იგი ფეისბუქის გვერდზე. ამავე დროს, სასურველია, რომ მკითხველებმა უფრო აქტიურად ითანამშრომლონ გაზეთთან და ხშირად გამოგვიგზავნონ საკუთარი შეხედულებები ამა თუ იმ პუბლიკაციაზე, რომელსაც ჩვენ სისტემატურად დავუთმობთ ადგილს "ილორის" ფურცლებზე. გაზეთ "ილორის" რედაქცია.

ადვოკატების მოთხოვნა – არ შეუშვან მაღალჩინოსნები ევროკავშირის ტერიტორიაზე

ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარე ზაზა ხატიაშვილი მიხეილ სააკაშვილის, ვანო მერაბიშვილის, ზურაბ ადეიშვილის, კონსტანტინე კუბლაშვილისა და ხათუნა კალმახელიძის ევროკავშირის ტერიტორიაზე შემვების აკრძალვას მოითხოვს.

როგორც „საქინფორმის“ კორესპონდენტს ადვოკატთა ასოციაციის პრესამსახურიდან აცნობეს, ზაზა ხატიაშვილი შესაბამისი წერილით ევროკომისიის თავმჯდომარე ჟოზე მანუელ ბარუზოს მიმართავს და დეტალურად აღწერს საქართველოში ადვოკატთა კორპუსის ინსტიტუციური დევნის ფაქტებს.

ევროკავშირში გასაგზავნ წერილს არასამთავრობო ორგანიზაციებიც მოაწერენ ხელს. მასში ადვოკატებისთვის პრობლემების შექმნასა და მათი უფლებების დარღვევაზეა საუბარი.

„მიუხედავად იმისა, რომ მთელი დემოკრატიული სამყარო ფოკუსირებულია ქართველ ადვოკატთა კორპუსის დასაცავად, საქართველოში ადვოკატებზე ძალადობის ფაქტები გრძელდება. აღნიშნულის დამადასტურებელი კიდევ ერთი მაგალითი 12 თებერვალს ადვოკატ ვარლამ ბალხამიშვილის ფიზიკური შეურაცხყოფაა“, – აცხადებენ ასოციაციის პრესამსახურში.



თეთრი სახლის პროპოზიციის სამსახურის უფროსად პომონასული დანიშნა


აშშ-ის პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ, აშშ-ის ისტორიაში პირველად, თეთრი სახლის პროტოკოლის სამსახურის მდივნის პოზიციაზე პომონასული დანიშნა.

ბერნარდის მოვალეობაში თეთრი სახლში ღონისძიებების დაგეგმვა და ჩატარება შედის. „ბენდიერი ვარ, რომ ეს პატივი მხვდა წილად. თეთრი სახლში ჩატარებული ღონისძიებებით ყოველთვის აღფრთოვანებული ვიყავი. ამ საქმიანობას სიამოვნებით გავაგრძელებ“, – განაცხადა ჯერემი ბერნარდი.

„ჯერემი ჩვენს ხელფას იხიარებს. მოუთმენლად ველოდებით, როდის შეუდგება საქმეს“, – ნათქვამია ბარაკ ობამას განცხადებაში.

აღსანიშნავია, რომ ბერნარდი ბარაკ ობამას დიდი ხნის მხარდამჭერია. ის კალიფორნიაში ობამას ფინანსურ კონსულტანტად მუშაობდა მის პრეზიდენტობამდე. შემდეგ საფრანგეთში აშშ-ის საელჩოს მრჩეველი იყო. ჯერემი ბერნარდი სექსუალური უმცირესობების უფლებების ცნობილი დამცველია.

ამჟამად აშშ-ის პრეზიდენტის ადმინისტრაციაში 150-მდე არატრადიციული სექსუალური ორიენტაციის თანამშრომელი მუშაობს.



ბერის XX საუკუნის საკითხის პენაჯარი

თარგმანი როლანდ ჯალალნიასი

კი ერთად ისაძლიერეს. ამიტომ, დღის თორმეტი საათიდან 6 საათამდე იაკოვლევის გზა-კვალს ვერსად მიაკვლიეს. იაკოვლევი ხომ მხოლოდ მთავარ საავიაციო სამმართველოზე იყო პასუხისმგებელი და სტალინს იგი ბევრად უფრო იშვიათად სჭირდებოდა, ვიდრე ბერია!

მართლაც, ბერია ნამდვილი ფიგარო იყო, მაგრამ მისი გამართობი კვლევის რიგში გაეროში, სამაგიეროდ, მას საქმის კეთება ანიჭებდა წარმოდგენილ სიაში მონაწილეს!

არსებობს ასეთი მცნება – “**ჰამბურგული ანგარიში**”. იგი საწყისი იღებს ჰელდოლში მსოფლიოს დასურული ჩემპიონატებიდან, რომელსაც XX საუკუნის დასაწყისში პერიოდულად მართავდნენ ცირკის არენაზე დახელოებული მოჭიდავეები, რომელთაც საამისოდ ჰამბურგის ცირკის შენობა ჰქონდათ დაქირავებული. მოჭიდავეთა ანტერპრენიორები მათ რეიტინგს ადგენდნენ მხოლოდ კომერციული ინტერესების გათვალისწინებით, რის გამოც ძლიერ მოჭიდავეებს აიძულებდნენ რომ დამარცხებულნიყვნენ სუსტ მოპაქერებთან. მაგრამ ხალხის ოსტატებს მაინც აინტერესებდათ რეალურ ძალთა ბალანსი და ამიტომაც იგი უპირველესად პასუხს აგებდა ანტიპიტლერული კოალიციის ქვეყნების მეთაურებთან მოლაპარაკებების წარმოებაზე.

მაშ, ტანკების წარმოებას ვინა აკონტროლებდა? სწორედ აქ იკვეთება რეალური პასუხი! ზალესსკის, რა თქმა უნდა, სიკვდილის მუქარით ვერ აღიარებინებდი, რომ ტანკების წარმოებაზე პასუხისმგებელი სწორედ ლავრენტი ბერია გახლდათ! მაგრამ, ისიც ხომ ფაქტია, რომ ე.წ. “ურანის კომისიაში”, რომელსაც დაარსებდნენ ლავრენტი ბერია ხელმძღვანელობდა, ძალიან ბევრი “ტანკისტი” აღმოჩნდა. ესენი იყვნენ ვ.მ. მალიშვილი, ნ.ლ. დუხოვი, ბ.გ. მუხომეოვი – მათი რიცხვი ძალიან დიდია და მათ ბერია სწორედ ტანკმშენებლობის დარგიდან იცნობდა.

აი, ასე დაახასიათა 1995 წელს გამოცემულ კოლექტიურ მონოგრაფიაში “პირველი საბჭოთა ატომური ბომბის შექმნა” ლავრენტი ბერია აკადემიკოსმა პეტროსიანცმა, რომელიც მას ჯერ კიდევ დიდი სამამულო ომის პერიოდში იცნობდა: “იყო რა ბუნებით ძალიან ჭკვიანი ადამიანი, რომელსაც პქონდა საოცარი ტექნიკური ადგილი (ახალგაზრდობაში დაამთავრა სამშენებლო-მექანიკური ტექნიკური სასწავლებელი, გატაცებული იყო არქიტექტურით), ომამდელ და ომის წლებში იგი მოეხვედრებოდა სამხედრო ტექნიკის უდიდეს სპეციალისტად. დიდი სამამულო ომის წლებში, კურირებდა რა სამხედრო წარმოებას სტალინის დაჯავლით და ხელმძღვანელობდა შესაბამის სახალხო კომისარიატებსაც, მან შესწავლა მოკლე ხანში არახალხულ სიმძლავრეებზე აყვანა ტანკების, საარტილერიო დანადგარების, ტყვიანობის, ყუმბარების და სხვა აღჭურვილობათა წარმოება, უზრუნველყო შავი და ფერადი მეტალურგიის დარგების შეუფერხებელი მუშაობა და სხვა.

პოლიტიკურს ვერცხვას და ქვეყნის სხვა უმაღლეს ხელმძღვანელებს შორის სწორედ ბერია აღმოჩნდა ყველაზე მეტად გათვითცნობიერებული ტექნიკური პოლიტიკისა და ტექნიკის საკითხებში. მე ამაში დავრწმუნდები არა ყურმოკრული ამბებში, არამედ მასთან უშუალო საქმიანი კონტაქტებით, როცა გვიწვევდა სატანკო წარმოებისა და ბირთვული იარაღის შექმნასთან დაკავშირებული ურთულესი საკითხების გადაწყვეტა...”

როგორც ჩვენ ვიცით (სახეებით “დემოკრატიული” წყაროებიდან), ბერია ასევე კურირებდა ტანკების, თვითმფრინავებისა და ძრავების წარმოებას. მაგრამ გვირის ვარსკვლავი მიიღო მხოლოდ შეიარაღებისა და ტყვიანობის წარმოებაში მიღწეულ წარმატებებისათვის, მიუხედავად იმისა, რომ ბერია უწევდა “ავიატორ” მალეკოვისა და “ტანკისტი” მოლოტოვის დახმევას.

ზალესსკის მიერ გამოცემულ ენციკლოპედიურ ლექსიკონში მოლოტოვის თაობაზე ნათქვამია, რომ “1941-1945 წლებში იგი იყო თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე – ფაქტობრივად საბჭოთა კავშირში მეორე

ადამიანი, იოსებ სტალინის შემდეგ”. მაგრამ მართლაც ასე იყო ეს? კალინინის სიკვდილამდე – 1946 წლამდე, ფორმალურად იგი გახლდათ საბჭოთა კავშირის მეთაური, მისი სიკვდილის შემდგომ კი ამ ფუნქციას ასრულებდა შვერნიკი. აი, სწორედ ასეთი ფორმალურად “მეორე პირი” გახლდათ საბჭოთა კავშირში, დიდი სამამულო ომის დაწყების შემდეგ, ვინაშენადაც მოლოტოვი, თუ მხედველობაში მივიღებთ მის ყოველდღიურ საქმიანობას ეკონომიკის ორგანიზაციის ხაზით.

რეალურად მეორე პირი კი მაშინ იყო ბერია, რომელიც 1944 წლის მაისის შემდეგ უკვე ოფიციალურად იყო აღიარებული სტალინის შემდეგ მეორე პირად.

თვით ზალესსკიც კი (რომელიც, როგორც ყველა ლიბერალი, რომელიც ორგანულად ვერ იტანს ბერიას) გვაუწყებს, რომ “თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის ხაზით ბერია პასუხისმგებელი იყო შეიარაღებისა და ტყვიანობის წარმოებაზე, ასევე (მალენკოვთან ერთად) თვითმფრინავების და საავიაციო ძრავების წარმოებაზე”. მოლოტოვის თაობაზე იგივე ზალესსკი წერს, რომ “თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის შემადგენლობაში იგი უპირველესად პასუხს აგებდა ანტიპიტლერული კოალიციის ქვეყნების მეთაურებთან მოლაპარაკებების წარმოებაზე”.

მაშ, ტანკების წარმოებას ვინა აკონტროლებდა?

სწორედ აქ იკვეთება რეალური პასუხი! ზალესსკის, რა თქმა უნდა, სიკვდილის მუქარით ვერ აღიარებინებდი, რომ ტანკების წარმოებაზე პასუხისმგებელი სწორედ ლავრენტი ბერია გახლდათ! მაგრამ, ისიც ხომ ფაქტია, რომ ე.წ. “ურანის კომისიაში”, რომელსაც დაარსებდნენ ლავრენტი ბერია ხელმძღვანელობდა, ძალიან ბევრი “ტანკისტი” აღმოჩნდა. ესენი იყვნენ ვ.მ. მალიშვილი, ნ.ლ. დუხოვი, ბ.გ. მუხომეოვი – მათი რიცხვი ძალიან დიდია და მათ ბერია სწორედ ტანკმშენებლობის დარგიდან იცნობდა.

აი, ასე დაახასიათა 1995 წელს გამოცემულ კოლექტიურ მონოგრაფიაში “პირველი საბჭოთა ატომური ბომბის შექმნა” ლავრენტი ბერია აკადემიკოსმა პეტროსიანცმა, რომელიც მას ჯერ კიდევ დიდი სამამულო ომის პერიოდში იცნობდა:

“იყო რა ბუნებით ძალიან ჭკვიანი ადამიანი, რომელსაც პქონდა საოცარი ტექნიკური ადგილი (ახალგაზრდობაში დაამთავრა სამშენებლო-მექანიკური ტექნიკური სასწავლებელი, გატაცებული იყო არქიტექტურით), ომამდელ და ომის წლებში იგი მოეხვედრებოდა სამხედრო ტექნიკის უდიდეს სპეციალისტად. დიდი სამამულო ომის წლებში, კურირებდა რა სამხედრო წარმოებას სტალინის დაჯავლით და ხელმძღვანელობდა შესაბამის სახალხო კომისარიატებსაც, მან შესწავლა მოკლე ხანში არახალხულ სიმძლავრეებზე აყვანა ტანკების, საარტილერიო დანადგარების, ტყვიანობის, ყუმბარების და სხვა აღჭურვილობათა წარმოება, უზრუნველყო შავი და ფერადი მეტალურგიის დარგების შეუფერხებელი მუშაობა და სხვა.

პოლიტიკურს ვერცხვას და ქვეყნის სხვა უმაღლეს ხელმძღვანელებს შორის სწორედ ბერია აღმოჩნდა ყველაზე მეტად გათვითცნობიერებული ტექნიკური პოლიტიკისა და ტექნიკის საკითხებში. მე ამაში დავრწმუნდები არა ყურმოკრული ამბებში, არამედ მასთან უშუალო საქმიანი კონტაქტებით, როცა გვიწვევდა სატანკო წარმოებისა და ბირთვული იარაღის შექმნასთან დაკავშირებული ურთულესი საკითხების გადაწყვეტა...”

როგორც ჩვენ ვიცით (სახეებით “დემოკრატიული” წყაროებიდან), ბერია ასევე კურირებდა ტანკების, თვითმფრინავებისა და ძრავების წარმოებას. მაგრამ გვირის ვარსკვლავი მიიღო მხოლოდ შეიარაღებისა და ტყვიანობის წარმოებაში მიღწეულ წარმატებებისათვის, მიუხედავად იმისა, რომ ბერია უწევდა “ავიატორ” მალეკოვისა და “ტანკისტი” მოლოტოვის დახმევას.

იგი დაინიშნა სსრკ მძიმე მრეწველობის სახალხო კომისიის მოადგილედ და კოლეგიის წევრად. 1940 წელს დაწინაურდა წარმშენებლობის მრეწველობის სახალხო კომისიის პირველ მოადგილედ. 1941 წლიდან სატანკო მრეწველობის სახალხო კომისიის მოადგილეა. 1943 წლიდან კი საინჟინერო-სატანკო სამსახურის გენერალ-მაიორი პეტროსიანცი ასევე “ტანკების” ხაზით მუშაობს უკვე სსრკ თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტში. გადავასწრებ რა მოვლენებს, წინასწარ გეტყვი, რომ 1946 წლის მიწურულს ბერიამ იგი აიყვანა ურანის პრობლემებზე მომუშავე ჯგუფში და დანიშნა პირველი მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილედ. აქ პეტროსიანცი ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფიგურად იქცა, გახდა აკადემიკოსი და სოციალისტური შრომის გმირი.

სამწუხაროა, ძვირფასო მკითხველო, რომ ამ ციტატის დასაწყისშივე არ გაგაცანით ეს დეაქლემოსილი ადამიანი, რომელსაც ღირსეული ადგილი აქვს მიენილი ქვეყნის ისტორიაში. აი, როგორ იწყებდა იგი თავის წერილს ბერიას თაობაზე:

“ლ.პ. ბერია 1938 წლიდან ხელმძღვანელობდა სსრკ შინსახკომს, მანამდე კი მუშაობდა აზერბაიჯანისა და საქართველოს საგანგებო კომისიისა და შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატებში. ეს უწყებები ბერიას თავდაცობით ახორციელებდნენ ჩვენების, ინგუშების, ოსების, ყირიმელი თათრების და სხვა მკვიდრი მოსახლეების დასჯასა და მათ გადასახლებაზე ფაზახეთისა და შუა აზიის სტეპებში. გერმანიასთან ომის დროს ბერიამ შექმნა “სმმრში” და უკანდახევის აღმკვეთი სპეცრაზმები, რომელთაც უამრავი ადამიანი იმსხვერპლეს.

მაგრამ ბერიას, დამსჯელსა და მასიური დაპატიმრების ორგანიზატორს, გააჩნდა სულ სხვა სახეც, იყო რა ბუნებით...” – დანარჩენი, ისე, როგორც ზემოთმოყვანილ ტექსტშია.

არ ვიცი მკითხველი როგორ აღიქვამს ამ სტრიქონებს, მაგრამ მე მისმა წაკითხვამ გაცინების ხასიათზე დამაყენა, თუმცა, სასაცილო აქ ნამდვილად არაფერია. პირადად პეტროსიანცი იცნობდა ბერიას მხოლოდ ერთ სახეს – ბრწყინვალე ორგანიზატორს, რომელსაც შეეძლო მუშაობა და სხვევისათვის სამუშაო პირობების შექმნა, მუხლნაწურვას, მრავალმხრივი ცოდნით და შესაძლებლობებით დაჯილდოებულ (რომლის საილუსტრაციოდ პეტროსიანცის მიერ ჩამოთვლილი ლავრენტი ბერია ფუნქციებიც იკმარებს) ბოლშევიკს, რომელიც არაფერს იშურებდა ქვეყნის გამარჯვებისათვის.

რაც შეეხება ბერიას მეორე სახეს – დამსჯელს, აქ უკვე პეტროსიანცი ნამდვილად არ იცნობდა პროფესიული მიღვაწეობით სსრკ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარს და იგი მხოლოდ სხვისი გამოცემით გვიხატავს ლავრენტის პორტრეტს.

სამწუხაროდ, მკითხველი ამას აუცილებლად შეამჩნევდა – ავტორის პირადი შეხედულება დამაჯერებელია, იმიტომ, რომ ის სრული სიმართლეა, ყურმოკრული და თითქმის გამოწვეული ამბავი კი, აშკარად ნაძალადევი კრიტიკის შთაბეჭდილებას სტოვებს და ამიტომაც არის არადამაჯერებელი და საერთო ქსოვილიდან ამოვარდნილი.

დიდი სამამულო ომის პერიოდის ჩემი მოთხრობები ლავრენტი ბერიაზე დასასრულს უახლოვდება, მაგრამ ზოგიერთი რამ მაინც უნდა ითქვას...

1945 წლის 9 მაისს უძიმესი ომი ფაშისტურ გერმანიასთან საბჭოთა კავშირის ბრწყინვალე გამარჯვებით დასრულდა. ახლა უკვე შეიძლება იმ ორი მსოფლიო ომის შედეგების შეჯამება, რაც რუსეთს ბედმა არგუნა მეოცე საუკუნეში.

ჯერ განვიხილოთ პირველი მსოფლიო ომი, რომელიც მონაწილეობდა ძველი, რევოლუციამდელი რუსეთი. და, აი, როგორ სურათს მივიღებთ...

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

მკითხველი ალბათ შეამჩნევდა, რომ დიდი სამამულო ომში ბერიას მოღვაწეობის ამას თუ იმ ასპექტის გადმოცემის შემდეგ, მე კვლავ ვუბრუნდები მისი დამსახურებების აღწერას, მაგრამ სხვაგვარად არც შეიძლება... ომის პერიოდში ბერია მართლაც ფიგაროსავით იყო – იგი ყველგან ყველავფერს ასწრებდა. წიგნის ამ თავს რომ ერთხელ კიდევ გადავავლე თვალი, დავრწმუნდები, რომ მასში არაფერია ნათქვამი ბერიაზე, როგორც 1942 წლის 13 მარტს თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის მიერ შექმნილი საგზაო მიმოსვლის სახალხო კომისარიატის (სმსკ) თანამშრომელთა ჯგუფის და თავდაცვის სახალხო კომისარიატის გენშტაბის სამხედრო უწყებათა გადაადგილების ცენტრალური სამმართველოს (გსუგცს) წევრობაზე, რომელთაც ხელმძღვანელობდნენ ლაზარ კაგანოვიჩი, როგორც მალეკოვი და თავად ლავრენტი პავლუჩი ძე ბერია.

(გსუგცს)-ს ყოფილი უფროსი, შემდეგ სახალხო კომისარი ი.კ. კოვალევი გახეთ “პრაავდაში” 1982 წლის 15 აპრილს ამის თაობაზე წერდა:

“1942 წლის 14 თებერვლის დამეს პირადად მიმიწვიეს სსრკ კომპარტიის პოლიტიკურსა და თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის ერთობლივ სხდომაზე... მე გაეხმაურე (გსუგცს)-ს აზრი ტრანსპორტის სისტემის არასაკმარისად განვითარების თაობაზე და სხდომაზე შევთავაზე, რომ თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტთან შექმნილიყო სპეციალური სატრანსპორტო კომიტეტი, რომელიც უხელმძღვანელებდა ყოველი სახის სარკინიგზო, საავიაციო, საავტომობილო, სამდინარო და სახლვაო ტრანსპორტის გადაადგილებას...”

ეს მნიშვნელოვანი მოვლენა გახლდათ. სპეციალურმა სატრანსპორტო კომიტეტმა, რომელშიც შევიდა პოლიტიკურს ოთხი წევრი, უმოკლეს ვადაში შეძლო საბჭოთა კავშირის სატრანსპორტო სისტემის რესურსების მოიბილიზება, უწყისიგებობის აღკვეთა და ყველა სახის ტრანსპორტის ეფექტურად გამოყენება, ასევე შეძლო უზრუნველყო მათი ქმედითი ურთიერთკავშირი”.

პოლიტიკურს ის სამი წევრი, რომელიც კოვალევის არ დაუსახელებია, დავასახელებ მე. მეოთხე წევრად მოიაზრება სტალინი, რომელმაც მისიხერად დაუჭირა მხარი კოვალევის და დაეთანხმა თუნდაც ფორმალურად, სატრანსპორტო კომიტეტის ავტორიტეტის ამაღლების თვალსაზრისით. მაგრამ აქაც, როგორც წესი, მთავარ გამოწვევას ძალას მაინც ბერია წარმოადგენდა. და ამიტომ, არა მხოლოდ ნაძირალური გამოხტომა, არამედ სასაცილოცაა ბერიას მიერ საყვარლებთან დროის უსასრულოდ გატარების ვერსიის გავრცელება. გარდა იმისა, რომ იგი ნამდვილად არ იყო დედათმავალი (გავიხსენოთ, თუ როგორ აუხურა მან გვერდები პოლონელ პრინცალონასთან სიყვარულში ჩაბირულ სეროვს), მას ვართობისა და სასიყვარულო თავგადასავლებისთვის ნამდვილად არ დარჩებოდა დრო.

მარშალი იაკოვლევი იხსენებდა, თუ როგორი განრისხებული იყო 1943 წელს სტალინი, როცა მისმა თანამშემწემ პოსკრევი მიწვევა “მთელი ორმოცი წუთის განმავლობაში” ვერ მოახერხა მისი, როგორც მთავარი საავიაციო სამმართველოს უფროსის მოიბილიზება, იმიტომ, რომ თურმე იაკოვლევი ვოროშილოვმა ჯერ საკავშირო საავიაციო ინსტიტუტში წაიყვანა შეხვედრაზე, შემდეგ



ფრიდონ თოღუა: ძნელია სხოვრება და მით უფრო უნდა გაკუფრდეთ ილოხით!

ფრიდონ თოღუას წარდგენა არ სჭრდება - საქართველოში მის ყველა იცნობს - როგორც მკურნალს, საზოგადო მოღვაწეს და კარგ კაცს. მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, აკადემიკოსი, მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პირველი ვიცე-პრეზიდენტი, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე, ქვეყნის ერთ-ერთი გამორჩეული კლინიკის ფუძემდებელი, სამედიცინო ხელმძღვანელი, საქართველოს და უცხო ქვეყნების სახელმწიფო ჯილდოების კავალერი და უამრავი რეგალიის მქონე საერთაშორისოდ აღიარებული მედიკოსი.

და მაინც, უპირველეს ყოვლისა, "მეურნალი და მაჯისმაცა შემტყობარი". ექიმია ჩვენი ინტელიგენცია ბატონი ფრიდონი - მოწოდებით და ცხოვრების წესით, სულისკეთებითაც, შეიძლება ასეც ითქვას.

სრულიად ახალგაზრდა წავიდა იგი თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ მოსკოვში, დასაბრუნებლად, გამოცდებების შესაძენად.

1990 წელს ბრუნდება საქართველოში.

21 პაციენტი საპროფესორო დავრი მხოლოდ იმ

- საქართველოში ჩამოვედი იმიტომ, რომ რაღაც გამეკეთებინა ჩემი ხალხისთვის, ჩემი ქვეყნისთვის, - ამბობს ბატონი ფრიდონი, - რაც შემეძლო, იმით რომ ამოვედგომოდი მხარში - ჩემი ცოდნით და გამოცდილებით. ახალგაზრდა ვიყავი, მოსკოვიდან რომ ჩამოვედი. ქართველები, ვინც სამშობლოში დაბრუნებას აპირებდა, ამ ასაკში უნდა წამოვიდნენ და არა პენსიონერობისა, როცა იქაც არავის ენდობდა, უცხოეთში. ჩვენ 21 კაცი 1990 წელს წამოვედით მოსკოვიდან კეთილშობილური გადაწყვეტილებით. 1992 წლისთვის კი დავრჩი მარტო მე.

დღეს ისინი კარგად არიან - თითქმის ყველა... მოსკოვში კლინიკებს ხელმძღვანელობს, ინსტიტუტის დირექტორიც არის, კათედრები აქვთ. მაგრამ მე უფრო მოგებულნი დავარჩი.

- რატომ?

- იმიტომ, რომ ჩემს ხალხთან ვარ ახალი ქვეყნის, ახალი ცხოვრების ჩამოყალიბების პროცესში. პრობლემები ყველგან არის ამ გარდამავალ პერიოდში, ჩვენთანაც არის და მათ გადაჭრაში შენი წვლილი უნდა შეიტანო. ასე მესმის მე პაციენტობის მიხედვით.

მარტოა დაწერა, როგორ გადავივით კაპიტალიზმიდან სოციალიზმში, პირიქით როგორ და რაწინადა უნდა გაკეთდეს, არავის დაუწერია და არავინ იცის. ასეთ ვითარებაშია საჭირო შენს ხალხთან ყოფნა.

მე ბედნიერი ვარ, რომ საშუალება მომეცა, ერთოფლეს პერიოდში ვყოფილიყავი თბილისში, რომელმაც დამიფასა ჩემი მოქმედებები შრომა და 1998 წელს თბილისის საპატიო მოქალაქის წოდება მომანიჭა.

სოციალიზმს ბევრი მინუსი ჰქონდა, მაგრამ, რაც დადებითი იყო, მაგალითად, ჯანდაცვა, განათლება, სოციალური უწყველყოფა, რატომ უნდა უარყოფო?! აქ დაგროვებულ გამოცდილებაზე რატომ უნდა ვთქვათ უარი?! არადა, სწორედ ამ სფეროებში დაგვიგროვდა დღეისთვის ბევრი პრობლემა და ბევრი გადასაწყვეტი საკითხი.

საბჭოთა კავშირის დანგრევა შოკის მომგვრელი იყო არა მარტო ჩემთვის, არამედ ხალხისთვის. მაგრამ, ასე თუ ისე, გამოვედით ამ მდგომარეობიდან, შევკვიდით საღად შეფასავსათ უახლესი ისტორია. ერთის მხრივ, არ უნდა დავიწყებოთ წარსულში, მეორე მხრივ, პირველად არ უნდა გადავუსვათ ხაზი იმდროინდელ მეცნიერულ მიღწევებს, კულტურას, ხელოვნებას.

სად არიან ის ტალანტები, მაშინ რომ გვეყავა? ხომ თავისუფალია დღეს შემოქმედი, მაგრამ რატომ არ იქნება შედეგები? ამ და მსგავს პრობლემებს ღრმად სჭირდება შესწავლა. თანამედროვე ანალიტიკოსებისგან რატომღაც არ მესმის პასუხი ამ კითხვაზე.

- პოლიტიკაში რომ არ გადავიტოვო, საუბრის მთავარ თემას რომ არ ავიტოვო, აქ დავსვათ წერტილი. რა მოგვცათ მოსკოვმა, ბატონო ფრიდონ?

- მომიცა ის, რომ გავხდი კარგი ექიმი. არ ვთვლი ჩემს თავს ცუდ ექიმად. ვისწავლე, როგორ უნდა მეცხოვრა. მოსკოვში რომ ჩავედი

60-იან წლებში, ქართველები აგერ-აგერ თუ ვიყავით - ლეო ბოკერია, კიდეც რამდენიმე. იყვნენ ჩვენ ირვევლევ რუსები, ებრაელები, სხვა ერის წარმომადგენლები. ყველა - ძლიერი იყო, ნიჭიერი და ამ "ინტერნაციონალიზმ" გამორჩეული რომ ყოფილიყავი, არასულად ბევრი უნდა გემუშავა, უწინარესად, - საკუთარ თავზე. ათჯერ მეტი უნდა გამეკეთებინა, ეს ამოცანა რომ გადამიწყვიტა. ასეთი მისწრაფება გამოიყვანა მოსკოვიდან.

მოსკოვი მაშინ მოწინავე მეცნიერული აზრის ცენტრი იყო, რაც მეცნიერული მიღწევების ათვისების შესახებ უნდა გარემოსა და პირობებს ქმნიდა.

- მაგრამ ამ სიახლეთა ზღვაში კარგი კომპასი გვჭირდება, გეზმარებოდნენ, გიკვალავდნენ გზას?

- ასეთები იყვნენ ჩემი უფროსი კოლეგები და მასწავლებლები. მაგრამ ამას აკეთებდნენ უდიდესი ტაქტით, პირიქით ღირსების ორმხრივი შენარჩუნებით. მაგალითად, აკადემიკოსი ალექსანდრ ვიშნევსკი, ჩემს შეცდომებს რომ შეამჩნევდა, ისე ინტელიგენტურად მომცემდა შენიშვნას, როგორც კოლეგიალურ რჩევას, და, რაც მთავარია, ისე, რომ ახლის ძიების, გაბედულად მოქმედების სურვილი არ გამჩნებოდა. ვინ ვიყავი მაშინ - 21-22 წლის ბიჭი, მაგრამ ისე მეცქეროდა, როგორც თანატოლს. ა. ვიშნევსკი ადამიანებს საერთოდ უდიდესი პატივისცემით ეკიდებოდა. დღემდე მასობის მისი შეგონება: - დაიხსომე, ხანდახმულ ადამიანებს პატივისცემით უნდა მოეპყრო, არ აწყენიო. რომ დაბრუნდები, შენც ისე მოგეცევიან, როგორც შენ ექცევიდი მათ. ხალხს მოფერება სჭირდება.

მოსკოვში პირველად ჩასული, მარტოდმარტო აღმოვჩნდი ა. ვიშნევსკის უზარმაზარ კლინიკაში, სადაც საბჭოთა კავშირის მიუღი ელიტა თავს იყრიდა სამკურნალოდ - კოსმონავტიკა, დიდი თეატრის მსოფლიო სახელის მქონე სოლისტები, სხვები. ბევრმა დღეს არც იცის მათი სახელები, მაგრამ მაშინ ისინი იყვნენ იმ ეპოქის უდიდესი წარმომადგენლები და თვითონ ქმნიდნენ ეპოქას.

- იცნობდით მათ?

- ვიცნობდი და კარგი ურთიერთობაც მქონდა. ჩემი დიავნოზით მკურნალობდნენ, გამოჯანმრთელდებოდნენ და ჩვენი ურთიერთობა შემდეგაც გრძელდებოდა.

- მათ შორის იყვნენ პარტიის გენერალური მდივნები?

- იყვნენ. ყველა დონის ხელმძღვანელები იყვნენ. იმ უმადლეს პოლიტიკურ მოღვაწეთა შორის, თქვენ რომ ასხენით, უმრავლესობა კარგები იყვნენ - ზოგი მოგვეფერებოდა, ზოგი - არა. მაგრამ ჩვენ ვასრულებდით ექიმის მოვალეობას, რომლისთვისაც ყველა ადამიანი ერთნაირია, პაციენტია, რომელსაც უნდა უმკურნალო.

განსაკუთრებით თბილი ურთიერთობა ჩამოგვიყალიბდა პირველი თაობის კოსმონავტებთან. ვემგობრობდი იური გაგარინთან, რუკაიშნიკოვთან, მათ კოლეგებთან და ხელმძღვანელებთან.

დამატებითი სტიმული ბასაჰანასაღმებლად

- ბატონო ფრიდონ, თქვენ ეს-ესა ასხენით თბილი დამოკიდებულება, რასაც უფროსი კოლეგები ხანგრძლივად და ისიც, რომ ასეთსავე დამოკიდებულებას პაციენტებისადმი გინერგავდნენ ისინი თქვენ. ასეთი ურთიერთობა, როგორც ექიმები ამბობენ, დამატებითი წამალია, სტიმულია განკურნებისთვის, ასე?

- ნამდვილად ასეა... მაგრამ არა-მარტო მედიცინაში. მართალია, პოლიტიკას წერტილი დავუსვით (ვიმობი), მაგრამ მაინც უნდა ვთქვა: როცა ღანძლიან ადამიანს პრესაში, საჯაროდ, მხოლოდ იმის საფუძველზე, რომ ვიდაცამ ამ კაცზე რაღაც თქვა, შეუმოწმებლად, ვაქტის დადასტურების, მეორე მხარესთან შეხვედრის გარეშე, არ ნიშნავს სიტყვის თავისუფლებას. მიმჩნია, რომ სწორედ ეს არის ადამიანის უფლებათა დარღვევა.

ახლოს ვიცნობ ოპოზიციური სპექტრის ხელმძღვანელებს და არა მარტო მათ. მაგრამ განა შეიძლება ის წერილმანი კინკლაობა - შენ ეს გააკეთე, შენ ისეთი ხარ, რის უფლებასაც ისინი საკუთარ თავს აძლევენ, საქვეყნოდ გასიონტონო, პოლიტიკის რანგში აიყვანო? დარწმუნებული ვარ, არ შეიძლება.

პრეზიდენტი ითვალისწინებს თუ გულმოდგინებით

- გულმოდგინებით, რომელიც ექიმების თანხმებით თვისება იყო ყოველთვის, რომ ვერ ვხედავ ამ ფორმულაში - საბაზრო ეკონომიკის პრინციპებში? მსგავსებაში მაქვს,

ადამიანურ თბილ დამოკიდებულებას რომ უგულვებელყოფო, მერე ვაინდნება პრობლემები, მათ შორის ჯანმრთელობის პრობლემებიც. პატარა ერი ვართ, მცირე რიცხოვანი, მიმტვერებლები უნდა ვიყოთ ერთმანეთისადმი. ესაა მთავარი.

ბევრმა მაწყენინა ცხოვრებაში, აქ, ჩვეთთან, საქართველოში. მაგრამ იმათი დღეს გვასწავლოს, რითაც ფრიალდაკვირებულნი არიან. ეს წუთია, ჩემგან წავიდა ერთი ცნობილი პიროვნება, ვისთანაც ახლო ურთიერთობა მქონდა მოსკოვში წასვლამდე. დაბრუნების შემდეგ ყველაზე ბევრი ცუდი მან გამიკეთა - დაუფარავად გამოხატავდა ჩემ მიმართ აგრესიას - რა უნდა გვასწავლოს, რითაა ჩვენზე მეტი, მერე რა, რომ მოსკოვში მოღვაწეობდა და ასე შემდეგ და ასე შემდეგ. დღეს, როცა გაუჭირდა, მე აღმოვჩნდი ერთადერთი, ვინც დახმარების ხელი გაუწოდა.

- ეს თვისება მოსკოვში შეიძინეთ?

- არა, დედამისიგან გამომიყვანა... ხშირად მეტყვოდა ხუმრობით: რომ გაჯილდოვებენ, წოდებებს რომ განიჭებენ, სულ ფრიდონ იპოლიტოვისს გუბახიან, ნინას არაფერი გაუკეთებია შენთვის? იცინოდა ხოლმე გულიანად.

- პრეზიდენტი გახდა ცხოვრება.

- მართალია. მაგრამ მით უფრო მეტი ყურადღება სჭირდება ხალხს. ერთი ცნობილი პიროვნება მეკამათება ყოველთვის, რატომ არ არისო ქარხნები და ფაბრიკები საქართველოში. მართალია - არ არის. მაგრამ იმიტომ კი არ არის, რომ არ გვინდა, არამედ იმიტომ, რომ ის მრეწველობა, რომელიც საბჭოთა სისტემაზე იყო აგებული, დაიშალა, რაც გვეკონდა, პარკში გამოკიდებული დარჩა - ნედლეულის, მასალების, გასაღვე-ბაზრის გარეშე. ხალხი კი, რომელიც ამ მრეწველობაში იყო დასაქმებული, უმუშევარი დარჩა.

ამიტომ ვამბობ, რომ ხალხს მეტი ყურადღება სჭირდება. თუ მომგებიანი არ არის საწარმო, რაინდ კარგად ჰქონდეს აწვობილი საქმე, განწირულია დასახურად. პრაგმატიკა დრომ მოიტანა.

- მაგრამ, როგორც ვიცო, პრაგმატიკა ყოველთვის და ყველაფერში, უწინარესად კი, ადამიანურ ურთიერთობებში გადაწყვეტი არ არის. უამრავ გაჭირვებულს უნდა გარდაეხადო, თქვენ, ბატონო ფრიდონ. საბაზრო პრინციპებიდან გამომდინარე კი ეს წამებებიანია. დინების წინააღმდეგ მიდინარე?

- აბა, როგორ უნდა მოვიქცე, როცა ადამიანს უჭირს და არავითარი საშუალება არ აქვს, გადაიხადოს ფული სამედიცინო მომსახურებისთვის?!

- მომგებიანი რომ არ არის?

- მომგებიანი რას ნიშნავს? ექიმს ხომ უნდა მიეცეთ ხელფასი, სხვა თუ არაფერი, გადავიხადოთ კომუნალური გადასახადი, რომელიც დღით-დღით იზრდება. ჩვენ კი 1994 წლიდან (ჩვენს ინსტიტუტზე ვლაპარაკობ), სახელმწიფოსგან არც ერთი კაპიტი არ მიუღია. თვითდაფინანსებაზე ვართ. ვიღებდით ბანკის კრედიტს, ვაშენებდით ინსტიტუტს, აღჭურვავდით თანამედროვე სამედიცინო აპარატურით, შემდეგ ვისტუმრებდით ამ კრედიტს.

ასე მოვედით დღემდე. დღეს კი თამამად შემიძლია ვთქვა, ჩვენი კლინიკა ერთ-ერთი საუკეთესოა ევროპაში. გრანდიოზობიანით არ ვართ გატაცებული. ჩვენი ინსტიტუტი კომპაქტურია, მაგრამ, აბა, ვინმემ გვითხროს, რომ მასთანაც წელიწადში 2000 ოპერაციას აკეთებენ? ჩვენ ვაკეთებთ!

- რისი წყალობით?

- სხვა მენტალიტეტით ვცხოვრობთ.

- ეს რას ნიშნავს?

- ახლავე მოგახსენებთ: რა ქმნის დღეს მაღალმწარმოებელურ, მეცნიერულ ბატედად, მომგებიან ეკონომიკას? უწინარეს ყოვლისა, პროფესიონალიზმი. მეორე, მკაცრი დისციპლინა, რასაც განმარტება არ სჭირდება. ამ ორი კომპონენტის ერთობლიობა თანამედროვე ეკონომიკის წარმატების საფუძველია.

პრეზიდენტი ითვალისწინებს თუ გულმოდგინებით

- გულმოდგინებით, რომელიც ექიმების თანხმებით თვისება იყო ყოველთვის, რომ ვერ ვხედავ ამ ფორმულაში - საბაზრო ეკონომიკის პრინციპებში? მსგავსებაში მაქვს,

უწინარეს ყოვლისა, საერო ექიმების ლეგენდად შემორჩენილი დამოკიდებულება პაციენტებთან, რომელთაც, როგორც წესი, ეხმარებოდნენ მედიკამენტებით, არც თუ იშვიათად, მატერიალურადაც.

- ჯერ ერთი, ჩვენი ქართული მენტალიტეტი და მხარში ამოღობის ტრადიცია ნებისმიერ ეკონომიკურ პრინციპზე მაღლა დგას. მაგრამ, ამასთან ერთად, ანგარიშს უწევთ არსებულ რეალობას და ჩვენს ბიუჯეტში გათვალისწინებული გვაქვს გარკვეული პროცენტი ქვემოქმედებისთვის. ბევრი ადამიანი მოსულა ჩემთან, რომელსაც არც ფინანსური საშუალება აქვს, არც - დახდევა, არც რომელიმე პროგრამაშია ჩართული. როგორ უნდა უშველოს მან ოჯახის ავადმყოფ წევრს? რა ქნას? თვალები ცრემლით აქვს საცხე-უქირსი ლაპარაკი.

მე თვითონ მიმავს ასეთი კაცი ან მისი ოჯახის წევრი გამოსაკლევად და დიავნოზის დასახმელად. ვერაინ მისაყვედურებს, რატომ ვიქცევი ასე.

არაერთი სახელმწიფო დაწესებულება იყო საქართველოში, რომელიც წამყვან პოზიციებზე იდგა საბჭოთა კავშირის დროს. ახალ ვითარებაში ერთი დირექტორი მეორეში შეიცვალა, მეორე - მესამეში, მაგრამ თანდათან დაიკარგა ის წამყვანი პოზიციები, რომლებზეც მოგახსენეთ. ჩემი აზრით, ამ შემთხვევაში პიროვნებაზეა დამოკიდებული. შეიძლება ბრწყინვალე ექიმი იყო, ბრწყინვალე ქირურგი, მაგრამ, თუ დღემდე არ მოუცია ორგანიზაციურული ნიჭი და უნარი, ვერ მოუვლი შენს სამედიცინო დაწესებულებას.

ამიტომ ვურჩევ ბევრ ჩემს კოლეგას, უარი ეთქვას დირექტორობაზე და თავისი ადამიანური ნიჭი მიღიანად პროფესიისთვის მიეხმარა.

თავის ქებად ნუ ჩამითვლით, მაგრამ, აქ მუშაობა რომ დავიწყებ, მხოლოდ ერთი სართული გვექონდა. ახლა ერთი მრავალსართულიანი კორპუსი უკვე მწყობრშია და მეორე მიაგება. რაღაცის გაკეთება, ეტეობა, შევქმელი. ახლახან შემოვიტანეთ სამ მილიონ დოლარზე მეტი დირებულებით თანამედროვე აპარატურა.

მეამაყება, რომ მაგნიტური რეზონანსის ტომოგრაფი "სამი ტესლა" ჩვენიან დგას. რუსეთში ორია. რამდენი ადამიანი გადავარჩინეთ ამის წყალობით!

დილით გაუკეთებენ ავადმყოფს თავის ტვინის სიმსივნის ოპერაციას, საღამოს წამომიჯდარია. აი, რა დონეზე განვითარდა ტექნოლოგიები. ტექნოლოგიები შეიძლება შეიძინო, მაგრამ, თუ არ გვაქვს პროფესიონალი, ადამიანები მკურნალობის ფუნქციონობაზე დაუარაკო ფუჭია.

ოცი წლის განმავლობაში, რაც აქ ვმუშაობ, ჩემთვის მთავარი იყო ექიმის მომზადება, გადაამზადება, სამედიცინო კონგრესებში მათი მონაწილეობა, სპეციალიზაცია სახლ-ვარგავეთ.

შეჩერება ამ გზაზე დაუშვებელია, რადგან ტექნოლოგიები განუწყვეტლივ ვითარდება და, თუ ფხვადავს არ მიჰყვები, უშიგოდ ჩამორჩები.

- ასეთ უმკაცრეს პირობებში, ხეობრივი კრიტიკულები შეიძლება გავცრიტოთ ექიმს. როგორ ასერხებთ ამ "ტექნოკრატული დაავადების" თავიდან აცილებას?

- სამედიცინო დაწესებულებაში მთავარია მაღალი სულისკეთება, შიდა ატმოსფერო შემოქმედებითი, საქმიანი უნდა იყოს. არავითარი ვნის მიტან-მოტანა, განსაკუთრებით, ხელმძღვანელობის "საქმის კურსში ჩაყენება". თითოეულმა თანამშრომელმა უნდა იცოდეს, რომ იგი აქ მოსულია საშუალოდ. პაციენტს, რომელმაც გაატარებინა იშოვა ფული, გადავიხადა, ვაღებდელი ხარ პროფესიულად მოემსახური. მენტალიტეტი - "როგორ, მე ვინმეს მონაგარ?" - აუცილებლად უნდა დაიძლიოს. რადგან პაციენტს გადახდილი აქვს გარკვეული თანხა, ეს ნიშნავს, რომ მან გარკვეულ დროით დაგეგმილად, რათა მოემსახურო მას, ანუ შენი ცოდნით, გამოცდილებით დაეხმარა, განკურნო, შეასრულო შენი პროფესიული მოვალეობა.

მაქსიმალური ყურადღება! თანაც არა მარტო ავადმყოფის მიმართ (ეს აქსიომაა), არამედ საკუთარი გარეგნის მიმართაც! არ გაგიკვირეთ, პაციენტზე გავლენას ახდენს ის

გარემოც, ესთეტიკა, რომელიც კლინიკაში დახვდება და ექიმის სოფოხა ხალაითც, მისი ყოველმხრივი მოწესრიგებულობა.

- ნორტიცებს არ უკითხავთ ექიმებს?

- არა, რადგან ამის აუცილებლობა არ არის. ჩვენ საუნივერსიტეტო კლინიკა ვართ, ბევრი რეზიდენტი გვეყავს. ისინი, როგორც მორალურ, ისინი სფეროების მოხვედრის, იმის ადგენაზე იქცევიან. ჩვენ სისტემატურად ვახალგაზრდავებთ კოლეგებს და ამ რეზიდენტებმა იცინა, რომ მათ აქეთ შანსი კლინიკაში მოხვედრის, მაშასადამე, უნდა მიიღონ ჩვენიან დამკვიდრებული წესები, მიეჩვიონ, გაითავისონ.

ახალგაზრდა ექიმმა თვითონ უნდა იფიქროს და იზრუნოს იმაზე, რომ გახდეს ნამდვილი პროფესიონალი. უეციო, ზედპირული არავის სჭირდება. დღეს ბევრი უმუშევარი ექიმი. მაგრამ კარგი ექიმი უმუშევარი არ რჩება. კარგ ექიმებს ეძებენ.

- ბევრს უნდა ჩემგან ექიმების გადაბირება.

- არ მიდიან?

- არ მიდიან. მუშაობის ყველანაირი პირობა აქვთ შექმნილი და იმიტომ. მაგრამ მოთხოვნობაც გასამძაგებელია. საშუალო ატმოსფეროა შექმნილი, თანაც - ესთეტიკური: საქართველოს წამყვანი მხატვრებისა და სკულპტორების ნამუშევრებით არის გალამაზებული ჩვენი ინტერიერი. ზოგი - გვანაუქს, ზოგი - ვიედეთ. ლამაზი და მშვიდი გარემოა.

ასეთი გარემო ავადმყოფს ეხმარება სტრესის მოხსნაში, რომელიც ექიმთან მოხვლას ყოველთვის თან სდევს.

ბიზნესში მუშაობისას, კომპანიებში პაციენტობა!

- კი ვართ ჩვენ ყველანი პრეტენციური პაციენტები, მაგრამ უფლებო-სია, ეს პრეტენცია რეალობად არ გავტყობთ. ხომ ასეა?

- რა თქმა უნდა.

- მაშინ გვითხარით, ბატონო ფრიდონ, როგორ ვიცხოვროთ, ცხოვრების როგორი წესით?

- სამწუხაროა, მაგრამ ვინაიდან, რომ ჩვენ, მასაში არ გვაქვს შინაგანი კულტურა. ამასწინათ ჩვენმა ინსტიტუტმა "თიბისი" ბანკთან ერთად გამოავაცხადეთ საქველმოქმედო აქცია, სარძევე ჯირკვლების უფასოდ გამოკვლევა დაიწყო. სარძევე ჯირკვლის დაავადება, გავრცელების თვალსაზრისით პირველ საშუალოში მდის, დიდი პრობლემაა. ამიტომ მისი ადრეულ სტადიაზე გამოკვლევა და მკურნალობა გამოჯანმრთელების უნდა საშუალებაა.

მაგრამ ვაირკვია, რომ ონკოგინეკოლოგიური დაავადებების პირველ, მეორე სტადიაზე სამკურნალოდ, პრაქტიკულად, არ მიდიან. მხოლოდ მესამე, მეოთხე სტადიის დროს მიაკითხავენ ექიმს.

- ფული არ აქვთ...

- ჩვენი აქცია უფასო იყო!

- მაშ, რატომ არ მიდიან?

- ზოგს ჰგონია, რომ არ დაემართება, სხვას - ეხარება ექიმთან მისვლა, სახვადიოდ გადადებს და ა.შ. ათას მიზეზს მოიფიქრებენ. მაგრამ სწორედ ეს არის იმ შინაგანი კულტურის უქონლობა, რომელიც ვახსენე თვალს არ გადავწყვიტო. უყურადღებოდ ვექცევით ჩვენს ჯანმრთელობას. ესაა პრობლემა.

ნორმალურმა ადამიანმა ნორმალურად უნდა იცხოვროს. ერთი და ორი კოლოფი სივარეტი არ უნდა მოსწიოს ყოველ დღე. არ უნდა დათვრეს ყოველ დღე. ახალგაზრდა ორგანიზმი, ასე თუ ისე, გარკვეულ პერიოდში უძლებს ასეთ "დატვირთვას", მაგრამ შემდეგ იფეთქებს დაავადების რისკფაქტორები, ახლა უკვე ახალგაზრდად ასაკში, და ისე ძლიერად, რომ შემდეგ კრიტიკული მდგომარეობიდან გამოსვლა ძალიან ძნელი ხდება, არცთუ იშვიათად - შეუძლებელი.

ადრე ვერც წარმოვიდგენდი, რომ 25 წლის ვაგო შეიძლება აუკის კიბოთი დაავადებულიყო. ახლა არავის უკვირს; ან - ფილტვის კიბოთი! რა დიდი შრომა და სასწრაფო სჭირდება წელიწადში ერთხელ ვილტვების გაშუქებას, სურათის გადაღება?! არადა, ფილტვის კიბო ერთ-ერთ პირველ ავადმყოფსა.

- სივარეტი?

- სივარეტი, ატმოსფეროს დაბინძურება...

რეპორაჟიური ტალღა საქართველოდან მოაღწევს

წარმომადგენლობითი სახალხო კრების აღმასრულებელი საბჭოს ახრით, აფრიკაში დაწესებული რეკონსტრუქციური ტალღა საქართველომდეც მოაღწევს.

მსოფლიოში მიმდინარე რეკონსტრუქციურ ტენდენციებთან დაკავშირებით სახალხო კრების აღმასრულებელი საბჭოს წევრებმა ნინო ბურჯანაძემ, ირაკლი ბათიაშვილმა, თემურ შაშიაშვილმა, ელიზბარ ჯაველიძემ და რეზო ესაძემ პრეს-კონფერენცია გამართეს.

“ჩვენ გვჯერა, რომ მშენებლობის რეკონსტრუქციების ეს ტალღა საქართველოში აუცილებლად დაიწყება. “ძალა ხალხშია!” – სწორედ ეს არის სახალხო კრების არსი. სწორედ ეს არის ვამბობდით და კიდევ ერთხელ ვიმეორებთ, რომ სააკაშვილის ავტორიტარულ რეჟიმს ჩვენი ერთიანობით, ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის ნებითა და ერთობლივ წინააღმდეგობით აუცილებლად დავამარცხებთ. ხალხის ძალას ყველაზე ძლიერი ავტორიტარული რეჟიმებიც კი ვერ უძლებენ! უკანასკნელ პერიოდში მსოფლიოში განვითარებული მოვლენებმა ეს დაამტკიცა. ახლა უკვე მსოფლიო თანამეგობრობა დიად აღიარებს, რომ პოლიციური რეჟიმი სტაბილურია მხოლოდ იმ დღემდე, ვიდრე მოსახლეობის მოთმინების ფილა არ ივსება. რასაც მსოფლიო გუშინ სტაბილურობის გარანტიად

თვლიდა, დღეს სტაბილურობისთვის ყველაზე დიდ საფრთხედ იქცა”, – განაცხადა ირაკლი ბათიაშვილმა და დასძინა, რომ “საკაშვილის რეჟიმი დიდი საფრთხეა არა მარტო საქართველოსთვის, არამედ მთელი რეგიონისთვის”.

“ჩვენ დასავლელი პარტნიორებისთვისაც არაერთხელ მივემართავს, რომ საქართველოში დემოკრატიული ფასეულობების იმიჯს ამოფარებული სააკაშვილი ავტორიტარულ რეჟიმს ამყარებს და რომ მის მიერ შექმნილი ფსევდოსტაბილურობა ძალიან ფეთქებადსააშია. მხოლოდ ბევრ ხალხს შეუძლია, მშენებლობის გზით არა მარტო ქვეყანაში არსებული რეალობა შეცვალოს, არამედ სამართლიანი მოთხოვნებით საერთაშორისო თანამეგობრობის სრული მხარდაჭერა მოიპოვოს. ხელისუფლებას კი აქვს შანსი, სისხლი არ დაღვაროს და საკუთარი მოსახლეობის ნებას დაემორჩილოს”, – განაცხადა ბათიაშვილმა.

მისი თქმით, “ის ადამიანი, ვისაც ბაქრაძის კაბინეტში საარჩევნო გარემოს გაუმჯობესებაზე გამართული დისკუსიებით ხელისუფლების შეცვლა რეალურად მიანინა, მაზოხისტები არიან და თავს იტყუებენ”.

“რა თქმა უნდა, ყველა დემოკრატიულ სახელმწიფოში ხელისუფლება არჩევნების გზით უნდა იცვლებოდეს, თუმცა კიდევ ერთხელ ვიმეორებთ, რომ სააკაშვილის ხელისუფლებას პირობებში ჩატარებული ნებისმიერი არჩევნები ფარსია და მხოლოდ ამ რეჟიმისთვის დემოკრატიულობის იმიჯის

შექმნასა და მის გახანგრძლივებას ემსახურება. ჩვენ შევცვლით არსებულ რეალობას და აღვასრულებთ ხალხის ნებას, ხალხის ნების მხარდაჭერა კი გარდაუვალი”, – დასძინა ბათიაშვილმა.

ნაფიხ მსაჯულს სასამართლოში ჯარი კიდეც არ იწვევს

საქართველოში ნაფიხ მსაჯულთა ინსტიტუტი ოფიციალურად 2010 წლის 1 ოქტომბრიდან ამოქმედდა. მაგრამ მათი მონაწილეობით დღემდე არც ერთი სასამართლო პროცესი არ გამართულა. საზოგადოების გარკვეული ნაწილი ეჭვობს, რომ ეს პროცესი ხელისუფლებას ჭინურდება, რადგან იმიტირებული სასამართლო პროცესების დროს განაჩენების უმრავლესობა გამამართლებელი იყო, მაშინ, როდესაც საქმე ეხებოდა დამამძიმებელ გარემოებაში განზრახ მკვლელობას. იუსტიციის სამინისტროს სტატისტიკური მონაცემებით, 2010 წლის განმავლობაში 11 იმიტირებული სასამართლო პროცესი ჩატარდა, რომელთაგან 7 პროცესზე ნაფიხმა მსაჯულებმა გამამართლებელი განაჩენი გამოიტანეს. თუმცა, როგორც კანონის მეხვეურნი ამბობენ, აღნიშნული ტენდენციის განზოგადება რეალურ სიტუაციაზე მართებული არ იქნება და შეუძლებელია იმიტირებულ პროცესებზე დაყრდნობით იმის თქმა,

რომ რეალურ ცხოვრებაშიც ადგილი აქვს გამამართლებელი ვერდიქტების გამოცხადებას. იურისტების ერთი ნაწილი მიიხედავს, რომ კანონმდებლობაში ბევრი ხარვეზია და ამიტომ იგი უნდა დაიხვეწოს.

მაღალჩინოსანის სასახლავისა და ფუნდამენტური ვიდეოს ფოტო-გამოფენა

„კინოს სახლში“ მაღალჩინოსნების სასახლეებისა და ფუნდამენტური ვიდეოს ფოტო-გამოფენა გაიმართა. ახალგაზრდული მოძრაობა „არას“ ლიდერის – ლევან ჩიტაძის განცხადებით, ექსპონატების დათვალიერება ყველა მსურველს შეეძლება. „საქართველოს პრეზიდენტმა 11 თებერვალს პარლამენტში, ყოველწლიური ანგარიშის წარდგენისას, განაცხადა, რომ ხელისუფლების წარმომადგენლები არაკორუმპირებულები არიან“.

„ეს სიმართლე არ არის. საქართველოს ძალიან მდიდარი მაღალჩინოსნები ჰყავს და დღეს ამაში ყველა დარწმუნდება. თუ პრეზიდენტს სურს, თავადაც შეუძლია ამაში დარწმუნდეს. მასაც შეუძლია იმ ფოტოების დათვალიერება, რომლებიც ჩვენ თბილისსა და მის შემოგარენში გადავიდეთ“, – აღნიშნა ლევან ჩიტაძემ.

სააგენტო საქმეორმის მასალებიდან

სამეგრელო დავით დავიანის ღრმს

ჩვენს მკითხველებს ვთავაზობთ ნაწილებს ცნობილი ქართველი მწერლისა და მეცნიერის იონა მეუნარგიას 1939 წელს გამოცემული წიგნიდან “სამეგრელოს სამთავროს უკანასკნელი პერიოდი და დავით დავიანი” (ავტორისეული სტილისტიკა შენარჩუნებულია).

ვლადიმერის ხატი

ვლადიმერს ეწოდებოდა ძველად სტამბოლის კუთხეს, რომელიც მდებარეობს ქალაქის ჩრდილო განაპირას. ამ ადგილად იყო აშენებული ეკლესია ვლადიმერის ღვთისმშობლისა, რომელშიაც ესვენა შესანიშნავი ხატი ღვთისმშობლისა, ამავე სახელით. ეს ეკლესია დღეს არ არსებობს, მაგრამ ხატი ღვთისმშობლისა, რომელმაც დაიცვა და დაიფარა, კონსტანტინეპოლი განადგურებისაგან 626 წელს, დღესაც არსებობს და დაცულია სამეგრელოს თავადის მუხეზაბის, როგორც ამბობს პლატონ ოსელიანი, ეს ხატი მისცა საქართველოს ერს საბერძნეთის კეისარმა პერაკლემ, მეშვიდე საუკუნეში, ქრისტეს შემდეგ. მას აქეთ, სად, რა ალაგას ესვენა “სასწაულთმოქმედი” ხატი, ცნობა არ მაქვს. “ქართლის ცხოვრებიდან” ვიცით მხოლოდ, რომ ეს ხატი მეჩვიდმეტე საუკუნეში გიორგი გურიელმა, იმერეთის მეფე ალექსანდრე მეოთხესთან საბრძოლველად წამოსულმა, “განსძარცვა” და ჰყო სამკაულად თვისად”. მეცხრამეტე საუკუნის დამდეგს 1805 წელს, სამეგრელოს მთავრის ნინოს სურვილისამებრ ეს ხატი წაასვენა პეტროგრადს საგანგებო დეპუტაციამ, რომელსაც შეადგენდნენ დიდი ნიკო გიორგის ძე დავიანი, ბეჟან მანუჩარის ძე დავიანი და კარის დეკანოზი იოანე ოსელიანი და მთავრის სამეგრელოს ერის სახელით ხელმწიფე იმპერატორს ალექსანდრე I-ს ისე, როგორც ოთხი წლის წინა, იმავე იმპერატორს მიერთვა საქართველოს მეფის შთამომავლთაგან წმინდა ნინოს ჯვარი. ალექსანდრე პირველმა ეს ხატი ძვირფასად შეამკო და დაუბრუნა სამეგრელოს ერს.

სამეგრელოს დეპუტაციის წევრი ნიკო დავიანი, აი, რა გვარად აგვიწერს თუ როგორ მიერთვა ვლადიმერის ღვთისმშობლის ხატი ალექსანდრე ხელმწიფეს.

“მივედით ქალაქს სანქტო-პეტერბურგს, შეგვიწყნარეს და მივედით სამაგალითოთა პატივითა, რომლისა აღწერა დიდსადაც განგრძობდნენ და შემდგომად რამოდენისამე ხანისა ინება და ღირსი ვიქმენით ხილვად და თაყვანისცემად მისის იმპერატორების დიდებულების მოწყალისა და დიდისა ხელმწიფისა ალექსანდრე პავლეს ძისა და ყოველთა მისთა ფაშილიათა და შემდგომად ხილვისა წარუგზავნეთ იოანე დეკანოზის ხელით, რომელიცა გვექნა ძენად წარდებული ჩვენის მთავრის ნინა დედოფლისაგან ხატი ვლადიმერის ღვთისმშობლისა და მთავრისა რა, მიიღო შესაბამისი პატივითა და დაასვენა თვისის სახლის ეკლესიასა შინა დიდის ცერემონიითა: ჩვენ ვიყავით სანქტ-პეტერბურგსა შინა და გამოუთქმელითა ცხოვრებითა ერთსა წელსა და შემდგომად გამოგვისტუმრეს დიდის პატივით ყოველითურთ კმაყოფილითა, ყოველივე თხოვნა მთავრისა ჩვენისა ინება მიცემა იმპერატორების დიდებულებამ და ბრძანა აღსრულება: წარმოგზავნა წყალობად ესენი: შეამკო უძვირფასესად ხატი ვლადიმერისა ღვთისმშობლისა და წარუგზავნა კვალად სახლსა შინა დავიანისასა, რათა

მუნ განისვენოს წინადად ჩემის საფარველის დიდებისა და თქვენის ჩემ ერთგულებისა; მასთან წარმოატანა ყოველითურთ დაუკლებელი ერთი ხელი შესამოსელი სამღვდელო და სამთავრო, შესაბამისი მისისა ბოძებისა: ბრძანა აშენება ეკლესიისა სახელსა ზედა ვლადიმერის ღვთისმშობლისასა სამეგრელოსა შინა ხარჯითა მისის იმპერატორების დიდებულებისათა და იქმნეს მუნ ქალაქი და ეწოდებოდეს ქალაქსა მას გრიგორიოზოლი, სახსოვრად განსვენებულისა გრიგოლი დავიანისა”.

უფრო გვიან, შემდეგ მთავრის დავითის გარდაცვალებისა დედოფალმა ეკატერინემ კვალად შეამკო რა ხატი, მისცა შემდეგი წარწერა:

“დღესა მას ოდესცა კეთილდღეობით განიგებოდა დიდი სახელმწიფო ყოველისა რუსეთისა თვითმწყობლობათა მართლმორწმუნისა იმპერატორისა ალექსანდრე მეორისათა და ოდესცა მეშურენი დიდებულებისა მისის სახელმწიფოსანი მეფენი დასავლეთისანი ქრისტეს ჯვარის მოსავად სახელის მდებელითა თავისა თვისისანი თანა შეიკრებნ მოწაფისა თანა ცრუ წინაწარმეტყველისა მახმადისა ხონთქრისათანა ოსმალთასა კავშირთასა მამობისათა საგნებლად მართლმადიდებლობისა და მაშინ ქვეყანაზეც ჩვენსა განიცდებოდა პირად-პირადთა ზედა ამოსელათაგან. ჰოი, ყოველად უწინდელს, დღეაო ღვთისსაო, მე მინდობილმან მფარველობასა შენისადმი სამეგრელოს მმართველმან მთავრინა ეკატერინა დადიანმან, ასულმან კახეთის თავადის დენერალ-ლეიტენანტის ალექსანდრე ჭავჭავაძისამან შენდობისა პატიოსნისა ვლადიმერის ხატისა შენისა, რომელ და შორის მისსა ნაწილისა წ-ის შენის სარტყლისა ძველიდგანვე აქნდა სახლსა დადიანთასა უდევლოდ ნავთსაყუდელად განსაცდელთა შინა, და რომელიცა ჩვესა წელსა შინა, ოდესცა სამეგრელო იქნა მიძღვნილი მენგრელების მმართველ მთავრინა ნინასაგან, ასულისა საქართველოს მეფის გიორგი მეოცამეტისა, ხელმწიფე იმპერატორის ალექსანდრე პიეტროვიჩისადმი, გარნა მათმან დიდებულმან სათნო ჰყო სახელითა თვისთანვე წარმოგზავნა მისვე ნინასადმი მისაქცევად სახლადვე დადიანთა უმწყალესთასა რესკრიპტა, მაისისა მასვე ჩვეს წელსა, რომელსა შინა თქმულ არიან შემდგომნი ძვირფასნი სიტყვანი: “იყავნი იგი ორკერძოვე წინადად და მოწამედ სამარადისისა ჩემდამო თქვენისა ერთგულებისა და ჩემისა განუშორებელისა თქვენდა მფარველობისა და მიერთვან განგრძობასა შინა ერგასთა წელთასა შენითა მეთხებითა იქნა დაცულ სახლი სამთავრო დადიანთა და სრულიადცა სამეგრელო უშფოთველად ამათმან მომხსენებელმან და ძალისაებრთა მადლობათა შემოწირველმან გიგულსმოდგინე მორთმევა შენდა კიდობნისა ამის, რომელ შორის ეგებოდეს რა პატიოსანი ხატი შენი წმიდით სარტყლითურთ შენით იყავნი იგი განსაძლიერებლად მართლმადიდებლობასა, აღსამადლებლად დიდის ჩვენის ხელმწიფის სახლისა, წარსამართლებლად ძისა ჩემისა ცხრაწლოვანისა მეგვიდრეობით სამეგრელოს მთავრის და რუსეთის ხელმწიფის გვარდიის პორუჩიკის ნიკოლოზ დავითის ძე დადიანისა და ყოველისა სამეგრელოსა მთავრის სახლისა საოსად ღვთისადმი შესვენებულის მეუღლის ჩემის მენგრელების მთავრის და რუსეთის დენერალ მაიორის და კავალერის დავით ლეონის ძე დადიანისა წელსა განხორციელებითგან სიტყვისა ღვთისა ჩვენსა იანერის თვესა საზაფხულსა სასახლესა შინა გორდს”.

(გაგრძელება იქნება)

ზრდილობის გაკეთილვა

ქართველი კაცის გამორჩეულ თვისებათაგან, რითაც ჩვენ სამართლიანად ვამაყობთ, ერთ-ერთი უმთავრესია ზრდილობა. ცნობილია, რომ თავისთავად არაფერი მოდის. ამის “მიზეზი”, ალბათ, აღზრდის იმ მეთოდებში უნდა ვიქნებოთ, ჩვენი წინაპრები რომ იყენებდნენ.

მოდით, დავივიტოთ და გულახდილად ვთქვათ, თუ რა მდგომარეობაა დღეს ამ მხრივ საქართველოში! ჩვენი მიმავალი თაობა თუ ღვას თავისი აღზრდილობით ტრადიციების სიმადლეზე. თუ გულწრფელად ვაღიარებთ, უნდა ვთქვათ: სამწუხაროდ, ვერა. აბა გავიხსენოთ, რამდენჯერ აღმოგვჩინდებოდა ასეთ მდგომარეობაში: სადღაც მიიჩქართ და გაჩერებთ უცნობი ახალგაზრდა, გეკითხებათ დროს, თქვენ პასუხობთ. ის კი მადლობას არ გეუბნებათ. ანდა მერე, უფრო გავრცელებული და ხშირი შემთხვევა ავიღოთ: მიდისხართ ქუჩაში, გაჩერებს სრულიად უცნობი ახალგაზრდა და გათხოვს სიგარეტს. თვით ამ ფაქტში, თითქოს, ცუდი არაფერია. მთავარი სხვაა, აწვიდ სიგარეტს, ზოგჯერ ას-ანთსაც მიაშველებ, ის კი მადლობას არ გეუბნება, რაღაც მედიდური იერით გშორდება, მის გამომეტყველებაში აშკარად შეამჩნევთ, რომ ეს უკადრისი საქციელი მას ვაქაცობდაც კი მიანია...

ძალზე დამაფიქრებელი და შემაშფოთებელია ახალგაზრდობის ერთი ნაწილის ბოლწიტიყვობა; საზოგადოებრივ ტრანსპორტში მოხუცისათვის ადგილის დათმობა იშვიათი გახდა; ჩვენი ეზო-ქუჩები რომ დანაგვიანებულია, (რასაც ვერცერთი ჯარბი და მუქარა ვერ შევლის – “ილორი”) ესეც ცუდი გაზრდილობის შედეგია. სიგარეტის ნაწილს და ცარიელ კოლოფს პირდაპირ ქუჩაში მოისვრიან, იქვე ახლოს რომ ურნა იდგეს მინც; ქუჩას, სადაც მოუწდებათ, იქ გადაჭრინა, სამწუხაროდ, მაგალითების ჩამოთვლა უსასრულოდ შეიძლება. როგორც ზემოთაც აღვნიშნე, ეს ყველაფერი ჩვენი ახალგაზრდობის ერთ ნაწილს ეხება მხოლოდ და ღმერთმა დაგვიფაროს, რომ ყველა ასეთი იყოს, მაგრამ ეს ერთი ნაწილი უკვე ისე თვალშისაცემი გახდა, რომ ამაზე განუძება და უმოქმედობა, ჩემი ღრმა რწმენით, უკვე აღარ შეიძლება. მერე გვიან იქნება ყოველივე:

აქედან გამომდინარე, მსურს ერთი წინადადება დავაყენო: აუცილებელია სკოლაში, დაწყებით კლასებში შემოღებულ იქნას ახალი დისციპლინა – “საზოგადოებაში ქცევის კულტურა”. ეს კურსი ესთეტიკის სპეციალისტებმა უნდა წაიყენონ. ვფიქრობ, საგანი უნდა შემოვიღოთ დაწყებით კლასებში, რადგან ცნობილია, რომ ამ ასაკის ბავშვები ცუდსაც და კარგსაც უფრო ადვილად და ღრმად იბეჭდავენ გონებაში და იქ მიღებული გაკვეთილები მთელი ცხოვრების მანძილზე გაჰყვებათ ხოლმე. 25 წლის ახალგაზრდას კი თვითღან უკვე ძნელად აღზრდი.

უნდა ითქვას აქვე, რომ ესთეტიკის კურსი, რომელიც მხოლოდ ზოგიერთ უმაღლეს სასწავლებელში და გარკვეულ ფაკულტეტზე იკითხება, სავალდებულო საგანი უნდა გახდეს ყველა საშუალო, სპეციალურ და უმაღლეს სასწავლებლისთვის და ესეც უსათუოდ კარგ შედეგს მოგვცემს. ალბათ, დრომ მოიტანა და ოჯახში, სადაც ჩვენი ბავშვები იზრდებიან, მშობლები კი მათი დაკავალანებისათვის ვერ იცლიან, ადგილი აქვს ერთგვარ გაუცხოებას მშობლებსა და შვილებს შორის. ამიტომ, სკოლაში მიღებული ეს გაკვეთილები მშობლებსაც შეეშველებათ შეილების აღზრდა-ჩამოყვალბებაში.

უპირველესად, ალბათ, საჭირო იქნება კარგი სასწავლო სახელმძღვანელოს შექმნა ამ დარგის სპეციალისტების მიერ. ჩემი ღრმა რწმენით, ეს ყოველივე საშუალო სასწავლო და დაყოვნება აღარ შეიძლება, მით უმეტეს, რომ, საბედნიეროდ, “ცენტრის” დასტური უკვე საჭირო აღარ არის.

სოსო მასიაშვილი,

პროფესორი, თბილისის 45-ე აფთიაქის გამგე



ან, ნან, აბ...ააა!

ვაგრძელებთ ნაწევრების ბეჭდვას მწერალ რაფიელ გელანტის წიგნიდან "ნანა ჩვენი, აფხაზეთი"

ვითარება ოდნავ დაწინარდა. სანდრო კობას გვერდით მიუჯდა, დაიხარა და ხმადაბლა უთხრა: „უნდა გაგებოდეთ, განა კაცები არა ვართ? იქნებ შენ ნამდვილი დედა გყავს, ბავშვებს დედები უფრო სჭირდებათ, მე ხომ ყოველთვის შენთან ვიქნები!“

კობა კიდევ უფრო ხმადაბლა ატირდა.

ვიღაცამ სანდრო ცხურისკენ მიაბრუნა. გისოსებიდან საიდას გამოწვდილი ხელები სანდროს მუდარით იწვევდნენ თავისთან.

სანდრო ღასლახით მივიდა ცხურთან, ხელზე გამობრა ქალს, რომელმაც მისი თავი და ტანი ორივე ხელით თავისკენ მიიხილა.

საიდა ქართულად და აფხაზურად ლოცავდა მას და ხმადაბლა მოთქვამდა.

თანდათან დაწინარდა საიდა, თუმცა ჯერ კიდევ შეშლილს ჰგავდა.

ერთ საათში სასამართლომ მუშაობა გააგრძელა.

სანდრო ტრიბუნას დაუბრუნდა. იგი ჩვეულებრივ, ვალმოხდილ სანდროდ, ქართველ მამაკაცად იქცა:

– გათენდა. ჭრილობა დამიმუშავებს, შემისხვიეს.

შეშინებული ბიჭი სხეებს არ დაეანებე. ჩვენებს ლაბრა აულიათ, დიდძალი ტექნიკა და ტყვია-წაძალი ჩაუგდიათ ხელში. აფხაზებს 20 კაცი დაუკარგავთ, უმეტესობა ჩამოსული, წვერიანი და თავწაკრული. ჩვენი 13 ჯარისკაცი დაღუპულა, ორმოცდაათზე მეტი დაჭრილი გვყავდა.

ჭრილობა საკმაოდ მძიმე გამოდგა, ფილტვი მქონდა გახვრეტლი. ჩვენი ხალხი წავიდა ბავშვის ვინაობის დასადგენად და მშობლების საპოვნელად. ძებნა უშედეგო გამოდგა.

ბავშვი, რომელიც შიშისაგან ხმას არ იღებდა და თითქმის არ ჭამდა თურმე, თბილისში ჩამომიყვანეს.

ის სახელს არ ამბობდა, ამიტომ კობა დავარქვე და ახლობლებთან გავაგზავნე. მე კიდევ ორი თვე დავერჩი საავადმყოფოში.

კვირის თავზე კობა მომიყვანეს. არ მშორდებოდა, სწრაფად სწავლობდა ქართულს, გათამაზდა. მოგვიანებით ოჩამჩირედან შემატყობინეს, რომ იმ სახარულ დამეს ბიჭის ობი ბიძა, უცლო შვილო ახალგაზრდები, დაღუპულან. ბავშვი გვარად ლოგუა ყოფილა. ისიც მოთხრეს, რომ ომში გამოიწვნილი მამაცობისა და ბავშვის გადარჩენისთვის ნაწილის ხელმძღვანელობას ვახტანგ გორგასლის ორდენზე წარუდგენივარ.

მინდა ისიც ვთქვა, რომ ქალბატონი ხათუნა, მაპატიეთ, საიდა, ისე შეცვლილა, წელში გატეხილა, რომ ქუჩაში ნამდვილად ვერ ვიცნობდი. როცა კობამ მოთხრა, დღეს ვიღაც ქალმა ქუჩაში გამაჩერა და გვარი მკითხაო რუსულად, შევეშფოთდი. დიდხანს ვეძებოთ მე და კობა.

ბავშვიმ თქმით, საიდან სამი თუ ოთხი თვე ცდილობდა კობასთან დაახლოებას, ყოველდღე ახერხებდა შორიდან მის ნახვას, სკოლასთან ყოფილა ატყუებული.

ახლა მძიმე დროა, მოგეხსენებათ, ქვეყანას მრავალი მტერი ჰყავს, მეც მხოლოდ ამ ბიჭით ვცოცხლობ, ამიტომაც მივმართე სათანადო ორგანოებს. მხოლოდ სასამართლოში გამოძახების შემდეგ გავივლი, რომ საიდა ნახევარი წელიწადია ციხეშია, მის საქმეს სწავლობდნენ მისივე აღიარებისა და ოჩამჩირეს რაიონის დევნილი გამგეობის მწიფი მონაცემების საფუძველზე.

ნის დევნილი გამგეობის მწიფი მონაცემების საფუძველზე.

თავმჯდომარემ რაღაც გადაულაპარაკა პროკურორს და სიტყვა საიდას მისცეს.

საიდა წელში მოხრილი, გაფითრებული მივიდა ტრიბუნასთან.

– სანდრომ რაც აქ თქვა, ყველაფერი სწორია, ჩათვალეთ, რომ ის რაც მე შემიხებოდა, მხოლოდ უნდა გაემიერო, ამასთან მიჭირს საუბარი ქართულად, თუმცა ძალიან მინდა, მეშინია თარჯიმანმა ზუსტად ვერ გამოხატოს ჩემი სათქმელი. მე დედა ვარ, გამიგეთ. მეშინია ბიჭი არ დაგვარგო!

– იქნებ გადავდოთ სხდომა ხვალისთვის, ბრძანა თავმჯდომარემ.

– არა, გთხოვთ დღესვე დამთავრდეს, ვიცოდებ ბედისწერის განაჩენს...

– განაგრძეთ, ჩაილაპარაკა მოსამართლემ.

– ობლობაში გავიზარდე. ქართველი და აფხაზი ბებიები მზრდიდნენ. საკმაოდ კარგად ვსწავლობდი. მოსკოვში გამგზავნეს სასწავლებლად. ფსიქოლოგი ვარ. ოჩამჩირეში ყველა ქართული და აფხაზური ოჯახი ნათესავად ვერგებით ერთმანეთს, ამიტომ უხუცესებმა ილორში დაიფიცეს არ ესროლათ ერთმანეთისთვის, შეენარჩუნებინათ ვერეწოდებულ ნეიტრალიტეტი. ასეც იყო მანამ, სანამ უცხოტომელები არ გამოიწვინდნენ ჩვენს სოფლებში.

კობარა გამოჩნეულად დასაჯეს. ეს გაფრთხილება იყო ოჩამჩირელი ქართველების და აფხაზებისთვის. ძალზე გაუჭირდათ აფხაზებს, უგზო-უკვლოდ იკარგებოდნენ ადამიანები და ამას ქართველებს აბრალებდნენ. თქვენთვის ძნელია იმისი წარმოდგენა, თუ რა დღე აყარეს ურნ აფხაზებს. რა უნდა დაუცველი ადამიანების დაშინებას. მე, როგორც სხვა მრავალი აფხაზი ქალი, მაიძულეს მხვერაგი, დივერსანი, სნაიპერი გაემხდარიყავი. მუუღლები და მახლებმა ბავშვთან ერთად აფხაზეთიდან წასვლა შემომთავაზეს, მაგრამ ვერ მოახერხეს, დაგვიანებული იყო.

მე ყველაფერი შემეძლო, გამოძლიოდა, მაგრამ როგორც ქართველები და აფხაზთა უმეტესობა, მეც ყველაფერს სანახევროდ ვაკეთებდი, თუმცა ვოლონტერებმა დისციპლინის ყოველ სერიოზულ დარღვევაზე სიკვდილით დასჯა დაგვიდგინეს, რამაც სხვა არჩევანის წინაშე დაგვაყენა. ქალაქში ქართველებზე ვაგრძობდი მონაცემებს, ვსნაიპერობდი, მაგრამ, დარწმუნებული ვარ, არავინ მომიკლავს, დაჭრით კი, რამდენიც გნებავს.

ამ მიზნით წამოვიწყეთ ფლირტი, როგორც შემდგომ გაირკვა, მეტად საინტერესო ადამიანთან მხატვართან. მე ქალი ვარ, აკვანში დანიშნენ გამახივებს, მაგრამ მეუღლისთვის არ მიღალბებია, თუ დალატად არ ჩამითვლით, რომ სანდრომ ჩემში ბევრი რამ შეცვალა ადამიანური თვალსაზრისით. ილორში სანდროს განვანდობდი საიდუმლოს და ჩემს მეუღლეს წავუყენებდი უღრმობაში, რომ ბავშვთან ერთად რუსეთში გადაესულიყავით. ვიფიქრე თბილისზეც, მაგრამ ასე მეგონა, შემდგომ აფხაზეთში ვერ დაებრუნდებოდი. ბევრი აფხაზი ომს განერდია და რუსეთში გაიქცა, მაგრამ ვისაც მისწვდნენ უკან დააბრუნეს, ვისაც არა, მათს ნათესავებს შავი დღე აყარეს...

ლაბრის ციხეში დამემთვალა შეცვალა ჩემი ცხოვრება. როცა შევიტყვევ, რომ ქმარი და მახლი ქართველთა ხელით დაიღუპნენ, ბავშვი ბებიას

დავუტოვე და კაცების დასახმარებლად წავედი. თავი მეზობლებს, სიკვდილი ბედნიერებად მიმანდა. იმ დამეს მე არავინ დამიზოგავს, შური უნდა მეძია ყველაზე ენიკის გამოჩენამ შაშხანა დამაგდებინა და საფარიდან გამომიყვანა. მაშინვე დაეჭერი ბარბაქეში. ორივე ქველა კიდური ჩვარიით მეკიდა სხეულზე... მერე ჯარისკაცი გამოიწვინდა და ბავშვი გაიყვანა სასაკლაოდან. მეგონა ვინმე ჩვენიანი იყო, თორემ ქურთუკში პისტოლეტზე მქონდა და ამ კაცს უთუოდ მოგკლავდა. რა ვიცოდი, რომ სანდრო იყო. იმ ხორცსაკეპში რას გააჩნევდი!

ჩემთვის, რუსეთში გაზრდილის და დელაქალაქისგან თითქმის მოწვევტილი ქალისთვის, თბილისელი ქართველისგან ასეთ კეთილშობილებას, ბავშვისთვის თავგანწირვას, როცა მისი და მისი მეგობრების სიცოცხლე ბეწვზე კიდა, სიზმარშიც ვერ წარმოვიდგენდი. ასე მხოლოდ უფლის ანგელოზები იტყვიან ალბათ. გგონიათ ამას ბევრი დაიჯერებს აფხაზეთში? ო, რა ადვილია სხვისგან დაუძინებელი მტრების ხატის შექმნა. ასე მოუვა ყველას, ვინც უფროსებს არ დაუჯერებს. აკვირებოდ მჩვენებოდა ბებიების ახირება, რომ ქართველები და აფხაზები ძალზე ახლობლები ვართო, თუმცა შემდგომ ამაზე ბევრჯერ მიფიქრია, მაგრამ ომმა და შიშმა ამიბნია გზა და კვალა.

ქალი გაშეშდა, ტიროდა. კობა კვლავ გაექცა მამას, იგი საიდას კაბას ჩაებდაუჭა.

თავმჯდომარემ კვლავ გამოაცხადა შესვენება. ნახევარ საათში სასამართლომ სხდომა განაახლა.

– მოსკოვში გადაიყვანეს, იქ დიდხანს დავრჩი. ახლობლები მუხუბნობდნენ გადაწვეული იყავო. მოსკოვიდან ჩამოსულს დედა მთილ-მამამთილც დასაფლავებული დამხვდა, სახლი დამწვარი. მეგრულად და აფხაზურად ვივლოვე ისინი. ქმრის და ახლობლების საფლავები მოვაწესრიგე და სოჭში გადავიყვანი. მუშაობა დავიწყე. ვის არ მივწერე ბავშვის თაობაზე, მაგრამ ამოდ. ბოლო იმედი წითელი ჯვარი იყო, მათაც ვერაფერი დაადგინეს. ასე გადიოდა წლები და ვიქრში გათენებული უძილო დამეგები. სიკვდილი მინდოდა, მაგრამ ბიჭზე დარდი მაკავებდა, ვგრძნობდი, რომ ცოცხალი იყო.

მერე სანდრო გამახსენდა. იქნებ მიმეგონე მისთვის, თუმცა მისი გვარი არ ვიცოდი, მაგრამ მხატვარი სანდრო უთვალავი ვერ იქნებოდა. ასე მოხვდი თბილისში, სანდროს მისამართი დავადგინე, მაგრამ ყველაფერი თავდაყირა დადგა, როცა მოთხრეს, რომ სანდრომ ბავშვი ჩამოიყვანაო აფხაზეთიდან და იმასაა გადაიწვლილი.

სანდროს მიმართაც გამიხსენდა ეჭვი, ბავშვი უნდა მენახა. იგი თუ ჩემი ენიკი იყო, ყურის ნიჟარას ძირში პატარა შავი წინწკალი უნდა აქონოდა. ამიტომ დავდევი კობას, ვერ მოვიხელთე. შემდეგ ციხეში აღმოვჩნდი...

თავმჯდომარე: – თქვენ აღიარებთ წაყენებულ ბრალდებებს, რაც პროკურორმა ბრძანა და რაც გამოძიებამ დაადასტურა?

– ვაღიარებ, ვაღიარებ ჩემსას და თქვენსაც, ყველას დანაშაულს, ვინც ქართველები და აფხაზები გადაგვამტერა. ვაღიარებ, რომ ვიყავი სნაიპერი, ვჯაშუშობდი, მაგრამ მე ოჯახის ერთგული ქალი ვარ და ჩემი უჭირბოროტებით „დროის სატარებლად“ ქართველთა სამხედრო ნაწილებში არ შევსულვარ, არავისთან მიმეგობრია, თუმცა ბევრი შეთავაზება

მქონდა თქვენებისგან, მათ შორის ოფიცრებისგან; დივერსიული აქტი არ ჩამიდგინა, არავინ მომიკლავს, რაც მომდგამს ობლის ბედიდან და არა ჩემი პაციფიზმიდან. რაა ამაში საკვირველი, როცა მთელი ერთი, ქვეყანა ომშია, ქალებიც უნდა დაუდგნენ გვერდში მამაკაცებს!

– რა ხეებოდა ლაბრაში, თქვენი აზრით, რამ აიძულა ქართული სარდლობა დამის ოპერაციის რისკზე ნაჩქარევად წასულიყო? შეეკითხა პროკურორი.

– აღმოსავლეთის ფრონტის სარდლობამ დავალება მიიღო, რომ რამდენიმე დღეში ოჩამჩირესთვის დაერტვა და ზღვაზე გასულიყო. ეს ადვილი არ იქნებოდა, ამიტომაც ძლიერ დაჯავშნებას უყრიდნენ თავს ლაბრის მადლობებზე, კარგად ნიღბავდნენ. იყო სხვა ჩანაფიქრიც, გალიდან დესანტი შეიგზავნა, მაგრამ, თუ არ ვცდები ანიგვარაში, გალის მილიციამ ჩვენები ააფეთქა და ოცამდე აფხაზი დაიღუპა.

ფიქრობ, ქართველები მიხვდნენ ჩვენი სარდლების ჩანაფიქრს, ან ვინმემ გაგვცა, ჩვენებშიც იყვნენ თქვენები!

– თქვენ ახლა „ვისიანი“ ხართ? ნახევრად ხუმრობით შეეკითხა თავმჯდომარე.

– მე არახოდეს არ ვიყავი ვინმესი. ახლა მხოლოდ ჩემი ბიჭისა ვარ, რომელიც ამხელა გაზრდილა. მე ვიცნობ თქვენს კანონმდებლობას: შეგვილიათ უვადო პატიმრობა მომისაჯოთ ან 15-20 წელიწადი, მეტეც, ნაკლებიც, დარბაზიდანაც გამოიშვათ. მე ეს არ მაღელვებს, მე ყველაფერისთვის მზად ვარ, რადგანაც ბიჭი ცოცხალია, ჩემი და ჩემი მეუღლის სისხლი გაგრძელებდა, თანაც კობა საიმედო ხელშია. ეს კი მე, სისხლით და ხორციით აფხაზს და ქართველს ერთბაშად, უკვდავების გარანტიას მაძლევს. დაე, ყველამ გაიგოს, რომ ნებისმიერი სკამი, უამრავი ფული და სხვა, რისთვისაც იწყებენ ომებს უმთავრესად, ჩემი და თქვენი შვილების ერთ კურცხლად არ ღირს.

მან ეს ფრაზები მოკლედ გაიმეორა აფხაზურად და რუსულად. – ომი ჩვენი თანებისთვისაა უბედურება. ბევრი მარტოსული გახდა. არც ქმარი, არც შვილი, არც სახლ-კარი, არც მომავალი, მხოლოდ ძაძები, სანამ პირში სული უდგათ. აი, ეს არის ომი ჩვენთვის, განსაკუთრებით ქალისთვის, თუმცა იგი საშინელებაა ყველა ნორმალური ადამიანისთვის. ბრძოლებში კაცები იღუპებიან უმთავრესად. იმ დამეს ათეულობით ვაკაცი ჩაწვა, რამდენიმე ათეული ხეობრად იქცა ორივე მხარეს. მე, ცოტა რამ წამიკითხავს ჩვენი ისტორიიდან და ყოველთვის ვიცოდი, განსხვავებით რუსი, ჩვენნი, კახაკი თუ სხვა ჩამოთრეულისგან, რომ ომში თქვენები, როგორც ჩვენები ტოლს არ დაუდებენ არავის თუ სამისოდ ნამდვილი მიზნი გაუჩნდათ. ლაბრაში იმ დამეს ვოლონტერებმა კარგი გაკეთილი მიიღეს, ჩემებმა!

მაპატიოს სანდრომ, თავიდან იგი თბილისელი დარდიმანდი და დელიოს ბიჭი მეგონა, რომელიც პეიზაჟებს დაემებდა აფხაზეთში. მოგვიანებით დავრწმუნდი, რომ იგი ნამდვილი ადამიანი და თავმოყვარი ქართველია...

საიდად სიტყვა დაასრულა. შემდეგ ვეკითხებ და მოწვევლებს, ექსპერტებს მისცეს სიტყვა. საქმესთან დაკავშირებით ვეკითხებმა აზრთა სრული იდენტირობა გამოხატეს, ექსპერტებმა საიდას ქმედებებში ზოგიერთი მამხილებელი დოკუმენტის სიზუსტე და მოპოვების წყაროები საეჭვოდ მიიჩნიეს.

საბოლოო სიტყვა საიდას და სანდროს მისცეს.

საიდამ ერთი ფრაზი თქვა, იქნება ისე, როგორც უფალს უნდაო! სანდრო გიყვარება:

– მე ვიცი, რომ შეიღო დედას ეკუთვნის, ამიტომაც იგი, სიცოცხლის რისკით ჩამოვიდა თბილისში. მე გამიჭირებდა კობას გარეშე, თუმცა იგი ყოველთვის მეყვარება. მეცოდებოდა, თითქმის მარტომ გავზარდე, შემოვივარდა, არც არაფერს ვაკლებდი; მისი მშობლების გამოჩენის იმედი მქონდა მეც ვეძებდი მათ, წითელი ჯვარი ვერაფერს გახდა, თუმცა ცდა არ დაუკლია. ხატვას თითქმის დავანებე თავი, რას დავხატავ მასზე უკეთეს? ისე შემოვივარდა და მიყვარს, რომ დედინაცვალი არ გაეუჩინე. ახლა იგი დიდი ბიჭია, დაე, დამედიდეს და თვითონ გააკეთოს არჩევანი...

– მოსამართლემ ბრძანა, თუმცა კობას შავი ხალი აქვს, მაგრამ ეს სხვა საკითხია და ცალკე განსჯას მოითხოვსო. ახლა კი იყოსო ისე, როგორც ადრე იყო; დროა მსაჯული და ჩვენი ჩარევა, იქნებ, არც გახდესო საჭირო.

სასამართლო განაჩენის გამოსატანად გავიდა. კობას ერთ ხელში სანდროს ხელი ეკავა, მეორეში საიდასი გისოსიდან. ან! აბა! (დედა, მამა – აფხაზურად), ეღურტულვება ბიჭი.

სასამართლო დაიბრუნდა. თავმჯდომარემ დაიწყო წესით და რიგით:

„საქართველოს სახელით 1997 წლის, თვის, რიცხვს განვიხილეთ ეს და ეს საქმე, მხედველობაში მივიღეთ ბრალდებულის დამამძიმებელი და შემამსუბუქებელი გარემოებანი, ომის ვითარება, სასამართლო განხილვაზე გამოვლენილი სრულიად ახალი გარემოებანი და გადავწყვიტეთ: – ბრალდებულს, საქართველოს მოქალაქეს აფხაზეთიდან, საიდა, იგივე გვანცა, იგივე ხათუნა ლოგუას მიესაჯოს 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, ამასთან წინასწარი პატიმრობის ჩათვლით გათავისუფლდეს სასამართლო დარბაზიდან;

– ვინიდან შეიღის, დოკუმენტების მიხედვით დღემდე კობას, იგივე ენიკის მშობლისადმი მიკუთვნების საკითხი სასამართლო განხილვაზე არ წამოტრიალდეს, დიდა იქნას დატოვებული რომელიმე მხარის მიერ სარჩელის შემოტანამდე“.

სასამართლო პროცესი დახურულად გამოცხადდა, მაგრამ თავმჯდომარის ბოლო სიტყვები არავის გაუგონია. დარბაზში, რომელიც ცნობისმოყვარეებით გადაივსო, ყველა ულოცავდა ერთმანეთს.

გვიანი იყო, ძლიერ წვიმდა. სანდრომ ტაქსით გამგზავრება შესთავაზა საიდას თავის ბინაში, ასევე, კობასაც.

კობამ უცნაურად შეხედა მამას. საიდა შეყოვნდა, მერე სანდროს უზარმაზარი ქოლგა გაშალა და მამა-შვილს ფეხით გასეირნება შესთავაზა, ისე, როგორც ეს მიღებული იყო წვიმიან აფხაზეთში.

იმ დამეს დედ-მამას კობამ უმასპინძლა.

გავრცელდა ხმა, რომ მათივე თხოვნით სანდრო, საიდა და კობა, ხელისუფლების თანადგომით, ევროპის ერთ-ერთ ქვეყანაში, გადავიდნენ და კარგად მოეწყვენო. ამბობენ, რომ მათი ოჯახი უბედნიერესიაო დედამიწის ზურგზე.

იმასაც ამბობენ, რომ ისინი უკვე დაბრუნდნენ თბილისში, სანდრო კვლავ ხატვას, საიდა ერთ-ერთ საერთაშორისო ორგანიზაციაში მუშაობს, კობა დამამთავრებელ კლასში სწავლობსო.

თბილისი, 14 აგვისტო, 1996 წ.

კურორტ სოჭს დღედაღამ აუზნებენ

(ნაწილი პირველი)

სოჭის ზამთრის ოლიმპიადის მზადებისა და ოლიმპიური ობიექტების მშენებლობის შესახებ საქართველოში დაახლოებით იმდენი იცოდნენ, რამდენიც მინისტრმა ბაკურ კეკელიძემ - სოფლის მეურნეობისა, ანუ თითქმის არაფერი. საერთოდ, მსოფლიო მასშტაბის ღონისძიება ყოველთვის განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს, მაგრამ ჩვენთან, უპირველესად, პოლიტიკურ ასპექტებზე ამახვილებენ ყურადღებას. მომავალი თემა სპეკულაციისთვის.

ამჯერად ჩემი მიზანი არაა სოჭის ოლიმპიადის პოლიტიკის განხილვა, რადგან ამ თემაზე სხვებმა უკვე იმსჯელეს და, ალბათ, არც მომავალში დაიზარებენ საკუთარი მოსაზრებების გაზიარებას.

სოჭში ბალტიისპირელი, ამიერკავკასიელი და უკრაინელი ჟურნალისტების მიწვევა სპეციალურად ოლიმპიადის წინა პროცესებისა და ოლიმპიადის მედიაურუნველყოფისთვის შექმნილმა არაკომერციულმა ორგანიზაციამ **“ერთიანმა საინფორმაციო ცენტრმა”** და უდიდესმა მულტიმედია საინფორმაციო სააგენტომ **“რია-ნოვოსტი”** გადაწყვიტეს და, რადგან ამ მასალას კითხვობით, ესე იგი ჩვენი მისიაც შესრულდება.

10-11 თებერვალს ოლიმპიური მშენებლობის ობიექტები დავათვალიერეთ და, გადაუტარებლად შემოძლია ვთქვა, რომ შთაბეჭდილებებით დატვირთული დაგვრუნდით სამშობლოში.

პირდაპირ შეიძლება ითქვას, რომ სოჭის ოლიმპიური ობიექტები უკვე ამთავითვე, მშენებლობის პროცესში, იწვევს პატივისცემას თავისი მასშტაბურობისა და უნიკალურობის გამო. და ეს გასაკვირი არც არის: 2014 წლის სოჭის ოლიმპიადის ხარჯები ათჯერ აღემატება ტურინის, სოლტ-ლეიკ-სიტისა და ვანკუვერის ზამთრის ოლიმპიადების ბიუჯეტებს.

უპირველესი, რაც უნდა აღინიშნოს: ყველა ობიექტი, სათხილამურო ტრასებით დაწყებული (უკვე მომზადებულია და პირველ გამოცდებსაც გადის) და ოლიმპიური სოფლით დამთავრებული, ახლა იქმნება.

მაგრამ სოჭში მხოლოდ უშუალოდ ოლიმპიადისთვის აუცილებელი ინფრასტრუქტურა კი არ შენდება, არამედ მთლიანად კურორტი იქნება ახალ სიცოცხლეს და სულ რაღაც სამი წლის შემდეგ ეს იქნება ერთ-ერთი საუკეთესო ადგილი მსოფლიოში, სადაც დამსვენებელს შესაძლებლობა მიეცემა, ზამთარში და ზაფხულში ერთდროულად დაისვენოს (ხომ არაფერი გაგახსენდა? მაგრამ ჩვენ ხომ შევთანხმდით, რომ პოლიტიკაზე არ ვისაუბრებდით).

ამის შესახებ ქვემოთ. ახლა კი **“როზა ხუტორს”** ვეწვივით და ვნახოთ, რამდენად მომზადებულია ეს კომპლექსი ოლიმპიელების მისაღებად.

სტუმრად ღვრიანობა

ოლიმპიური თამაშების სამთო კლასტერში განთავსებულ სპორტულ ობიექტებზე მსოფლიოს საუკეთესო სპორტსმენები ერთ-მანეთს თხილამურებით სრიალში, ბიატონში, ბობსლეიში (სხვათა შორის, აქ კარგად ახსოვთ ვანკუვერში ქართველი ოლიმპიელის - ნოდარ ქუმათაძის შვილის ტრაგიკული დაღუპვა და ტრასის მოწოდებისას ეს ფაქტი არ დაივიწყებიათ: ისე გააკეთეს, რომ მაქსიმალური სიჩქარე 135 კმ/სთ-ს არ გადააჭარბებს) ტრამპლინიდან ხტომაში, სნოუბორდსა და ფრისტილში შეეჯიბრებიან.

სამთო-სათხილამურო კომპლექსი **“როზა ხუტორი”** ზღვის დონიდან 600 მეტრზეა და, ზღვისპირა სოჭისგან განსხვავებით, მთლიანად თეთრ საბურველშია გახვეული. მთის კლასტერი უკვე 2011 წელს უნდა ჩაიხატოს საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა. სპორტული ობიექტების ნაწილი მთლიანად მომზადებულია და ტესტ-შეჯიბრებებზე გაიმართა - ჩვენი იქ ყოფნისას რუსეთის თავის მოსაპოვებლად ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ სწრაფ დაშვებასა და სლალომში. ზოგიერთი ობიექტი კი მალე შევა ექსპლუატაციაში. ოლიმპიადის შემდეგ **“როზა ხუტორი”** სამთო-სათხილამურო კურორტის ერთ-ერთი ნაწილი გახდება.

ალბათ, გაგაკვირვებთ ქვესათაურმა, მა-

გრამ, როდესაც ჟურნალისტები საბაგირო გზის კომპორტულ კაბინებში მიგვიწვიეს, **“სულ ზევით, ზევით, მაღლა და მაღლა”** დაიწვიეს, სამჯერ გამოვიცვალეთ ტრანსპორტი და სულ რაღაც ნახევარ საათში ზღვის დონიდან 2200 მეტრზე აღმოჩნდით, ისეთი შეგრძობა დამეფულა, თითქოს ღმერთებს ვეწვიეთ.

მთელი საბაგირო გზა 6 კილომეტრზე მეტია და სამ ნაწილად არის დაყოფილი. 30 წუთის მანძილზე 150 მეტრის სიმაღლიდან ვტკბებოდით ულამაზესი ბუნებით და თითქოს ყინვაც კი არაფრად მიგვანდოდა. მაგრამ, როდესაც ღია საბაგიროთი გზის გაგრძელება შემოგვთავაზეს, **“ყინვაგამძლეებმა”** გარისკეს, მე კი თავახიანად ვიუარე (აი, **“რია-ნოვოსტის”** დსთ-ისა და ბალტიის ქვეყნების რედაქციის პასუხისმგებელი რედაქტორი **ვალერი პანინა**, ავტონომიური არაკომერციული ორგანიზაცია **“ერთიანი საინფორმაციო ცენტრის”** გენერალური დირექტორი **მარინა მასტუკანი** და ამ ცენტრის პროექტების ხელმძღვანელი **სერგეი ვინოგრადოვი** კი ერთი წუთითაც არ გვეტოვებდნენ უყურადღებოდ არც მთაში და არც შორეულ დღეს, როცა მშენებარე ოლიმპიური ობიექტების დასათვალიერებლად სოჭის ზღვისპირეთში წავიდით).

მთიდან დაბრუნებულს უკვე გველოდა შეხვედრა **“საქმიანი ადმინისტრაციის ოსტატთან”** (ეს ხარისხი მას **აშშ-ის** პარტიულად უნივერსიტეტი მიანიჭეს), სამთო-სათხილამურო კურორტ **“როზა ხუტორის”** დეველოპერული კომპანიის გენერალური დირექტორი **სერგეი ბაჩინთან**, რომელმაც, კაცმა არ იცის, მერამდენედ განმარტა კურორტის სპეციფიკა და პერსპექტივა. უკვე მერამდენედ-მეთუ იმტომ აღვნიშნე საზუგასმით, რომ რუსეთის სამთო-სათხილამურო სპორტისა და სნოუბორდინგის ფედერაციაში ჩვენსავით აკრედიტებული ჟურნალისტები ხშირად სთხოვენ კომენტარს და ისიც სიამოვნებით საუბრობს უკვე გაკეთებულ თუ დასრულებულ სტადიაში არსებულ ობიექტებზე. რაც მთავარია, კურორტი ნულიდან შენდება და ჟურნალისტები ერთ-ერთი პირველები ვართ, ვინც ამ პროცესს თვალს ადევნებს.

სანამ სერგეი ბაჩინის კომენტარს შემოგვთავაზებდით, ბარემ აქვე გეტყვი, რომ კომპლექსის სათხილამურო ტრასებზე რვეულად უნდა ყრიან ხელოვნურ თოვლს, რადგან მხოლოდ ბუნებრივ თოვლზე შეჯიბრების გამართვა არ შეიძლება - დაშვებისას პირველ და ბოლო მოთხილამურებს განსხვავებულ პირობებში მოუწევთ ასპარეზობა. ამიტომაც ითვალისწინებენ საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის მოთხოვნებს და თოვლს სათხილამურო ტრასების გასწვრივ, ორივე მხარეს 2200 მეტრ სიმაღლემდე განთავსებული სპეციალური ქვეშეხებით ისვრიან. ეს კი ყველაზე მაღალი ადგილია, სადაც მოთხილამურებს საბაგირო გზით ასვლა შეუძლია. ასე რომ, თუ ბუდი გაგაღიძობთ და სოჭის ზამთრის ოლიმპიადაზე დასწრებას შეძლებთ, მდინარე მზიმთას ხეობაში, **“როზა ხუტორში”**, ქვეშეხის ხმა ნუ შეგაშინებთ - აქ მუხების დასადუმებლად არ ისვრიან. პირიქით, ოლიმპიური ასპარეზობისთვის საუკეთესო პირობების შექმნაზე ზრუნავენ.

სერგეი ბაჩინისთვის მშენებლობა ახალი საქმე არ არის. იგი წინათ ღია სააქციო საზოგადოება **“ოპინის”** სადეველოპერო პროექტებს ხელმძღვანელობდა მოსკოვში, ნოვოსიბირსკისა და ქუზნეცის რაიონებში, თეატრ **“მეიერჰოლდისა”** და სასტუმრო ოვოტელ **oskow centre**-ს მშენებლობას. ამიტომაც საქმიანმა გენერალურმა დირექტორმა ჩვენთან საუბარი პირდაპირ საქმით დაიწყო, თუმცა კურორტის დონის შესანიშნავობის აღნიშვნაც არ დავიწყინა:

“შესანიშნავი კურორტია და ტრასებიც უკვე მზადაა. სპორტსმენები ვარჯიშობენ. მაღალია დემერსი, თოვლი უხვად დევს, ხელოვნურიცა და ბუნებრივიც. ხელოვნურს, ძირითადად, დამით გამზადებთ, შემდეგ გტკეპნით. დამით რატომ? იმიტომ, რომ ტემპერატურა უფრო დაბალია, რაც თოვლს გამაგრების საშუალებას აძლევს. თუმცა დღეს ის უხვად გვაქვს და სხვა პრინციპზე წამოგვჭრა - სად მოვთავსებთ ჩვენს კურორტზე მედლების 22 კომპლექტი გათამაშდება. უახლოეს ხანებში დაგეგმილია სამთო ოლიმპიური სოფლის

მშენებლობა 2600 სპორტსმენისთვის. ვაშენებთ 6 სასტუმროს, აპარტ-ოტელებს, მაღაზიებს, რესტორნებს. ხეობაში მთელი ქალაქი იქნება. ოლიმპიადის დროს კურორტი **“როზა ხუტორი”** დღეში 5-დან 10 ათასამდე სტუმარს მიიღებს. მშენებლობა მთლიანად 2013 წელს დასრულდება. თუმცა სატესტო რეჟიმში ტურისტებისთვის უკვე ღიაა”.

“როზა ხუტორის” პროექტის მთლიანი ბიუჯეტი 1 მილიარდ 700 მილიონი დოლარია. ძველი წარმოსადგენი არ არის, რისი გაკეთება შეიძლება და რა კეთდება ამ თანხით. ეს ყველაფერი ჩვენს თვალწინ ხდებოდა - ვუყურებდით, რომ, მიუხედავად გადაუღებელი თოვისა, მშენებლობა შეუჩერებლად მიმდინარეობდა. მშენებარე სასტუმროების კადრებს კი ფოტოებზეც ნათლად ხედავთ.

თუმცა სერგეი ბაჩინმა ისიც საზუგასმით აღნიშნა, რომ სამთო-სათხილამურო კურორტის აშენება ოლიმპიადის ჩატარების უფლების მოპოვებამდე სამი წლით ადრე დაიწყო. **“ღიახ, ოლიმპიადა ძალიან მნიშვნელოვანი მოვლენაა, თუმცა - ერთ-ერთი, რაც კურორტის ფარგლებში გაიმართება”**, - განაცხადა გენერალურმა დირექტორმა და კვლავ კურორტის გახსნის თემას დაუბრუნდა:

“ჩემად გავსენით, არავისთვის არაფერი ვეთქვამს. მაგრამ მაშინვე გვეწვია ათას ხეთანი ტურისტები. ეტყობა, მაინც გაიავს. რამდენიმე დღის წინათ, როცა მთაში ავიდით, იქ გამოცდილი მოყვარული მოთხილამურეები შემხედნენ, ხელი ჩამომართეს და მითხრეს, რომ თხილამურებზე სასრიალოდ ავსტრიის მთებში აღარ გავმგზავრებინა. საქმე ისაა, რომ კავკასიაში ასე გაზარდა მთებისა, ამიტომ უფრო დამრცხვია, ვიდრე ვეროპის ბევრი მთა. მეტად საინტერესოა იმათთვის, ვინც თხილამურებით სრიალი იცის. ერთმნიშვნელოვნად შემოძლია ვთქვა, რომ პროფესიონალებისა და ამ საქმის, ასე ვთქვათ, საშუალოდ მოღონებისთვის ჩვენი ტრასები უფრო მომხიბვლელია, ვიდრე ვეროპისა. ჩვენთან ფასებიც მისაღებია და სერვისიც ძალიან მაღალი. ფასებს არ გავზრდით და ტურისტებსაც მთელი ძალისხმევით მოვიზიდავთ”.

მაგრამ ეს უკვე მომავლის საქმეა. მთავარია, რომ ტესტირება წარმატებით ჩატარდა და ახლა კურორტზე ტექნოლოგიური შესვენება გაიმთხვადდა. სულ ცოტაც და ახალი კურორტი ყოველდღიურად 10 ათასამდე სპორტსმენს უმასპინძლებს.

მანამდე კი (იმედია დროებით) დავემშვიდობოთ საქმიან მასპინძლებს და შემდეგი ობიექტი მოინახულოთ, რომელიც თავისი მასშტაბებით **ბაჩის** - ბაიკალამურის მაგისტრალის მშენებლობას უთანაბრდება.

ფარი უახვილოდ

ზღვისპირა და მთის კლასტერებს ერთმანეთთან სარკინიგზო და საავტომობილო გვირაბი დააკავშირებს. ღია სააქციო საზოგადოება **“რუსეთის სარკინიგზო გზების ფილიალის - რუსეთის სარკინიგზო ტრანსპორტის ობიექტთა მშენებლობისა და სარკინიგზო გზების კომპლექსური რეკონსტრუქციის დირექციის”** შეკვეთის სამსახურის უფროსის მოადგილის, ანდრეი დუდნიკის თქმით, ეს 48-კილომეტრიანი გზა მსოფლიოში ერთ-ერთი უდიდესი და ურთულესი და მხოლოდ ბაჩის - ბაიკალამურის მაგისტრალს შეიძლება შევადაროთ.

ეს არის ერთ-ერთი მთავარი სატრანსპორტო პროექტი - კომბინირებული საავტომობილო და სარკინიგზო მაგისტრალი - ადღერი-კრასნაია პოლიანა, რომელიც მთის მასივის სიღრმეში, საერთო ჯამში 27 კილომეტრი სიგრძის 12 გვირაბს გაივლის და იმერეთის დაბლობზე განფენილ ოლიმპიურ პარკსა და სამთო-სათხილამურო ფერდობებს ერთმანეთთან დააკავშირებს სულ რაღაც 30 წუთში. სწორედ ამის გვეულისხმობდი, როცა წეროდი დასაწყისში ერთდროულად ზამთრისა და ზაფხულის კურორტად ვსაუბრობდი. ასევე აშენდება 75 ესტაკადა. ტრასა უმეტესად მდინარე მზიმთას მარცხენა ნაპირს გაუყვება, ზოგიერთ ადგ-



ილემში კი მდინარის ქვეშაც გაივლის.

გვირაბები, მშენებლობის ტემპის შენარჩუნების მიზნით, ორივე მხრიდან გაყავთ. ანდრეი დუდნიკის თქმით, მთის პირობებში პირველად მუშაობენ გვირაბგამყვანი ფარების დახმარებით. კანადური და გერმანული წარმოების ექვს გვირაბგამყვან კომპლექსს ამუშავებენ.

მე თავად ვნახე, მაგრამ თქვენც რომ შეგექმნათ წარმოდგენა, რაზეა საუბარი, გეტყვით, რომ გვირაბგამყვანი კომპლექსი არის 80-მეტრიანი მექანიზმი და მისი გამოყენებისას მოსამზადებელი საშუალების აუცილებლობა აღარ არსებობს. კომპლექსი არა მხოლოდ თხრის, არამედ ამუშავებს კიდეც და მის უკან მზა გვირაბი რჩება, რაც საშუალებას იძლევა, თვეში 300-400 მეტრით წაიწიოს წინ მიწის სიღრმეში. ეს კი სამთო კომპანიის თანხმადრებით ათჯერ აჩქარებს პროცესს.

“მთელი გზა 6 საგვირაბო კომპლექსს მოიცავს, რომელთაგან სამი სარკინიგზო და საავტომობილო კომპლექსია. დღეს ავტოგზის 6 კმ აგებულია. 2010 წლის ბოლოსთვის პირველ საგვირაბო კომპლექსში მატარებელი პირველი 14 კმ გავიარეთ”, - ანდრეი დუდნიკის ამ განმარტების შემდეგ მშენებლობის ვადებით დაინტერესდით.

სამუშაოების დამთავრება 2013 წლისთვის იგეგმება. მშენებლობის ხელმძღვანელის თქმით, ამ ვადებში თავისუფლად ჩაეტევიან და ოლიმპიადის დროს ეს გზა საათში 7,5 ათასი ადამიანის გატარებას შეძლებს.

საერთოდ, სოჭში დიდ ყურადღებას უთმობენ სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განვითარებას. 2014 წლისთვის 260 კილომეტრზე მეტი სიგრძის საავტომობილო და 100 კილომეტრი სიგრძის რკინიგზა აშენდება.

ჩვენ უკვე ვიცით, რა დიდი მნიშვნელობა აქვს გზებს ტურიზმის განსავითარებლად. ამიტომ ამ თემაზე ახლა აქ შეგვეწვიოთ საუბარი. ამ საკითხს მომავალ პუბლიკაციებშიც დაუბრუნდებით, როცა სოჭის მერთან - ანატოლი პახომოვთან შეხვედრის შესახებ მოგიხსენებთ, და იმის შესახებაც ვთქვათ, რა უპასუხეს საიფორმაციო-ანალიტიკური სააგენტო საქინფორმის გენერალური დირექტორს, მთავარ რედაქტორს - არნო ხიდირბეგიშვილს, როდესაც იგი სოჭის ოლიმპიური ობიექტების მშენებლობისას აფხაზეთიდან გამოტყდნილ სამშენებლო მასალების საკითხით დაინტერესდა.

თუმცა, ვიდრე შთაბეჭდილებების ამ ნაწილს წერტილს დაუვსებთ, აუცილებლად მინდა გითხრათ ჩემთვის მოულოდნელი კიდევ ერთი ფაქტის შესახებ. მე არ მიანახავს და, კაცმა რომ თქვას, არც გამიგია, რომ ობიექტის მთავალ სამშენებლო მასალებით დატვირთულ ავტომანქანებს სპეციალურ რენტგენის აპარატებში ატარებდნენ. სოჭში კი ეს ვნახე. როცა მიხეხით დაინტერესდით, ამისხნეს, რომ ყველა სამშენებლო ობიექტი, გზები, სამთო და ზღვისპირა კლასტერი აღჭურვილია უსაფრთხოების უკანასკნელი მიღწევებით, რათა ამთავითვე მინიმუმამდე დაიყვანონ გაუთვალისწინებელი სიტუაციები.

მეტი კონკრეტისთვის თავი შეიკავებს და აღარც ჩაგვიბეზარ. ანდა რაღა იყო საკითხავი - მიუხედავად იმისა, რომ აკრედიტაციაც გვექონდა და **“რია-ნოვოსტის”** და **“ერთიანი საინფორმაციო ცენტრის”** წარმომადგენლებიც თან გვახლდნენ, მშენებარე ობიექტების დათვალიერების წინ პასპორტებს მაინც გვიმოწმებდნენ. სიფრთხილეს თავი არ სტკივა - **“ენდგ, მაგრამ შეამოწმე!”**



ჩვენი საერთო სალიბერალური ენა ქართული, თუ იბერიული?



ნებისმიერი ერის განსაკუთრებული ინტერესის სფეროს განეკუთვნება საკუთარი ერისა და ერის წარმომავლობა. ამ მხრივ არც ქართველები ვართ გამოწვევნი. ჩვენთვის ცნობილი ისტორიის მანძილზე ამ საკითხის გარკვევა პირველად ლეონტი მროველს (ნამდვილს, თუ ცრუს, გაურკვეველია) უცდია, მაგრამ, როგორც ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავს ამ საკითხს მან „ვერს სძლია, ვერც საკმაოდ ცოდნა გამოიჩინა, რომ ნათესავნი უცხო-ოვანები განეგრძნო და ქართველი ტომები (ქართლები, კახელები, მესხები, მეგრელები და სხვანი) კაცკაციის სხვა ერებისაგან განცალკევებულისა, თვით ისინი-კი ერთის შთამომავლობისად აღეარნა. ქართველ ყველა ტომების შესახებაც საჭირო ცნობები არა ჰქონდა...“ (ივ. ჯავახიშვილი, ტ. IX, 1977, გვ. 181).

როგორც ივ. ჯავახიშვილი შენიშნავს, ლეონტი მროველს ქართული ერის განეგრძნა ენათა შერევით აუხსნია: „ქართლისიანი“ თავდაპირველად სომხურს ლაპარაკობდნენ, მაგრამ დროთა განმავლობაში საქართველოში ბევრი სხვადასხვა ენისა და „ნათესავის“ ხალხი ჩამოსახლდა და „ამათ ყოველთა ნათესავთაგანი შეიქმნა ენა ქართული“-ო... მაშასადამე, აგრესორს სიტყვები „ენათა შერევით“ თავის ნამდვილ და ძირითად მნიშვნელობით გაუგია და ამაზე დაუწყარებია ქართული ერის განენის თეორია. ამგვარი ახსნა ჩვენს დროში ბავშვსაც-კი არ ეპატიება, თუმცა თანამედროვე მეცნიერებაც არ უარყოფს, რომ „ზოგიერთი ენები შერეული ენათა ჯგუფს ეკუთვნიან...“ (იქვე, ტ. IX, გვ. 183).

ჩვენ კიდევ ვფიქრობთ, ლეონტი მროველი არც ისე გულუბრყვილოა. მან ბრწყინვალედ იცის, რომ მოკლე დროით, მაგრამ იბერიის გარკვეული ტერიტორია მიტაცებული ჰქონდა ძვ. წ. აღ. I საუკუნის სომეხთა მეფის ტიგრან II-ს და ამ ტერიტორიაზე იმ ხანად სომხური ენა ბატონობდა, მაგრამ ეს პერიოდში მან სპეციალურად ძვ. წ. აღ. მე-VI საუკუნის წინა ხანაში გადაიტანა (რა პერიოდზეც საფუძვლიანი ისტორიული ცნობები არ მოგვეპოვება), რომ უგულვებელყო იბერიის ბატონობა და არ შეიძლება, რომ არ სცოდნოდა ტიგრან II-მდე და მას შემდეგ 523 წლამდე ქართული იბერიის ორგანული ნაწილი იყო, მაგრამ ამას იგი სპეციალურად მაღავეს და ქართლის ხელისუფალთ, რომ შეეწყინებინათ ეს სიცრუე, ქართლს გუნდრუკს უკმევს და ქართული ერის აღზევების ხანა ახ. წ. აღ-ის 899 წლიდან ძვ. წ. აღ-ის 284 წლამდე გადააქვს, რაც ჭკუა მოკლე საქართველოს ხელისუფლებასაც გაუტკბა და ხელი მიჰყო ამ სიცრუის ჭკუშარიტების რანში დამკვიდრებას. რაც შეეხება ქართული ერის სხვადასხვა „ნათესავთა“ ჩამოსახლებით შექმნას, ამგვარი შეხედულება, მართლაც მის სიღრმეებში ნაუხედაობა და ბავშვური გულუბრყვილობაა. და, მიუხე-

დავად იმისა, ჩვენს საერთო სალიბერალურ ენაში უხვადანა ხსენებენ უცხო სიტყვები, მის წარმოშობას სხვა საფუძველი აქვს. ხოლო „ქართლისიანი ენა სომხური იყო“-ო, – ამის თქმა და საერთო სალიბერალური ერის წინარე – იბერიული ერის არსებობის იგნორირება, ხოლო მის ადგილზე სომხურის დაყენება, სომეხი ავტორის გარდა, სხვას არ შეეძლო. იმ ფაქტის გამო, რომ ტიგრან II-ის დროს სომეხებს მიტაცებული ჰქონდათ იბერიული მიწები, სომხური როლის გაზვიადება და იბერთა არსებობის საერთოდ გამორიცხვა, მიუთითებს ცრუ ლეონტი მროველის სომხურ წარმომავლობაზე, მით უმეტეს, როცა ჩვენთვის „ქართლის ცხოვრება“ ცნობილია მხოლოდ მე-XV საუკუნის ანა დედოფლისეული და მე-XVII საუკუნის მარიამ დედოფლისეული ხელნაწერებით, ხოლო დღევანდელი ქართული ენაზე არავის უნახავს.

ე. წ. ქართველური ენების როლზე საერთო სალიბერალური ერის ჩამოყალიბებაში აბსოლუტურ ტენდენციურობას იჩენს პროფ. ტ. ფუტყარაძე, რომელიც თავის სურვილს უფრო გამოხატავს, ვიდრე მეცნიერულ დასაბუთებას: „თანამედროვე ქართველთა სამეტყველო ერთეულთაგან საერთო ქართველურს უფრო უახლოვდება სამწიგნობრო ქართული და მასთან ახლო მყოფი ცენტრალური კილოები (კახური, ქართლური, იმერული...); საერთო ეროვნული ველისგან დაშორებამ, უცხოენოვანმა გაავლენებმა და სხვა მიზეზებმა საერთო ქართველურსა და სამწიგნობრო ქართულს შორის კლებად დააშორა სვანური, ზანური, ფხოვური, ჰერული, ფერეიდული და სხვა კილოები. ამ დიალექტებში ლექსიკურ სესხებებთან ერთად ფონეტიკური და მორფოლოგიური პროცესები განვითარდა; შესაბამისად განაპირობა კილოებში ბევრი ენობრივი მოვლენა შედარებით გვიანაა წარმოქმნილი. შეიძლება ითქვას: ზანურ – სვანური და ფხოვური კილოები საერთო ქართველურთან მიმართებით უფრო ბევრ ენობრივ სიახლეს შეიცავს, ვიდრე ქართლური და იმერული...“ (ტ. ფუტყარაძე, ქართველები, 2005, გვ. 278-279).

აქედან გამომდინარე, ტარიელ ფუტყარაძე ცრუ ლეონტი მროველის აშკარა მიმდევარია, იმ განსხვავებით, რომ „ლეონტი მროველი“ იბერიულისა და სვანური არსებობას საერთოდ უგულვებელბოფს, ხოლო ფუტყარაძე მათ არსებობას აღიარებს, მაგრამ დიალექტადაც არ თვლის და გვიან წარმოშობილი კილოებიდან მიიჩნევს. ეს კი, რომ არაფერი ვთქვათ ჭკუშმარიტებაზე, პოლიტიკურ უმწიფარობაზეც მეტყველებს და სომხურ წისქვილზე ასხამს წყალს. საინტერესოა, როგორ წარმოუდგენია ტარიელ ფუტყარაძეს საერთო ქართველური კლასიკა და შეუძლია თუ არა ამ ლექსიკიდან რამდენიმე ძირისეული ფორმის ეტიმოლოგიისა და მნიშვნელობის დადგენა მაინც, და თუ არ შეუძლია, რის საფუძველზე აკეთებს ასეთ დასკვნას. ალბათ, კ. ფენრიხისა და ხ. სარჯველიაძის „ქართველურ ენათა ეტიმოლოგიის ლექსიკონს“ ეყრდნობა, რომელიც აშკარად ტენდენციურია. სალიბერალური ქართულის გარდა, სხვა ქართველური ენების არმცოდნე ქართველებს და იბერიული (ე. წ. მეგრული) ერის ზერეულ მცოდნე მეცნიერებსაც კი, ალბათ, ჰგონიათ, რომ თანამედროვე სალიბერალური ენა მხო-

ლოდ ქართული დიალექტის ბაზაზეა შექმნილი და უდიდეს უმრავლესობას ჰეგემონური ამბიციები ამოძრავებს. მაშინ, როცა დედამიწაზე გლობალური კატასტროფა მოსალოდნელი და მის ასაცილებლად კაცობრიობის სულიერ-ხეობრივი ამაღლება და მოძველებული, ველური ჰეგემონური ამბიციების დათმობა აუცილებელი, ოფიციალური, სახელმწიფო და ფინანსებაზე არსებული მეცნიერება, მიუხედავად იმისა, მათთვის ცნობილია „ქართლის ცხოვრებაში“ აღწერილი სიცრუე და ახალი აღმოჩენების ჭკუშმარიტება, გაურბიან ამ ჭკუშმარიტების განხილვას, დისკუსიას და ჯიუტად აგრძელებენ სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში ზემოთ აღნიშნული სიცრუის სწავლებას, რაც კატასტროფულად ამახინჯებს ერის სულიერ-ხეობრივ ძლიერებას და გადაშენებისკენ მიჰყავს ქვეყანა.

მიუხედავად იმისა, ე. წ. ქართული სალიბერალური ერის ლექსიკური ფონდის 50%-ზე მეტი უცხოურ ნასესხებ ლექსიკას წარმოადგენს, არ შეიძლება ჩვენი სალიბერალური ენა უცხო ენათა კონგლომერატად ჩაითვალოს, რადგან ის უცხოური სიტყვებიც გატარებულია ეროვნულ – ენობრივ-გარამატიკულ ბრძოლაში და რამდენადმე მაინც წაშლილია მათი უცხოური ფერადობა. ამასთან, წმინდა ეროვნული წარმოშობის ლექსიკური ფონდი, რომელიც 50%-მდე აღწევს, მომდინარეობს კაცობრიობის დასაბამიდან, რომლის მსგავსი ენობრივი მონაცემები დღეისათვის არცერთ ცნობილ ენას არ გააჩნია მსოფლიოში, მოწმობს ჩვენი სალიბერალური ერის წმინდა ეროვნულ – ენობრივ ნიადაგზე ჩამოყალიბებას.

რა ენობრივ მონაცემებზეა საუბარი? 1500-ზე მეტი (იხ. კ. ფენრიხი, ხ. სარჯველიაძე, ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი) საერთო ძირისეული ფორმები, რომლის საფუძველზეა აგებული საერთო სალიბერალური ერის წმინდა ეროვნული წარმოშობის ლექსიკური ფონდი, წარმოადგენს ხმაბაძეით ნიადაგზე ჩასახულ ფორმებს, წარმოშობილს იმ უხსოვარ ხანაში, როცა ორფესაველური ცხოველი ენას იღვამდა, ანუ „იაფეტურ ენათა ოჯახის საშუალებას განაღვლეს მათი შედარებითი შესწავლის გზით მივაწიოთ იქ, სადაც კაცობრიული ერის და ცხოველთა მეტყველების ზღვარი ძვეს“ (ნიკო მარი, რით ცხოვრობს იაფეტური ენათმეცნიერება, პეტროგრადი, 1923, გვ. 40-42). ამ მონაცემების უგულვებელყოფა საშუალებას აძლევს მტრულ ძალებს ქართველი ერი დანარჩენ მსოფლიოს წარმოუდგინონ გაურკვეველი წარმომავლობის ენა.

სამწუხაროდ, ენათმეცნიერებს დღემდე არ უცდიათ ძირისეული ფორმების წარმომავლობისა და მნიშვნელობების გარკვევა და თვლიან, რომ ამის შესაძლებლობა სამუდამოდ დაკარგულია. მაგრამ, როცა წარმოვადგინებთ რამდენიმე ძირისეული ფორმის მონაცემს მთელეული მნიშვნელობა და მისი ჩამოყალიბებამდე ფონეტიკური ცვლილებების შესაძლო პროცესი, აღიარებს, რომ ეს ძალზე საინტერესოა და თავიდან თანამშრომლობის სურვილი გამოთქვს, თუმცა, ამასთან, მაღვე იმაზეც იხრებენ, რომ „წარმატებისგან ხიბლში არ ჩავვარდნილიყავა“ და სცადეს ჩემთვის თავს მოეხვიათ თავიანთი შეხედულებები, მაგრამ, როცა დაგუმტკიცე ჭკუშმარიტება და გამოვლინდა მათი ცრუ წარმოდგენები, ალბათ, თავიანთი სისუსტის დამაღვს მიზნით (სხვა მიზეზი ვერ ვიპოვე), მათთან კავშირის ყოველგვარი გზა გადამიკეტეს და, ნაცვლად იმისა, რომ დირსეულად მოქცეულიყვნენ და ეთქვათ: რასაც თქვენ შეეხეთ, მეცნიერებაში ახილეთ, თქვენს შეხედულებებს სიღრმისეულად შევისწავლით, უფურადღებოდ არ დაგტოვებთ, თავი ამარიდეს, რითაც მეცნიერული ჭკუშმარიტება და საკუთარი დირსება კი არ დააყენეს სათანადო სიმადლეზე, არამედ მედროვის როლი არჩიეს.

523 წლამდე გაბატონებული სახელმწიფო ენა – იბერიული (ე. წ. მეგრული), რომელიც პროფ. ტ. ფუტყარაძეს უნდა მსოფლიოს საზოგადოებას წარმოუდგინოს როგორც საერთო ქართველური ერის კილოკავი, მსოფლიოს ყველა მოქმედი ენებისგან განსხვავებით ინახავს სამეტყველო ბეგრების წარმოშობის მექანიზმებს, ხმაბაძეით მიღებული ლექსიკის უზარმაზარ ფონდს (იხ. მ. ძამაძია, ე. ძამაძია, ვ. ვახანიძე, მეგრული ერის ლექსიკა და სიტყვათწარმომავლობა, შეიქმნილი), სალიბერალური ეროვნული წარმოშობის ლექსიკის ძირისეული ფორმების მნიშვნელობებს და მისი ფონეტიკური ცვლილება – განვითარების შესწავლის შესაძლებლობებს, რასაც ვერ ვფლობენ სხვა ე. წ. ქართველური ენები, ალბათ, უცხო ენებიც, თორემ არ აკრძალავდნენ ენისა და მეტყველების წარმოშობაზე მოსხვებების განხილვას. ყველაფერი ეს და ჩვენი მხედრული და ასომთავრული დამწერლობანი, ამ დამწერლობათა ასო ნიშნების სახელდებების დაქარაგმებული ფორმებისა და ე. წ. არმაზის ბილინგვის საიდუმლო ერის იბერიული ენით გახსნა მეტყველებს ამ ერის, როგორც მსოფლიოში ყველაზე უძველესი ერის, კაცობრიობის დასაბამიდან მომდინარეობაზე. გარდა ამისა, იბერიული ენით იხსნება მნიშვნელობა და ეტიმოლოგია მრავალი ტოპონიმისა, პიროვნებისა, გვართაფუძეების არამარტო დასავლეთ, არამედ აღმოსავლეთ საქართველოშიც და ეთნონიმები: ჭანი, ლაზი, აფხაზი, აფშილი, სვანი, მესხი, თუში, ფშავი, ხევსური, მეგრული, ქართი და ა. შ.

აქ, ალბათ, დაისმება ლოგიკური კითხვა: თუ ყველაფერი ეს ჭკუშმარიტებაა, რატომ ჰქვია ჩვენს სამწიგნობრო ენას ქართული, ხოლო ქვეყანას – საქართველო და არა იბერიული და იბერია? ცნობილია, რომ იბერიის დაცემის შემდეგ ჩამოყალიბდა, ჯერ ლაზთა, შემდეგ აფხაზეთის სამეფო, რომლის სახელმწიფო ენა, უეჭველია, იბერიული იყო (იხ. ჩვენი „რატომ ებრძვიან კოლხურ-იბერიულ ფესვებს?“), მაგრამ აფხაზეთი დაერქვა იმის გამო, რომ საკმაოდ გაძლიერებულმა აფხაზეთის მთავარმა იაქტიურა, ბიზანტიელი მეციხოვნეები გააძევა ყოფილი იბერიის ტერიტორიიდან და გარკვეულ ტერიტორიაზე ადაღინა სახელმწიფოებრიობა; 899 წლიდან მიიღო დამოუკიდებელი სამეფოს სტატუსი; 978 წელს აფხაზეთის მეფე აკურთხეს ქართლის უფლისწული – ბაგრატ III ბაგრატიონი; 1008 წელს ბაგრატ III-მ ქართლი შემოუერთა აფხაზეთს; ამ დროიდან დაწყებული XI-XII და „არც თუ ისე იშვიათად XIII-ე საუკუნეში“ გაერთიანებული იბერიის ტერიტორია იწოდება აფხაზეთად (იხ. ივ. ჯავახიშვილი, ენციკლოპედიური ლექსიკონი); ამ დროიდან

იწყება საერთო სალიბერალური ერის ჩამოყალიბება და, ენობრივი მონაცემებითაც და პოლიტიკური თვალსაზრისითაც, უფრო სამართლიანი იქნებოდა ჩვენი სალიბერალური ერისათვის და ქვეყნისათვის აღვადგინოთ ისტორიული სახელწოდებანი – იბერიული და იბერია, რომლის შემდეგ აღარ წარმოიშობოდა ის პრობლემები, რომლებმაც შეიძლება საბედისწერო შედეგი გამოიწვიოს იბერთა მოდემისათვის, და არც არავის ექნებოდა საფუძველი, ეთქვა: „ქართველები გაურკვეველი წარმომავლობის ერია“-ო, მაგრამ ქართული ენა და საქართველო დაერქვა გაერთიანებული იბერიის მეფის საპატივცემლოდ, რომელიც ეთნიკურად ქართლელი იყო. და, ნაცვლად იმისა თუიღოს II-ს ბრძნული გადაწყვეტილებისათვის შესაბამისი ჰუმანური ქმედებით ეპასუხათ, იმდროინდელ საქართველოს ხელისუფალთ ჰეგემონური ამბიციები უნდებოდა, როგორც ეს გამოიჩინა უფრო ადრე, ჯერ ლაზთა, მერე აფხაზეთა მეფემ და იბერიის როლის დაკნინების ხარჯზე ქართლელთა როლის გაზვიადებას მიჰყვეს ხელი. შედეგად ტოტალურად გაყალბდა ქართველი ერის ისტორია და ამ გაყალბებებმა, მიზეზ-შედეგობრიობის კანონის ძალით, რა შედეგებიც გამოიღო, უკვე, აშკარაა.

რადგან დიდი უკმაყოფილებაა იმის გამო, რომ იბერიულ (იგივე პროტოქართულ) ენას ტ. ფუტყარაძე და ძმანი მისნი საერთო ქართველურის კილოკავად თვლიან და, ამასთან, ფართო საზოგადოება (ზოგი მეცნიერიც კი) არ იცნობს იბერიული ერის ზემოთ ჩამოთვლილ მონაცემებს და შესაძლებლობებს, ხშირად მეკითხებიან: სად არის საერთო სალიბერალური ერის მიმართ ქართველური ენებისა და, განსაკუთრებით იბერიული (ე. წ. მეგრული) ერის ადგილი?

დღეისათვის შესწავლილი მასალების საფუძველზე, თამაშად შეიძლება დავასკვნათ (უკაცრავად ვარ მაღალ ტიტულოვანი მეცნიერების წინაშე, რომ მათ არ ვაცილი კევოს მოფხანას, საკითხების შესწავლას და უუსწრებ დასკვნის გაკეთებას): თანამედროვე საერთო სალიბერალური ენა არის უბეღესი იბერიული (იგივე პროტოქართული) ერის დიფერენცირების შედეგად მიღებული ტომობრივი ენებისა და თვით იბერიული ერის ისევე კონსოლიდაციით (შერწყმით) გაძლიერებული, სრულად გახმოვანებული და დახვეწილი, საოცრად გამარტივებული და გრამატიზირებული ახალი კლასიკური იბერიული ენა, ხოლო თვით იბერიული (ე. წ. მეგრული) არის დედამიწაზე სახელმწიფოებრიობის ჩასახვის ხანიდან 523 წლამდე არსებული სახელმწიფო ენა, რომლის ფესვები კაცობრიობის დასაბამიდან მომდინარეობს და ეს, თითქოსდა, ორი სხვადასხვა ენა, სხვადასხვა ერის ენა კი არ არის, არამედ ერთიანი იბერიული ენაა, ოღონდ სხვადასხვა ეპოქისა.

ამრიგად, ქართველი ერისა და ქართული სალიბერალური ერის წარმომავლობა საკმაოდ ზუსტად დგინდება და არავითარ გაურკვეველობას არ წარმოადგენს, როგორც ეს მტრულ და დესტრუქციულ ძალებს სურს იყოს.

კუპური შიშია, საქართველოს მწერალთა, მეცნიერთა და საზოგადო მოღვაწეთა აკადემია „ქალდეა“-ს და ფაზისის აკადემიის ნამდვილი წევრი.

აშშ: თაჰირსუფლიაბის გარეშე

სხვა ქვეყნების მიმართ აშშ-ის ფარ-
სეკულური და ამორალური მოქმედება მისი
პოლიტიკური ელიტის მოქმედების ტოლ-
ფარდია.

(დასასრული. დასაწყისი
“ილოხი” №106, 107)

(აღნიშნული წერილი, რომელიც საქინ-
ფორმმა უცვლელად თარგმნა, 2010 წლის
30 დეკემბრის ნომერში გამოაქვეყნა აზერ-
ბაიჯანის საპარლამენტო გაზეთმა “აზერ-
ბაიჯანმა”).

აეფუ შიჰაქლია!

სხვა ქვეყნების მიმართ აშშ-ის პირმოთენ
და ამორალური დამოკიდებულება მისი
პოლიტიკური ელიტის ქცევის ფარდია.
დარბაისლური, თმაშევერცხლილი ხანდაზ-
მული ადამიანები, რომლებიც ჭკვიანური
გამომეტყველებით მოძღვრებენ პლანეტას,
ზნეობასა და უმწიკვლო ცხოვრების
პრინციპებს გეოქადაგებენ, ხშირად მანიკერე-
ბისა და გაუქმდარობის განსახიერებლად
წარმოგვიდგებიან.

ოფიციალური ნებართვა, რომლის ძალი-
თაც ავღანეთსა და ერაყში მყოფი აშშ
სამხედრო კონტიგენტში სამსახურისთვის
არატრადიციული სექსუალური ორიენტაცი-
ის ადამიანების გაწვევა ხდება, ამერიკის
პოლიტიკურ ელიტაში ფესვებგადგმული
მანკი გამოვლენაა. ასე, მაგალითად, ცნო-
ბილი კონგრესმენები - მარკ ფოლგი, ბენ
ჰეინსი, ბობ ლივინგტონი, ჰერი კონდოტი,
ვილბერ მილსი, ჰერი სტადისი, დენ კრეინი,
ჯონ პინსონი, კენ კალვერტი, დონ შერვუდი,
ფრედ რიშმონდი, ალენ პოფე, ბაზ ლეკენსი,
ბარნეი ფრანკი, ტომ ვეანსი: საპატიო სენა-
ტორები - ბობ პაკუელი, ჰარი პარტი, ტედ
კენედი, ლარი კრევი, არტურ ბროუნი, დევიდ
ვიტორი, ბროკ ადამსი: შერები და გუბერნა-
ტორები - ჯეიმს მაკგრები (ნიუ ჯერსის
გუბერნატორი), ნილ კოლდუშმიტი (ორეგონის
გუბერნატორი), ჯიმ ბესტი (ვაშინგტონის
შტატის ქალაქ სპიკანის მერი), ელიოტ
შპიტცერი (ნიუ-იორკის გუბერნატორი), რუდი
ჯულიანი (ნიუ-იორკის მერი), პაულ პატონი
(კენტაის გუბერნატორი), კვამი კილპატრიკი
(დეტროიტის მერი), ნაკ რობი (ვირჯინიის
გუბერნატორი), გევენ ნიუსამი (სან-ფრან-
ცისკოს მერი), ანტონიო ვილარაიგოსა (ლოს-
ანჯელესის მერი), დონალდ დიფრანჩესკა
(ნიუ-ჯერსის გუბერნატორი) მხილველნი
იყვნენ და მიეცნენ პასუხისმგებლობაში გარყვნილ
ქმედებაში ბრალდებით, მათ შორის,
მცირეწლოვანი გოგონებისა და ბიჭების მი-
მართ. ამ საქმეებიდან ზოგიერთის გაცნობაც
კი საკმარისია საიმისოდ, რომ სრულიად
წარმოვიდგინოთ, რამდენად საზიზარია
აშშ-ის ზოგიერთი პოლიტიკური მოღვაწის
სახე.

ამის კარგი მაგალითია ის დიდი სკან-
დალი, რომელიც სენატორ ლარი კრევის
შესახებ გამოვლენდა. კერძოდ, იგი ამხილეს
აეროპორტის საპირფარეოში. სხვა მაგა-
ლით: ორეგონის გუბერნატორი ნილ
კოლდუშმიტი ამხილეს თავისი შვილების 14
წლის გადასთან ინტერნეტ კავშირში.
დემოკრატი-სენატორ ბროკ ადამსს ბრალი
დაედა რვა ქალის გაუპატიურებასა და
გაუპატიურების მცდელობაში. სპიკანის
მერი ჯიმ ვესტი ორი მცირეწლოვანი ბიჭის
გაუპატიურებას ცდილობდა და ა. შ. ეს
მანიკერება სახელმწიფოს მეთაურებისთვის
და დამფუძნებელ მამათათვისაც იყო დამაზ-
ისიოებელი.

ჰუვერ კლივლენდი, აშშ-ის 22-ე და 24-ე
პრეზიდენტები, აგრეთვე, უორენ ჰარდინგი,
აშშ-ის 29-ე პრეზიდენტი მხილველ იქნენ
ქორწინების გარეშე მრავალრიცხოვან
კავშირებში, რომლებიც ამქვეყნად ბუშების
განხით დაგვირგვინდა.

სიის გვირგვინი მაინც დამფუძნებელი
მამებია - თომას ჯეფერსონი და ალექსან-
დრე ჰამილტონი. ფედერალისტების პარტიის
იდულოგი და ხელმძღვანელი აშშ სახ-
აზრო დეპარტამენტის პირველი მეთაური
ალექსანდრე ჰამილტონი თავის დროზე
ამხილეს ხანგრძლივი ქორწინების გარეშე
ურთიერთობაში ქალთან, რომლის ქმარი
დიხანს ამანტაუბდა პატივცემულ მამა-
დამარსებელს. აშშ მესამე პრეზიდენტს,
დამფუძნებლობის დეკლარაციის ავტორს
ინტერნეტ კავშირში პქონდა თავის 17 წლის
მონა გოგონსთან, რომელმაც მას ბავშვი
გაუჩინა.

“შეიცნობთ ჭეშმარიტებას და ჭეშ-
მარიტება გაგათავისუფლებთ თქვენ”
(თინაი 8,31)

(წინადადება, რომელიც ამოციფრულია
დენგლინში, ცენტრალური სადაზურველო სამ-
მართველოს შესასვლელის იატაკზე)

ამერიკის პოლიტიკური მოღვაწის კო-

რემპრებულობისა და დაცემის სერიოზულ
ილუსტრაციად გამოდგება მაგალითი, როცა
1992 წელს მიიღეს 907-ე შესწორება “თავი-
სუფლების მხარდაჭერის აქტი”, რომლითაც
სანქციები დაეკისრა აზერბაიჯანს, როგორც
მხარეს, რომელიც ვითომდაც სომხეთის
წინააღმდეგ აგრესიაშია დაშინაშევე. დღეს
აშშ საგარეო პოლიტიკა “ორმაგი სტან-
დარტების” და საკუთარი პოლიტიკური
სისტემის მიხედვითაა ქცეული, ამ ბოლო
თვეებში ბარაკ ობამას ადმინისტრაციამ
ვერ დაამტკიცებინა კონგრესს აზერბაი-
ჯანში ელჩად მის მიერ წარდგენილი მეთიუ
ბრაიზას კანდიდატურა. სენატორები, მს-
გავსნი ბარბარა ბოკსერისა და რობერტ
მენენდესისა, რომელთაც ასპონსორებს სომხ-
ური ლობი, ყველანაირად ბლოკავენ ბრაიზას
დანიშნვას აღნიშნულ თანამდებობაზე. ამ-
რივად, სომხური ლობის მიერ დაფინანსე-
ბული ჯგუფის მოქმედება ბლოკავს აშშ
პრეზიდენტის ადმინისტრაციის საგარეო
პოლიტიკის რეალიზაციას. სახელმწიფო
დეპარტამენტსა და პრეზიდენტ ობამას ეს
საკითხი თვითმდინებაზე ჰყავთ მიშვებული,
რაც მათ უძალდობს ადასტურებს. ამით
ამერიკის ინტერესებს კალიფორნიასა და
ზოგიერთ სხვა შტატში სომხური დიას-
პორის ამბიციურ მოთხოვნებს უსადაგებს.
ამის აშკარა მაგალითია სომხური დიას-
პორის მიერ ყოველწლიური ინიციატივა ოს-
მანთა იმპერიაში. “სომხთა გერონდოს”
აღიარების საკითხისა. ამრივად, აშშ
საგარეო პოლიტიკა სომხური პროეკა-
ციების მიხედვით ხდება. ამერიკის უმაღლესი
ხელისუფლება, რომელიც ხელში უჭირავს
კარგად დაფინანსებულ დაინტერესებულ
ჯგუფებს, სათავეს იყენებს “სომხური
ელექტორატის” კარტს, ფაქტობრივად, მო-
ქცეულია მათი გავლენის ქვეშ და თავის
პოლიტიკურ ქმედუენობას წარმოაჩენს.

ისეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ ამ სუ-
პერსახელმწიფოს საგარეოპოლიტიკური
კონცეფცია ოვალურ კაბინეტსა და სახ-
ელმწიფო დეპარტამენტში კი არ იქმნება,
არამედ - კერკ კერკორიანის ოფისსა და
კომ უარდაშოიანის საძინებელში. სწორედ
ისინი აყალიბებენ აშშ საგარეოპოლიტიკურ
კონცეფციას, რომელიც ნოამ პომპეის თქმისა
არ იყოს, “გააღორბეული შტატების”
ცნებადგა დასული.

აშშ დღევანდელი ადმინისტრაციის ამგ-
ვარი “კატაკლიზმი”, რომელსაც უნარი
არ შეეგვს, ბოლომდე დაიცვას თავისი
პოზიციები, ბოლომდე არ შეასრულოს
თავისი პრაქტიკულად ყველა დაპირება,
მოქმდის არა იმდენად ამჟამინდელი ად-
მინისტრაციის სისუსტეს პრობლემების
გადაჭრის საქმეში, რამდენადაც სისტემური
ხასიათის სერიოზული პრობლემების არ-
სებობას, რომლებიც ააშკარავებს ამერიკის
უუნარობას, რეაგირება მოახდინოს
მსოფლიოს ცვლად რეალობაზე.

ფაქტები ადასტურებს, რომ სახელმწიფო
დეპარტამენტს არ გააჩნია სხვადასხვა რე-
კონები პროცესების განვითარების პერ-
სპექტივის ხედვა. მაგალითად, ე.წ. სომხურ-
თურქული დაახლოების პერიოდში სახ-
ელმწიფო მდივნის მოადგილეს - ფილიპ
გორდონს ოფიციალურ დონეებზე არაერთხ-
ელ განუცხადებია, რომ არ არსებობს
ურთიერთკავშირი ყარაბაღის კონფლიქტის
მოგვარებასა და სომხეთ-თურქეთის
საზღვრის გახსნას შორის. სინამდვილეში
კი საწინააღმდეგო დაამტკიცა.

სამწიფო კავკასიაში აშშ პოლიტიკის
სიმხვეცე კიდევ ერთი დადასტურებაა იმისა,
თუ რა ღრმად ამერიკის სისტემური დაცემა.
აშშ დღეს ჰგავს საზოგადოებას, რომელიც
ინერტული ყველა სასიცოცხლო პარამეტრით.
ისეთი ხნობრივი კატეგორიები, როგორცაა
სამართლიანობა, წესიერება, მაღალი ზნეობა
და ა.შ., ასობით მილიონი ადამიანის ბუდის
განმკარგველთათვის ანაქრონიზმადაა
ქცეული. ამერიკის შეერთებული შტატები,
რომელიც, ფაქტობრივად, იგნორირებას
უკეთებს აზერბაიჯანის ტერიტორიულ
მთლიანობას, მზადაა, დაიცვას მეორე
სამხრეთკავკასიური სახელმწიფოს -
საქართველოს ინტერესები და ყურადღება
არ მიაქცევს, რომ სომხებს აქვთ ტერიტო-
რიული პრეტენზიები. სახელმწიფო მდივანი
შემთხვევას არ უშვებს ხელიდან, არ
შეახსენის თავიანთ პარტნიორს “გა-
ღატერითაში” - რუსეთს რომ შტატები ვერ
შეურიგდებიან საქართველოს დანაწევრებას
და არ აღიარებენ სტატუს-კვოს.

მეორე სახელმწიფო, რომელსაც აშშ
მეურველობს - სომხეთი მიჰყიდის იარაღს
ქვეყანასა და ძალებს, რომლებსაც ოფი-
ციალური ვაშინგტონი “ბორტების დერმს”
მიაკუთვნებს. ამასთან, სომხეთის წინააღმდეგ
არა მარტო არ გამოიყენებენ ხმამაღალ

ტონს, არამედ მუდმივად უზრდიან აგრესორ
ქვეყანას ფინანსურ და სოციალურ დახ-
მარებას. საინტერესოა, რატომ ხუჭავს
თვალს აშშ აგრესიულ სეპარატიზმზე,
“რუხი ზონების” შექმნასა და ნარკო-
ტრაფიკზე მთიან ყარაბაღში.

ამერიკის პოლიტიკის პირმოთეობა
ვლინდება იმაშიც, რომ აშშ-საქართველოს,
აშშ-აზერბაიჯანის და აშშ-სომხეთის
ურთიერთობის შესახებ ამბობენ ერთს,
საქმით კი სულ სხვას ამტკიცებენ. მიუხე-
დავად იმისა, რომ აზერბაიჯანი ასრულდა
ყველა ნაკისრ ვალდებულებას საერთა-
შორისო ტერორიზმთან ბრძოლის, პლანეტის
ცალკეულ რეგიონებში მშვიდობისა და
სტაბილურობის დამყარებას, აგრეთვე,
ვერობის ენერგეტიკული უსაფრთხოების
უზრუნველყოფის საკითხებში, აშშ პოლი-
ტიკა აზერბაიჯანის მიმართ ატარებს
ამორჩეული და სუბიექტურ ხასიათს. ისეთი
ცნება, როგორცაა “სტრატეგიული პარტ-
ნიორობა” აშშ ოფიციალური პირების მოდ-
ეაწეობაში არაგულწრფელ უშინაარსო
ფორმად არის ქცეული.

რა არის ასეთი სიმპათია-ანტიპათიის
მიზეზი!

პასუხი აშკარაა - მიზეზი “ორმაგი სტან-
დარტებისა”, რასაც ამერიკა იყენებს იმ
ყველაფრის მიმართ, რაც მის გარშემოა.
აშშ მიიჩნევს, რომ ცივი ომი არ დამთავრე-
ბულა და განაგრძობს ვითარების გამწ-
ვებას ძალადობრივი ზემოქმედების გზით
იმ სახელმწიფოებზე, რომელთა ინტენსიური
და დამოუკიდებელი განვითარება მას ხელს
არ აძლევს. ამერიკა მისწრაფის თავისი
აღიკვლად სახელმწიფოების შექმნისაკენ,
რომელთაც მისი ინტერესის მსოფლიოში
საჭიროებისამებრ გამოიყენებდა, ხოლო ის
სახელმწიფოები, რომელთაც არჩეული აქვთ
განვითარების საკუთარი გზა, აშშ-სთვის
პრინციპულად მიუღებელია. ამ თვალ-
საზრისით, უკრაინის მაგალითია დამახასი-
ათებელი. ქვეყანა, რომელიც “ნარინჯისფერი
ხელისუფლების” მმართველობის პერიოდში
პოლიტიკურ და ეკონომიკურ თავისუფლე-
ბათა კუთხით ყოველთვის მაღალ რეიტინგს
იღებდა, ვიქტორ იანუკოვიჩის გაპრეზიდენ-
ტების პირველსავე წელს ვაშინგტონის
“შავ სიაში” აღმოჩნდა.

ცნობილია, რომ “დაუმორჩილე-
ბელთათვის” აშშ-ს აქვს შემინახული სხვა
იმპერიებისგან განსხვავებით, რომლებიც,
როგორც მსოფლიო ისტორია გვიდას-
ტურებს, ასეთ მრავალფეროვან პოლიტიკურ
არსებას იყენებდნენ არასასურველ სახ-
ელმწიფოებზე ზემოქმედების მიზნით, შეერ-
თებული შტატები ამოქმედებენ “ადამიანის
უფლებასა და სიტყვის თავისუფლებას” იმ
სცენარის მიხედვით, რომელიც დაწერილია
საპატიო “მეთოჯინის” ჯორჯ სოროსის
მიერ.

თუ აშშ ნამდვილად დაინტერესებულია,
მჭიდრო პოლიტიკური თანამშრომლობა
იქონოს აზერბაიჯანთან, რომელიც, პრეზი-
დენტისა და სახელმწიფო მდივნის მტ-
კიცებით, ამერიკის ერთ-ერთი უმნიშვნელო-
ვანესი პარტნიორია, მაშინ საკითხავია,
დღემდე რატომ არაფერი კეთდება სომხ-
ურ-აზერბაიჯანული, მთიანი ყარაბაღის კონ-
ფლიქტის მოსაგვარებლად! საზოგადოებაში
ნამოყალიბდა ურყევი აზრი, რომ აშშ
მთავრობის სიტყვები, რომლებსაც იგი აზერ-
ბაიჯანზე ხარჯავს მთლიანად განსხვავდება
მის საქმიანობას. ამიტომ აშშ-ის განცხადება
ყველა სფეროში თანამშრომლობის ინტენ-
სიფიკაციის აუცილებლობის შესახებ, სულ
მცირე, არაგულწრფელი ჩანს.

2010 წლის სექტემბერში, გაეროს გენერ-
ალური ასამბლეის სესიაზე გამოსვლის
დროს, ობამამ საზოგადოებრივად აღნიშნა, რომ
აშშ უერთგულდებს “ადამიანის უფლებათა
საყოველთაო დეკლარაციის” პრინციპებს,
რომლებიც თითოეული ადამიანის ღირსე-
ბისა და უფლებათა პატივისცემის გარან-
ტირებს. აღნიშნული დოკუმენტის მე-3 მუხელში
აღნიშნულია, რომ “ნებისმიერ ადამიანს
აქვს სიცოცხლის, თავისუფლებისა და პი-
რადი ხელშეუხებლობის უფლება”. მაგრამ
უპილოტო თვითმფრინავების შეტევები, სხვა
ქვეყნებში შეჭრა და მათი ოკუპაცია, არასასურველი
რეჟიმების დამხობა - ყვე-
ლაფერი ეს არის დეკლარაციის ამ მუხლის
დარღვევის სერიოზული ფაქტები (იხ. II
გვ. თითოეული პატიმარი ან გატაცებული,
ვისაც აწამებდნენ გუანტანამოში, აბუ-გრეიბ-
ში ან ბაგრაში) ადამიანის უფლებათა
დარღვევის კიდევ ერთი აღმამოფთოებელი
შემთხვევაა.

თავისუფლების ქვეყანა, როგორც აშშ
თავის თავს უწოდებს, ამასთანავე, პატიმართა
ქვეყანაა: 2 მილიონ 300 ათასი პატიმარი
აქაური ციხეების გისოსებს მიღმა იმყოფება,

სამ ათასზე მეტი კი სიკვდილისჯილთა
საკნებში ეწამება. ამერიკული თემიძის
მცდელობა, დააპატიმროს ინტერნეტურ-
სის ვიკილიქსის შემქმნელი, რომელმაც
გამოააშკარავა აშშ-ის პოლიტიკის ჭეშ-
მარიტი არსი თავისი პარტნიორი და მეგო-
ბარი სახელმწიფოების მიმართ, ნათელს
ხდის, თუ როგორი “რწმენით” იცავს ვაშ-
ინგტონი სიტყვის თავისუფლების უფლე-
ბას.

საყოველთაო დეკლარაციის 25-ე მუხელში
აღნიშნულია: “თითოეული ადამიანს უფლება
აქვს ცხოვრების დონეზე, საკვების, ტანსაცმ-
ლის, საცხოვრებლისა და სამედიცინო მომ-
სახურების ჩათვლით”. სტატისტიკის მიხედ-
ვით, 44 მილიონი ამერიკელი სიღატაკში
ცხოვრობს, ქვეყნის უფრო მეტი მოქალაქე
ვერ სარგებლობს სამედიცინო მომსახ-
ურებით. ქვეყანაში 15 მილიონი ოფი-
ციალური უმუშევარია. სპეციალისტთა შე-
ფასებით, მხოლოდ ერთ წელიწადში
ამერიკელთა ერთ მილიონამდე ოჯახი
დაკარგავს საცხოვრებელს.

ქვეყანა, რომელიც ყველაზე აქტიურად
აპირტიკებს სხვებს ადამიანის უფლებათა
დარღვევის გამო, ამჟამად თავად არის
ბრალდებული საყოველთაო დეკლარაციის
დარღვევისთვის, იმ დეკლარაციისა, რომელიც
მისი შედგენილია. ამის შესახებ თქვა
ამერიკელმა პოეტმა რაღფ უოლდო ემერ-
სონმა: “თქვენნი ქმედებანი იმდენად ხმამაღ-
ლა ლაპარაკობენ, რომ მე არ მესმის, რას
ამბობთ”.

აშკარაა, რომ აშშ პრეზიდენტი შუქი
აღარ არის მსოფლიოს უდავო ლიდერი.
აშშ, როგორც სსრკ, ერთბაშად არ დაიშლება,
მაგრამ შტატების უნარი - თავისი წვლილი
შეიტანოს მსოფლიომოქალაქში, თანდათან
წაისრულს ბრღებას. დროა, როგორც
გლობალური სარეზერვო ვალუტის, დღეები,
უნდა ვივარაუდოთ, დათვლილია, დიპლომა-
ტია კი შებუტილია ვიკილიქსის გაკონვის
ფეხქტის საშუალებით. ერთპიროვნული
აშშ სამხედრო ძლიერების პერიოდი, რო-
გორც ჩანს, დასასრულს უახლოვდება. იქმ-
ნება უპოლუსო მსოფლიო ერთი
ეკონომიკური და პოლიტიკური ძალის
გარეშე.

ახალ მსოფლიო წესრიგში აშშ თანდათან
დაკარგავს გლობალურ დღის წესრიგზე
კონტროლს, რომლის პირველ საკითხებად
წამოიწვეს რეგიონალური პრობლემები და
კონფლიქტები. ირანის, მთიანი ყარაბაღის,
აფხაზეთის, ჩრდილოეთ კორეის გამოცდილე-
ბამ აშკარად დაგვანახა, რომ ამერიკას არ
ძალუქს, შეიგნოს ცალ-ცალკე თითოეული
კონფლიქტის თავისებურება ან არ სურს
ადეკვატური მოქმედება. მსოფლიო სისტემის
ახალ მოწეობაში რეგიონულ აქტორებს
მსხვილ მთავარ როლს შორის ღაგიერების
უფრო მეტი შესაძლებლობა ექნებათ თა-
ვიანთი ინტერესების დასაცავად, წამყვან
სახელმწიფოებს (სურთ მათ თუ არა)
დროის ახალ მოთხოვნებთან ადაპტირება
მოუწყვთ.

აშკარაა, რომ აშშ-მა უნდა გადახედოს
შიდაპოლიტიკურ სისტემას იმგვარად, რომ
ნებისმიერი გადაწყვეტილების მიღება გამოშ-
დინარეობდეს სახელმწიფოს ეროვნული
ინტერესებიდან და არა დაფინანსებული
ჯგუფებისა და მათი სპონსორების
სურვილებიდან, რომლებიც მესამე სახ-
ელმწიფოების ან ორგანიზაციების სასარგე-
ბლოდ იღვწიან.

ჭეშმარიტად მართალია ცნობილი ეკონ-
ომისტი, კლემენტის უნივერსიტეტის პრო-
ფესორი, ჯეფრი ჯ. საკსი, რომელიც წერს,
რომ პოლიტოკოსებს შორის კონფლიქტები
“საზოგადოების ზნეობისა და ეროვნული
სტრატეგიის შესახებ ფულის საკითხამდე
დაიყვანება. პრობლემა ამერიკის პოლი-
ტიკისა და მოქალაქეობრივი ზნეობის
დაკარგვაშია. პოლიტიკური კორუფციის
დონე ამერიკაში განსაკვირვებელია.
საარჩევნო კამპანიების ჩატარება, რომლებიც
წარმოუვლელად გაძვირდა, დღეს მთლიანად
ფულზეა დამოკიდებული. შუალედური
არჩევნების დირებულება 4,5 მილიარდ აშშ
დოლარადაა შეფასებული. ობამა ხელისუ-
ფლებაში ცვლილებების დაპირებით მოვიდა.
აქამდე ისინი არ ჩანს” (Preject Syndicate,
27.12. 2010).

ეს ყველაფერი ამერიკის შეერთებული
შტატების თანამედროვე სახეა. მეტის თქმა,
აღბათ, შეუძლებელია. ასეთ შემთხვევაში
იბადება სრულიად კანონიერი შეკითხვა:
აქვს კი უფლება აშშ-ს, დამოძღვროს სხვები
- “როგორ უნდა იცხოვრონ და აშენონ
დემოკრატიული საზოგადოება”, როცა თვი-
თონ მანიკერებაშია ყველაზე ჩაფლული?

მსოფლიოს დიდი ფეხბურთელები

მსოფლიოს დიდი ფეხბურთელები

მას შემდეგ, რაც მე-19 საუკუნეში ინგლისელებმა აღადგინეს სპორტის უძველესი სახეობა, მსოფლიოს ყველა ქვეყანაში იზაღებოდნენ დიდი ფეხბურთელები, რომლებიც ქმნიდნენ მთელ ეპოქას და მათი მიღწევები ოქროს ასობით იწვევებოდა პლანეტის სპორტულ ისტორიაში. ისინი გვიხსენებენ თავიანთი საფეხბურთო საშემსრულებლო ოსტატობით. ეს ხდებოდა მაშინ, როცა ფეხბურთი ის-ის იყო აღგებდა ფეხს მსოფლიოში და ჯერ კიდევ არსად არ იყო აშენებული, არამც თუ გიგანტური, არამედ ათასმაწურებლიანი სტადიონებიც კი. მაგრამ სწორედ მათმა ოსტატობამ დაუღლო სათავე სპორტის ამ უღამაზეს სახეობას, რომელსაც დღეს ლამის მთელი მსოფლიო ეთაყვანება. მას შემდეგ უამრავი დიდი ფეხბურთელი მოვიდნენ სამყაროს, მაგრამ ჩვენ რუბრიკა მინც წინ აყენებს იმ დიდი სპორტსმენების ხსოვნას, რომელთაც მსოფლიოს განსწავლული სახით უძღვდნენ ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე დიდი ხნით ადრე ჩინეთში შობილი სანახაობრივი სპორტი - ფეხბურთი! მალე დაიბრუნებულ პირთა ვიწრო წრეში აღიარებული ეს სანახაობა მასიურ დონისთვის იქცა, რამაც წარმოქმნა შესაბამისი სპორტული ბაზების აშენების აუცილებლობა. სწორედ წარსულის დიდი ფეხბურთელების დამსახურებაა, რომ გვაქვს შესანიშნავი სპორტული კომპლექსები "მარაკანა", "აიტკაპი", "ნოუ კამპი", "სანტიაგო ბერნაბეუ", "ლუინიკები", "ოლიმპიატადონი", "პემპდენ პარკი" და სხვა და სხვა. სწორედ ამ სპორტულ "მონსტრებს" ავსებენ პირთა მდედრ დღევანდელი ფეხბურთის "გრანდები", რომლებიც მონდომებითა და წარმატებით აგრძელებენ თავიანთი დიდი წინაპრების საქმეებს. ამ რუბრიკით ჩვენ გააცნობთ მსოფლიოს ფეხბურთის პიონერებსაც და იმ დიდ თანამედროვე ფეხბურთელებსაც, რომლებიც ქმნიან მსოფლიო ფეხბურთის ისტორიას.

კოლ მაკგრატი
დაიბადა 1959 წლის 4 დეკემბერს, ინგლისში.
თამაშობდა კლუბებში: "მანჩესტერ იუნაიტედი", "ასტონ ვილა" და "დერბი ქაუნტი" (ინგლისი).
მაკგრატი დიდი ბრიტანეთის ქალაქ მიდლსექსში დაიბადა, ირლანდიურ ოჯახში. იგი მთლად ბავშვი მივიდა "მანჩესტერ იუნაიტედის" ახალგაზრდულ საფეხბურთო გუნდში და გამორჩეული ნიჭის წყალობით, ყოველგვარი სიძველეების გადალახვისა და პრობლემების გარეშე, სულ მალე დაიკავა ადგილი უფროს ასაკის ფეხბურთელთა შორის. მაგრამ, კარიერის დასაწყისში რამდენადაც ბედი სწყალობდა მაკგრატს, როგორც საოცარი ადგილი და ტექნიკით დაჯილდოებულ ფეხბურთელს, იმდენად თანსდევდა მას უიღბლობაც მუდმივი ტრავმების სახით, რასაც თან ერთვოდა გუნდის ხელმძღვანელების უკმაყოფილებაც, რადგან სწორედ ამ ტრავმების გამო ვერ ახერხებდა პოლი სრული შესაძლებლობების გამოვლენას. მაგრამ ერთადერთი, ვისაც ბრძადა სწამდა მაკგრატის სპორტული პოტენციალისა, გახლდათ მწვრთნელი რონ ეტკინსონი, ამიტომ, როცა იგი "ასტონ ვილაში" გადავიდა, პოლიც თან წაიყოლია. საკლუბო დონეზე პოლ მაკგრატმა ერთადერთ გამარჯვებას მიაღწია - 1985 წელს ინგლისის თასის დაუფლა, როცა ფინალში "იუნაიტედს" ფეხბურთელი გაუგდეს და გუნდი უმცირესობაში დარჩა, მან სწორედ მაკგრატის თავგანწირული თამაშის წყალობით მიაღწია წარმატებას. სამაგიეროდ, შედარებით წარმატებული გამოდგა მისი მონაწილეობა ირლანდიის საფეხბურთო ნაკრების შემადგენლობაში მსოფლიოსა და ევროპის პირველობებზე. სწორედ მაკგრატის გმირული სულისკვეთება იქცა იმის მიზეზად, რომ ირლანდიის საფეხბურთო ნაკრები ანგარიშგასაწევ ძალად იქცა საერთაშორისო სპორტულ არენაზე.

კაზ ჯინინგსი
დაიბადა 1945 წლის 12 ივნისს, ჩრდილოეთ ირლანდიაში.
თამაშობდა პროფესიულ საფეხბურთო კლუბებში "ნიური თაუნ" (ჩრდილოეთ ირლანდია), "უოლფორდი", "ტოტენჰემი", "არსენალი" ინგლისი.
პეტ ჯინინგსი გახლდათ ზორბა ტანის ადამიანისათვის დამახასიათებელი ყველა დადებითი თვისებით აღჭურვილი - არაჩვეულებრივად, ღონიერი, გულკეთილი და მზიარული ბუნების მქონე. იგი ერთნაირად კორექტული იყო როგორც საკუთარი თანაგუნდელების, ასევე მოწინააღმდეგე გუნდის ფეხბურთელთა მიმართაც. პეტ ჯინინგსმა სამუდამოდ დაიპყრო ფეხბურთის ინგლისელ გულშემატკივართა გულები იმ 119 მატჩით, რომელიც მან ინგლისის საფეხბურთო ნაკრების შემადგენლობაში დიდი წარმატებით ჩაატარა. მათ შორის, უკანასკნელ მატჩში მან მონაწილეობა მიიღო უკვე 41 წლის ასაკში, 1986 წელს გამართულ მსოფლიო ჩემპიონატზე, რომელიც, სამწუხაროდ, ძალიან გააუფერულა ინგლისელთა ნაკრების მარცხმა ბრაზილიის საფეხბურთო ნაკრებთან. თავისი ოცდაათწლიანი საფეხბურთო კარიერის განმავლობაში ჯინინგსმა ათასზე მეტ ოფიციალურ მატჩში მიიღო მონაწილეობა. მან ოთხჯერ ითამაშა ინგლისის თასის გათამაშებში ფინალში. ერთხელ გაიმარჯვა "ტოტენჰემის" შემადგენლობაში, 1967 წელს, ერთხელ კი "არსენალის" შემადგენლობაში - 1979 წელს. პეტ ჯინინგსს ასევე ეკუთვნის მეკარეებისათვის მეტად იშვიათი შედეგი - 1967 წელს, ინგლისის "ჩერიტ შილდის" გათამაშებაში, მან, თავისი საჯარიმო მოედნიდან უძლიერესი დარტყმით გოლი გაიტანა "მანჩესტერ სიტის" კარში. ამრიგად, პეტ ჯინინგსი ხავესებით სამართლიანად ითვლება ერთ-ერთ უდიდეს გოლიკუპრად დიდი ბრიტანეთის ფერხბურთის ისტორიაში.

ჯიმი ჯონსტონი
დაიბადა 1944 წლის 30 სექტემბერს, შოტლანდიაში.
თამაშობდა საფეხბურთო კლუბებში "სელტიკი", "შოტლანდია", "სან ხოსე" აშშ, "შეფილდ იუნაიტედი", ინგლისი, "დანდი", "შოტლანდია", "შელბურნი", ირლანდია.
ჯიმი ჯონსტონი ფეხბურთის გულშემატკივრებს დაახსოვდათ როგორც არაჩვეულებრივად ტალანტური, მაგრამ, ამავე დროს, როგორც საოცრად არასტაბილური მარცხენა ნახევარმცველი. 12 წლის საფეხბურთო კარიერის განმავლობაში მან მხოლოდ 23 მატჩი ჩაატარა ინგლისის ეროვნული ნაკრების შემადგენლობაში. ტანად იმდენად პატარა იყო, რომ გულშემატკივრებმა მეტსახელად "რწილი" უწოდეს. შედეგებით კი მას ნამდვილად შექმლო ეტრებახა - 16 მაღალი ტიტული მოიპოვა "სელტიკის" შემადგენლობაში: ევროპის ჩემპიონთა თასი, ინგლისის თასი სამჯერ და ლიგის თასი - ოთხჯერ. ჯიმი ჯონსტონი საკმაოდ სკანდალური პიროვნება გახლდათ როგორც ფეხბურთის მოედანზე, ასევე მის გარეც, რაც ხშირად ხდებოდა გარკვეული უსამართლოების მიზეზი. მაგრამ ყველანი ერთხმად აღიარებდნენ, რომ იგი უშიშარი და ძლიერი სულისკვეთების მქონე პიროვნება გახლდათ. ჯიმი ჯონსტონმა განსაკუთრებული მონდომებითა და აღმაფრენით ითამაშა 1966-1967 წლების საფეხბურთო სეზონში, სადაც "სელტიკი" აბსოლუტურად ყველა ტურნირის გამარჯვებული გახდა, რომელშიც კი მონაწილეობა მიიღო. მისი საფეხბურთო კარიერის კულმინაცია გახლდათ გამარჯვება ევროპის ჩემპიონთა თასის ფინალში. კარიერის დამთავრების შემდეგ ჯიმი ჯონსტონი წარმატებული ბიზნესმენი გახდა, მაგრამ ხშირად პატარა ბავშვებსაც ავარჯიშებდა საფეხბურთო მოედანზე.

ბიორბი ჯალალანია

იზმარი

- ცოტა ნელა იარე, თორემ მანქანა ისე სწრაფად მიგყავს, რომ თვალებიდან ნაპრქვლები მცვივა... - უბნებს ცოლი ქმარს.
- შენც ადგი და ჩემსავით მოიქეცი.
- როგორ?
- თვალები დახუჭე!
- პარკში საღამოს წყვილი ეხვევა ერთმანეთს.
- რას შერებოთ?! - თავზე წააღვა პოლიციელი, - ახლავე განყოფილებაში წაიყვანო!
- წყვილი ერთმანეთს სცილდება. ქალი აშკარად ორსულადაა, ვაჟი კი დანანებით ეუბნება პოლიციელს: - რვა თვის წინ სად იყავით?
- ახლომხედველს სოფლის გზაზე ქარმა შლაპა მოსტაცა. კაცი დაეფენა და დაიჭირა.
- რას შობი, კაცო, შენე?! - ეკითხება სოფელი.
- აგერ, ჩემი შლაპა გამექცა და დაეჭირე.
- დასვი ძირს ჩემი ინდაური, თუ კაცი ხარ...
- რატომ ხარ დაღონებულნი?
- ცოლი გამექცა!
- მერე და, ვიმხიარულეთ, შე კაცო. რომ მიბრუნდება, გლოვა მერეც გეყოფა.
- ექიმო, რა მეშველება? ჩემი გოგონა 11 წლისაა და უკვე ორსულადაა.
- თქვენ რამდენი წლის ბრძანდებით?
- ოცის!
- მერე, რა გიკვიროთ, ქალბატონო?
- მამი, დღეს მანქანა მათხოვდა რა?
- ფეხები რადასთვის გტორდება?
- ერთი - გაზისათვის, მეორე - ტორმუხისათვის!

ფრიდონ თოღუა: ქნელი სსოვრება და პით უფრო უნდა გაუფრთხილდეთ ერთმანეთს!



გაგრძელება მე 5 გე-დან.
- ესე იგი, უწინარეს ყოვლისა, ადამიანმა თვითონ უნდა მიხედოს თავის ჯანმრთელობას?
- რა თქმა უნდა.
- მაგრამ აქედან თვითმკურნალობამდე ხომ ერთადერთი ნაბიჯია?
- თვითმკურნალობა და ექიმბაშები ყოველად დაუშვებელია! ამ დღით კონფერენციაზე ვიყავი და ერთ-ერთი მონაწილე თავდაჯერებით ამტკიცებდა, პატრიარქს ვუძღვრებო და გამოვაჯანმრთელებო.
ეს კატასტროფაა. ექიმბაშებთან "მკურნალობის" შემდეგ ჩვენთან მოდიან ავადმყოფები, რომელთა გადარჩენა უმეტესად შეუძლებელია. ვთავაზობ ასეთ თავდაჯერებულ ექიმბაშებს, ავიყვანოთ პაციენტები, ვისაც გადაწვეტილი აქვს მათთან მკურნალობა. გამოვიკვლიე მათთან ერთად - თავიდან და მკურნალობის შემდეგ. კატეგორიულად არ სურთ.
გამონდა თბილისში ერთი ასეთი "მკურნალი", იმდენი ავადმყოფი მიდის მასთან, რომ პოლიცია იცავს წესრიგს. შედეგები უარყოფითია. კარგად ილაპარაკა ამ საკითხზე პროფესორმა რეზო გაგუამ, ონკოლოგიური ცენტრის დირექტორმა. მანაც შესთავაზა პაციენტების გამოკვლევა. უარზე არ-

იან.
არ შეიძლება ერთი წამით ყველა დაავადების განკურნება. დღეს კიბოს ვერაფერს მორჩენს. თუმცა არის კიბოს რადიკალური მკურნალობა, რომელიც მკურნალობა შეიძლება. მაგალითად, სარტევე ჯირკვლის, თანაც ადრეულ სტადიაზე. ამაზე უკვე ვილაპარაკე.
- ოფიციალურად შესთავაზეთ თქვენი წინადადება ექიმბაშებს?
- პიროვნულად შევთავაზე. ახლა თქვენი გახეთის საშუალებითაც მივმართე, მოდით, გამოვიკვლიეთ. ჩემს დაწესებულებაში უფასოდ მოვემსახურებთ. უმკურნალონ და ბოლოს ერთად ვნახოდ შედეგი!
- სწორად აქეთ კი იმ ავადმყოფებს დაიგნოზო დასმული?
- დიაგნოზი დაუსვეს და შესთავაზეს ოპერაციის გაკეთება. მაგრამ პაციენტი უარს ამბობს ოპერაციაზე და მიდის ექიმბაშთან. ის ეუბნება, მოგარჩენო. ავადმყოფი იჯერებს და ესაა ჩვენი ტრაგედია.
- როგორ უშველოთ ასეთ ხალხს?
- ჯანდაცვის სამინისტრო, თვითონ მინისტრი უნდა ჩაერიოს, პარლამენტის შესაბამისმა კომიტეტმა უნდა განიხილოს ეს საკითხი და ოფიციალურად ჩატარდეს გამოკვლევა. ამ გამოკვლევის შედეგები კი საჯაროდ გაცხადდეს.
რეზორმა რეფორმისთვის თუ ხალხისთვის?
- უწინ აუცილებელი იყო წელიწადში ერთხელ დისპანსერიზაციის გაგება - ჯანმრთელობის მდგომარეობის შემოწმება. თქვენ რომ გისმენთ, გჭვი მუპარება, იმუშავენს კი ის სისტემა დღევანდელ პირობებში?
- კომუნისტების დროს შევბუდევაში არ გავიშვებდნენ, დისპანსერიზაცია თუ არ გეკნებოდა გაველიდი. პროფილაქტიკური ღონისძიება იყო. დღეს ადამიანები იმდენად სხვა პრობლემებით არიან დაკავებული, რომ საკუთარი ჯანმრთელობის საკითხმა მეორე პლანზე გადაიწია. სახეალოდ

აქეთ გადადებული. მაგრამ ასე გადადებით გროვდება პრობლემები და კრიტიკულ ზღვარს აღწევს.
იტყვით, ხალხს არ აქვს საშუალება. არ შეუკამათებთ, მაგრამ ადამიანის სიცოცხლეზე ძვირფასი სხვა რა არის ამჟვეზად, რომ ასე ავადმყოფად მოვიდო?
მთავარი ყველა დროში, ყველა სისტემაში იყო და არის პროფილაქტიკა. ბევრი რამ აკლია მედიცინას, განსაკუთრებით, პერიფერიაზე. პრობლემები გამოიწვია უმთავრესად იმან, რომ ერთი სისტემიდან მეორეში გადავადით და დაინგრა ძველი ან დაფანგრეთ.
სულ მესმის, რომ რეფორმებს განვხორციელებთ მედიცინაში. 1990-იან წლებში კატეგორიულად წინააღმდეგი ვიყავი, ერთბაშად გამდგოვეტანა ამერიკული, ევროპული გამოცდილება საქართველოში. თანდათან უნდა გადავსულიყავით თანამედროვე მედიცინაზე, ისევე, როგორც განათლების ახალ სისტემაზე. მეცნიერებებშიც დამლუკველია "მიგარდნით" ცვლილებების განხორციელება.
ძველის ტრადიციების გარეშე ახლის აშენება - ასეთია ჭეშმარიტად რაციონალური მიდგომა.
მაგრამ მიფინდომეთ უცებ და ერთი დაკვირეთ. ამიტომაც არ გამოვივიდა თუნდაც მეცნიერებათა აკადემიის "გარდაქმნა", რისი წინააღმდეგეც ვიყავი ყოველთვის. უნდა გაგვეთვალისწინებინა ჩვენი სპეციფიკა, ის პრობლემები, რომლებიც თანსდევს იმ სისტემებს, რომელთა დანერგვას ჩვენთან ვცდილობთ. დეტალიზაცია შორს წაგვიყვანს, ამიტომ მხოლოდ ორ მაგალითს დავისახელებთ: უმდიდრესი ქვეყანაა გერმანია, მაგრამ იქაური ექიმი უფრო ნაკლებს იღებს, ვიდრე ჩემი თანამშრომელი საუნივერსიტეტო კლინიკაში.
ამიტომ მიდიან გერმანელი ექიმები არაბეთის, ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში სამუშაოდ.

ლონდონში კომპიუტერული ტომოგრაფიის გაკეთება რომ დაგჭირდეთ, თუ დაზღვეული ხართ, რამდენიმე თვის ლოდინი მოგიწევთ გამოკვლევის ჩასატარებლად. კერძო კლინიკაში იმავე დღეს გაიკეთებთ!
დღეს რადიკალური ნაბიჯები უნდა გადაიდგას რთული მდგომარეობიდან გამოსასვლელად და, უწინარეს ყოვლისა, სოციალური დაცვის სფეროში. მოსაწესრიგებელია ადამიანების დაზღვევის საკითხი. ყოველთვის გამბობს, რომ საქართველოში უნდა გახდეს სახელმწიფო სადაზღვევო კომპანია, კერძო კომპანიები რომ არ ყოფილიყვნენ მონოპოლისტები. არ შეიძლება პატარა ქვეყანაში ფუნქციონირებდეს 20 სადაზღვევო კომპანია! რასაკვირველია, დრო დალაგებს და 34 კომპანია დარჩება, მაგრამ ადამიანებიც უნდა ეცადონ, რომ დაეხდვიონ. ესაა საშველი და სწორი გზა.
კაპიტალიზმს აქვს კარგი და ცუდი მხარეები. უნდა გადმოვიღოთ ის, რაც მისაღებია ჩვენი ქვეყნისთვის და არა ძველებური "აგრალით", რათა დღესვე ვიცხოვროთ იმ წესითა და რეჟიმით, როგორც ამერიკაში ან გერმანიაში ცხოვრობენ.
ჩვენ ჩვენი მენტალიტეტი გვაქვს, ქართული.
P.S. და სწორედ ამ ქართული მენტალიტეტის გამო იყო, რომ ბატონმა ფრიდონ თოღუამ ინტერვიუს დამთავრების შემდეგ ეზომდე ჩამომაკილა და იქ დამემშვიდობა.
ამას არც ამერიკაში, არც გერმანიაში, არც შეუდელოში არც ერთი მისი რანგის ხელმძღვანელი არ გააკეთებდა.
საუბარს ვაგრძელებდით გზადაგზა და ამ მონაკვეთსაც, ისევე, როგორც მთელ ინტერვიუს რეგრენად გასდევდა დედაზრთ: რადგან ძნელია დღეს ცხოვრება, გაუფრთხილდეთ ერთმანეთს.

სააგენტო სამონტორი

ISSN 1987-8966 ილორი
რედაქციის მისამართი: თბილისი, ბაქრაძის ქუჩა №6 მე-4 სართული სარგ. №01018002930
მთავარი რედაქტორი: როლანდ ჯალალანია
მთ.რედაქტორის მონაღვილა: ღაბით ქოხალია
ბანკიური რედაქტორი: მისილი როდრიგოვილი
გაზეთის მენეჯერი: ზურაბ ქოხალია
WWW ilori.ge
e-mail: elisabetthal@yahoo.de
რედაქციის მისამართი: 34-32-95 893-51-01-71 899-34-37-27